


ମାତ୍ରାଶବ୍ଦୀ ପରିଚୟ ଓ କ୍ଷେତ୍ର



„დიდება შენის ქვეყნისა
იგივ შენი დიდებაა“.

፩፻፲፭፯፭፭፭ ፩፻፬፭፭፭

№ XII

ଶ୍ରୀକାନ୍ତପାତ୍ର

9303060

ପ୍ରାଚୀନ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶକୁ କୁହ, № 28.
ପ୍ରାଚୀନ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶକୁ କୁହ, № 28.
ପ୍ରାଚୀନ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶକୁ କୁହ, № 28.

შინაგანი № 12:

		835.
1. არარატის მთა, სურათით	1111.	
2. კავკასიონის მთა-გრეხილი, სურათებით	1117.	
3. ისტორიული და გეოგრაფიული ძღვერა ჰერქონისა, ინგილო ჯანაშვილისა	1124.	
4. რუსულან; ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად (დასასრული)	1137.	
5. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველო-სი, თ. უორდანისი, თარგმანი კ. ანთაძისა	1158.	
6. სოლომონ ლეონიძე (დასასრული), ი. მარჯვიძისა	1173.	
7. საშობოლ, აფრ. მერკევილაძისა	1178.	
8. ბიბლიოგრაფია: წმ! ანტონი მოციქულზედა, კინძე შესხისა	1185.	
9. სახალხო ისტორია საქართველოსი: ფარნაოზი, პირველი მეფე: საქართველოსი	49.	

გამოვიდა და მსეიდება მმათა იმედაშვილების წიგნის მაღა-
ზიაშვილი ახალი წიგნი

„ისტორია“

ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამა,

ახმ. დ. ნახუცინ შეიძლისა.

ფრსი 40 კაპ.

ქრისტემობისთვე № 12 1901 წელი

მოგზაური

პირველი ნომერი 1902 წლის ჟურნალი

„მოგზაურისა“

გამოვა ახალის წლის პირველ იანვრისათვის,
ამაციმა, გისაც ჭერს, რომ ჟურნალი თავის დროზედ შეუ-
გვიდეს, გთხოვთ ახლავე დაიკვეთონ იგი.

1902 წელს ჟურნალი „მოგზაური“ გამოვა
იმავე პროგრამით, ზედდამატებით წერილებისა:

- 1) მედაგოგიდამ.
- 2) მეურნეობა-მოქმედობიდამ,
- 3) ჭიგირნა-მეურნელობიდამ და
- 4) სამეცნიერო კითხვებიდამ.

გაცესაღვანის ბეჭდვა „მოგზაურის“ ფურცლებზედ ლის
სტრიქონი 5 კაპ.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით: წლით—ხუთი მანეთი; ნახვაზ
წლით—სამი მანეთი.

ფულა და წერილები უნდა გიმოიგზავნოს: Въ Тифлисъ,
ვъ Fedakciiю „МОГЗАУРИ“.


თბილისში ხელის მოწერა მიიღება თვითონ რედაქ-
ტორთან (დავითის ვიწრო ქუჩა, № 20) და წერა-კითხვის
გამავრცელებელის საზოგადოების მაღაზიაში, შიო ქუჩა-
შვილთან.

თბილის

სრამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლიტოს-შელიქოვის ქუჩა, № 28.

Дозволено цензурой. Тифлос., 4-го Декабря, 1901 года.

ମନ୍ଦିରାବୁଦ୍ଧିତା



არარატის მთა. (ქართულად),

ოსმალურად აკრ-დაგი, სომხურათ მასისი, სპარსულად ქუშ-ნუქი (ნოეს მთა), ამართულია მდინარე არაქსის მარჯვენა კიდით, რუსეთისა, ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარზე. შესდგება ორი მწვერვალისაგან, რომლებსაც დიდი და ჰარა არარატი ეწოდება. პირველის სიმაღლე არის 17,100 ფუტი, მეორისა—12,986 ფ., და ამათ შორის მყოფ უღელ-ტეხი-ლისა—8.820 ფ., სადაც ამოჩუბჩუხებს მშვენიერი წყარო სარდარ ბულადი.

დიდის არარატის თავი 14,000 ფუტს ზევით მარად და-ფარულია აულებელის თოვლით. ჩრდილოეთის მხრით არა-რატს აქვს უშველებელი ნაპრალი, ცნობილი იაკობის ველად. ასეთივე ნაპრალი აქვს ამ მთას სამხრეთიდამ; ორივე ნაპრა-ლებში მწვერვალებიდამ ჩამოწოლილია საყინულე ანუ საუ-კუნო ყინულთ გროვა (ЛЕДНИКЪ).

არარატის მთაზე 7,800 ფუტამდის იზრდება ხეები, მას ზევით 10,009 ფუტამდის—ბუჩქები, ხოლო უფრო ზევით, 12,000 ფუტამდის—ბალახი.

არარატზე ასული ბევრი შესანიშნავი მოგზაური და მე-ცნიერი, მაგალითად: ტერნეფორი და გუნდელსგეიმერი 1701 წელს, პარმოტი—1829 წელს, აბიხი—1845 წ. და სხვანი. როდის შესდგა არარატის სანძრის მოქმედება არ ვიცით, მაგრამ მის ახლო-მახლო ადგილები კი ძლიერ შერყეულა მე-IV, VIII და XIV საუკუნეებში, უკანასკნელი მიწის-ძვრა. აქ იყო 2 მკათათვეს 1840 წელს, როდესაც დაინგრა წმ. იაკობის მონასტერი მე-IX საუკუნეში აშენებული და მის ახლო მდებარე მშვენიერი სოფელი ახური, სამასი კომლი

მცხოვრებია. სოფელ ახურის დაღუპვა ასე მომხდარა: 2-ს
შეკათავვეს 1840 წელს, ორი საათის გრგვინვისა და მიწის-
ჭრის შემდეგ, სოფელ ახურიდამ 6 ვერსის ზემოთ, უკურად
გაირღვა არარატის მთა და იმდენი ქვა ამოყარა, რომ ერთის
საათის განმავლობაში მთლად ქვეშ დამარხა 2,000 მცხოვრე-
ბი იმ სოფლისა და ყველა მათი სახლები, მონასტერი, ვენა-
ხები და სხვა. ეს მიწის-ძვრა იყო უსაშინელესი, რომელიც
ოდესმე ყოფილა მცირე აზიაში; მისგან დაიჭირა 6000-ზე
მეტი სახლი ნახიჩევანსა და ორდუბათის მაზრებში და ხალ-
ხიც ბევრი დაიღუპა, მაგრამ უფრო მეტი დაიღუპებოდა, რომ
მიწის-ძვრა ღამით მომხდარიყო და არა საღამოთი, როცა
მომეტებული ნაწილი ხალხისა ჯერ კიდევ გარეთ იყო.

ეგრედ წოდებული ვანის (ტბის) ლურსმულ წარწერათ
აღმოჩენამ სრულიად ახალი სახე მისცა ჩვენსა და სომხების
ისტორიას. გამოდის, რომ არარატის მთელი მიღამოები,
რომლებიც ახლა სომხებს უჭირავთ, ძველს დროში ყოფილა
სამკვიდრო ქართველთა ტომის ხალხებისა. ცნობილი ლე-
ნორმანი ამბობს შემდეგსა: „როდესაც ყურადღებით განვი-
ზილავთ სახელებს იქაურ (ე. ი. ვანნა ანუ ვანისას, მუშაშირ
ანუ არსისას, მილდის ანუ აზრუმის გარშემო მყოფ ადგილე-
ბისას, მილიდდა ანუ მელიტენისას და ურარტის ანუ არარა-
ტისას) პროვინციებისას, ქალაქებისას, კაცებისას და ღმერ-
თებისას, რომელნიც მოხსენებულ არიან ვანის ლურსმულს
წარწერებში, ცხადათ დავრწმუნდებით, რომ მთელი იქაური
ხალხი იყო ერთის შთამომავლობისა, ლაპარაკობდა ერთსა
და იმავე ენაზედ და მეცხრე საუკუნიდამ (ქრ. წინ) ერთია-
ნათ ემორჩილებოდა ურარტის უფროსობას (სუზერენიობას).
რა ხალხი იყო ეს ხალხი? რა ტომისა იყო იგი? ამის შესა-
ტყობად საჭიროა მივმართოთ იქაურ ლურსმულ წარწერების
განხილვას. ეს წარწერები დღეს ბლომად არის აღმოჩენილი,
როგორც სომხეთში, ისე ქურთისტანში და დიდი ნეწილი
მათი უკვე გამოქვეყნებულია ან და მუზეუმებშია შენახული,

არარატის მთა (ქართულად),

ოსმალურად აკრი-დაგი, სომხურათ შასისი, სპარსულად ქუშ-ნუქი (ნოეს მთა), ამართულია მდინარე არაქსის მარჯვენა-კიდით, რუსეთისა, ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარზე. შესდგება ორი მწვერვალისაგან, რომლებსაც დიდი და ჰარა-არარატი ეწოდება. პირველის სიმაღლე არის 17,100 ფუტი, მეორისა—12,986 ფ., და ამათ შორის მყოფ უღელ-ტეხი-ლისა—8.820 ფ., სადაც ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო სარდარ. ბუჭადი.

დიდის არარატის თავი 14,000 ფუტს ზევით მარად და-ფარულია აუღებელის თოვლით. ჩრდილოეთის მხრით არა-რატს აქვს უშველებელი ნაპრალი, ცნობილი იაკობის ველად-ასეთივე ნაპრალი აქვს ამ მთას სამხრეთიდამ; ორივე ნაპრა-ლებში მწვერვალებიდამ ჩამოწოლილია საყინულე ანუ საუ-კუნო ყინულთ გროვა (ледникъ).

არარატის მთაზე 7,800 ფუტამდის იზრდება ხეები, მას ზევით 10,009 ფუტამდის—ბუჩქები, ხოლო უფრო ზევით, 12,000 ფუტამდის—ბალახი.

არარატზე ასულა ბევრი შესანიშნავი მოგზაური და მე-ცნიერი, მაგალითად: ტერნეფორი და გუნდელსგეიმერი 1701 წელს, პარროტი—1829 წელს, აბიხი—1845 წ. და სხვანი. როდის შესდგა არარატის სანძრის მოქმედება არ ვიცით, მაგრამ მის ახლო-მახლო ადგილები კი ძლიერ შერყეულა მე-IV, VIII და XIV საუკუნეებში. უკანასკნელი მიწის-ძვრი. აქ იყო 2 მკათათვეს 1840 წელს, როდესაც დაინგრა წმ. იაკობის მონასტერი მე-IX საუკუნეში აშენებული და მის ახლო მდებარე მშვენიერი სოფელი ახური, სამასი კომლი-

მცხოვრებით. სოფელ ახურის დაღუპვა ასე მომხდარა: 2-ს მკათათვეს 1840 წელს, ორი საათის გრგვინვისა და მიწის-ძვრის შემდეგ, სოფელ ახურიდამ ზემოთ, უკურად გაირლვა არარატის მთა და იმდენი ქვა ამოყარა, რომ ერთის საათის განმავლობაში მთლად ქვეშ დამარხა 2,000 მცხოვრები იმ სოფლისა და ყველთ მათი სახლები, მონასტერი, ვენახები და სხვა. ეს მიწის-ძვრა იყო უსაშინელესი, რომელიც თდესმე ყოფილა მცირე აზიაში; მისგან დაიქცა 6000-ზე მეტი სახლი ნახეჩვანსა და ორდუბათის მაზრებში და ხალხიც ბევრი დაიღუპა, მაგრამ უფრო მეტი დაიღუპებოდა, რომ მიწის-ძვრა ღამით მომხდარიყო და არა საღამოთი, როცა მომეტებული ნაწილი ხალხისა ჯერ კიდევ გარეთ იყო.

ეგრედ წოდებული ვანის (ტბის) ლურსმულ წარწერათა აღმოჩენამ სრულიად ახალი სახე მისცა ჩვენსა და სომხების ისტორიას. გამოდის, რომ არარატის მთელი მიდამოები, რომლებიც ახლა სომხებს უჭირავთ, ძველს დროში ყოფილა სამკვიდრო ქართველთა ტომის ხალხებისა. ცნობილი ლენორმანი ამბობს შემდეგსა: „როდესაც ყურადღებით განვიხილავთ სახელებს იქაურ (ე. ი. ვანნა ანუ ვანისას, მუშაშირ ანუ არსისას, მილდის ანუ აზრუმის გარშემო მყოფ ადგილებისას, მილიდდა ანუ მელიტენისას და ურარტის ანუ არარატისას) პროვინციებისას, ქალაქებისას, კაცებისას და ღმერთებისას, რომელნიც მოხსენებულ არიან ვანის ლურსმულს წარწერებში, ცხადათ დაურწმუნდებით, რომ მთელი იქაური ხალხი იყო ერთსა შთამომავლობისა, ლაპარაკობდა ერთსა და იმავე ენაზედ და მეცხრე საუკუნიდამ (ქრ. წინ), ერთიანათ ემორჩილებოდა ურარტის უფროსობას (სუზერენიობას). რა ხალხი იყო ეს ხალხი? რა ტომისა იყო იგი? ამის შესატყობიდად საჭიროა მივმართოთ იქაურ ლურსმულ წარწერების განხილვას. ეს წარწერები დღეს ბლობად არის აღმოჩენილი, როგორც სომხეთში, ისე ქურთისტანში და დიდი ნეწილი მათი უკვე გამოქვეყნებულია ან და მუზეუმებშია შენახული,

ისე რომ მეცნიერებას შეუძლიან მათი უაჩხრეკა და გამოკვლევა. ოთხს წარწერას გარდა, რომელთაც არის მუშაშირის მეფის ურზანას ბეჭედი, დანარჩენი ყველა აფარდიულია, ე. ი. არარატული). ყველაზე უძველესი წერის ნიმუში არის შულცისაგან პირველ ნომრით აღნიშნული წარწერა და აგრეთვე ჯერ გამოუქვეყნებელი პირი, რომელიც გადაულია ლეარდსა. ეს ორი წარწერა, რომელთა ტექსტები არაფრით არ განსხვავდება, ამოჭრილია ასურული დ იქაურ მეფის ბრძნებით. ამ მეფეს რქმევია ბეჭატ-დურ, შვილი ჯუტიშვილისა, მეფე ნაირისა. ამ სახელით წოდებულს მეფეს განცხრახანეს თავის ხალხში გაეცრცელებინა წერა-კითხვა და ყოველივე სწავლა-განათლება ქალდო-ასურული. ამისათვის მოუწვევია თავისს სამედოში ასურული მწერლები და იმათ გამოუქრიათ თავიანთ საკუთარ ენაზედ ოფიციალური წარწერები; ამ გვარად ასურული ენა დროებით გამხდარა იქ სწავლულთა ენად, როგორც ახალ ევროპისათვის ლათინური ენა იყო. მაგრამ ასეთმა დროებითმა მდგომარეობამ დიდს ხანს არ გასტანა: მცირე დროს შემდეგ ვხედავთ, რომ ასურული წერის სისტემით დაუწყებიათ ალაგობრივ ენაზედ წერა, რასაც გვიმტკიცებს ერთი წარწერა იმავე ბეჭატ-დურის შვილისა, სახელდობრ ისბუინისა. ეს წარწერა, როგორც ყველა შემდეგნი, ალაგობრივ ენაზედ არის დაწერილი.

ადგილობრივ ენაზე წარწერებს, რიცხვით ორმოცამდე, უქვს უფრო სალმრთო მიმართულება, ხოლო ზოგიერთნი მოგვითხრობენ ისტორიულს ამბებსაც. ეს უკანასკნელი წარწერები მოგვითხრობენ დიდს ლაშქრობას და ომებსა წინააღმდეგ უცხო ხალხებისა, რომელთა შორის ხშირად მოიხსენებიან ასურელები (ასირიელები) და ბაბილონელები; მოგვითხრობენ აგრეთვე ქალაქებისა და თემების აღებას და სხვ. „ჩვენის აზრითო,“ — განაგრძობს ლენორმანი, — „სომხეთიში ნაშობები დურსმუდ წარწერათა ენა მეტის-მეტად ემსგაფსება ქართულს ენას,“ — და ამტკიცებს კიდეც ამასა მრავალის საბუთებით:

ამ ნაირათ ფილოლოგია გვიმტკიცებს, რომ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე ქრისტეს წინად სომხეთის მკვიდრნი იყვნენ იმზვე ტომჩსა, რომელისაც არიან ქართველები. სწორედ ეს მკვიდრი ხალხია, რომელსაც დაბადება უწოდებს (X, 3) თოვებობით. ამავე სახელს სდებს ამ ხალხს ეზეკიელი (XXVIII, 14; XXXVII, 6) სწორედ იმ ხანებში, როდესაც ამოქრიბლია უმეტესი ნაწილი იმ წარწერებისა, რომლებიც ჯერ-ჯერობით უპოვიათ ვანში და იმის მიღამოში. ეს უძველესი ხალხი სრულიად განირჩევა აწინდელ სომხებისაგან. ყველაზე უფრო თვალ-საჩინო ის არის, რომ ალაროდიულ (არარატიულ) ლურსმულ წარწერათა ენა სრულიად არა ჰგავს სომხურს. ის ხალხი, რომელსაც ამოუქრია ეს წარწერანი და რომელიც მარტოდ-მარტო ჰფლობდა იმ ქვეყანას მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს წინ, არავითარი მონათესავე არა ყოფილა სომხებისა არც: შთამომავლობით და არც ენითა: სომხები შემოსულიან მ ქვეყანაში მხოლოდ უკანასკნელ წარწერათა შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როცა უწინდელმა მკვიდრმა ხალხმა წაიწია ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იმ ქვეყნისკენ, რომელსაც ძველები უწოდებდნენ ივერიას და ახლანდელები — საქართველოს.


„რაცა ვსუქვით ენის შესახებ, — გახაგრძობს ლენორმანი, — იგივე უნდა ითქვას სარწმუნოების თაობაზედაც. ლურს-მული წარწერები სომხეთისა სრულებით არ იხსენიებენ სომხების ეროვნულ ღმერთებსა, რომელთაც აგვიწერენ მათი მწერლები. ერთი და იგივე ღმერთები არიან მოხსენებულნი, როგორც ვანისა, ისე პალუსა და არზრუმის გარშემო ნაპოვნ წარწერებში. ამ ნაირად სომხეთის ძველის-ძველს ხალხსა, თუმცა იგი დაყოფილი იყო რამდენსამე დამოუკიდებელ სა-მეფოდ, ეტყობა სრული ერთობა, როგორც შთამომავლობითა და ენით, ისე სარწმუნოებითაც.

ალართდ ით, — საფუძვლიანად ამბობს ჰენრი რაულინსონი, — უბრალო ვარიანტია არარატიდ-ისა და არარატი იგივეა,

რაც არარატი საღმრთო წერილისა და ურარდი ანუ ურარტი ასურულ წარწერებისათვის, ჰალიკარნასელი ისტორიკოსი ჰეროდოტი (დ. 500 წ. ქრ. წინ) ცხადათ განარჩევს სომხეთში ორს ხალხს, რომელსაც ერთმანეთში არავითარი ნათესაობა არა აქვთ მისის აზრით, ეს ორი ხალხია ალართდიეფები, რომ მელნიც ცხოვრობდნენ დიდ-სომხეთში (მდ. ეფრატის სათავეთა აღმოსავლეთით), და სომხები, რომელნიც, ჰეროდოტეს მოწმობით, ცხოვრობდნენ მდ. ეფრატის სათავეთა დასავლით, ფრიგიის გვერდით, იმ მთებში, საიდანაც ჰალისის მდინარე გამოდის. ჰეროდოტეს მოხსენებულს ძვირფას შენიშვნის მიხედვით, ლენორმანი სამართლიანად ფიქრობს, რომ სომხეთში ნაპოვნ ლურსმულ წარწერებსა და მათ ენას უნდა დაერქვას ალართდიელი, რადგანაც ამ ენასა და სომხურს შორის არავითარი ერთობა არ არის და, ეს ენა იმ ხალხის ენაა, რომელსაც ასურელები უწოდებდნენ ურარტად და ჰეროდოტე ალართდიელებად.


კავკასი, კავკასის მთები, კავკასის მთა-
გრეხილი, ქედი.

საქართველოს, როგორც ვიცით, ჩრდილოეთიდამ საზ-
ღვრავს მაღალი, თოვლიანი მთები, წოდებული კავკასიდ, კავ-
კასის მთებად, კავკასის მთა-გრეხილად. დღეს ჩვენ გვსურს
ცოტა დაწვრილებით გავაცნოთ „მოგზაურის“ მკითხველები
ამ შესანიშნავ მთებს და ამიტომ მოგვყავს აქ მისი აღწერა.
კავკასის მთებად მეცნიერებაში ცნობილია ორი: დიდი კავკასი
და მცირე კავკასი. ამ უკანასკნელით სავსეა კავკასის სამხრეთ-
დასავლეთის ნაწილი, ხოლო დიდი კავკასი გადაჭიმულია ქა-



ჭლვის ანაპიღამ, შავი ზღვის პირზე, ილქ-დაგის მთამდის, ბაქოსთან ახლო. მთელი სიგრძე ამ თვალ-უწვდენის მთა-გრეხილისა არის 1100 ვერსი, ხოლო სიგანე, იალბუზის მთის ახლო და დაღესტანში — 200 ვერსამდის, შუა წელში კი — 90 ვერსამდის. უმაღლესი ნაწილი კავკასიის მთა-გრეხილისა ძევს იალბუზა და ყაზბეგს შუა, (საშუალოდ 11,000 ფ. ზღვის მაღლა). კავკასიის მთები გაცილებით უფრო მაღალია ევროპის ალპების მთებზე და შეიცავს 20 ისეთ მთას, რომელებიც უმაღლესია ალპების უდიდეს მთაზე — მთბლაზე. ალსანიშნია ის, გარემოებაც, რომ ეს მწვერვალები მდებარეობენ არა თვით უმთავრეს ზურგზედ, არამედ მისგან გამოსულს კალთებზედ, ჩაგალითად, იალბუზი, კოშტან-ტაუ და სხვ. რომ უფრო უკეთ გავიცნოთ დიდი კავკასიის მთები, გავყოფ იგი მთელს სიგრძეზედ 7 ნაწილად. დავიწყოთ შავი ზღვიდამ და აშიტომ ვუწოდოთ პირველს ნაწილს შავის ზღვის კაკაიი, ქ. ანაპიღამ ოშტენის მთებამდის, დაახლოვებით 250 ვერსის-მანძილზედ. შავის ზღვის კავკასი მიღის თითქმის გასწრივ (პარალელურად) ზღვის კიდესთან, 40 ვერსის მანძილზედ კიდიდამ ზურგის თხემამდის. ეს ნაწილი მთებისა კახეთის ცივ-გომბრის მთის სიმაღლეა (ე. რ. 6000 ფ. ზღვის მაღლა) და შეიცავს ორს გადასასვლელს საურმე გზას — ნოვოროსიისა (1125 ფ.) და გოითხისა (1343 ფ.). ტუაპსეს და მაიკოპს შორის.

2) უუბანის კაკაიი, ოშტენის მთებიდამ მდინარე უუბანის სათავებამდის, დაახლოვებით 150 ვერსის მანძილზედ. იგი უმაღლესია შავის-ზღვის კავკასზე და შეიცავს ისეთს მთებს, რომელთ მწვერვალები მთელის წლის განმავლობაში დაფარულია აუღებელის თოვლით. ასეთებია, მაგალითად, მთები: შაუგუსი (10.642 ფ. და ფსიში (12427 ფ.). აქაური გადასასვლელი გზები წარმოადგენენ საცალ-ფეხო და საცხენო ბილიკებს, მაგალითად: ფსეახშო (6870 ფ.), მარუხისა (11.000 ფ.), კლუხორისა (9075 ფ.) და ნახარისა (9617 ფ.). ეს




უკანასკნელი გზები მიღიან მდინარე კალორიდამ ყუბანისაკენ, ნახარისა კი უკეთესი გზაა სუხუმისა და ბატალპაშინსკს შორის.

3) იალბუზის კავკასი ყუბანის სათავეებიდამ აღაი-ხოხის შთის მწვერვალამდის, ანუ მდინარე არდონის სათავემდის, 160 ვერსის მანძილზედ, — უმაღლესი ნაწილია კავკასიის მთა-გრეხილისა და შეიცავს უმაღლეს მწვერვალებს და უდიდეს საყინულებებს. საშუალო სიმაღლე იალბუზის კავკასიისა — 12.000 ფუტია, ხოლო ცალკე მწვერვალზი მისნი გაცილებით უფრო მაღლებია, მაგალითად, — იალბუზი, რომელიც ამართულია 20 ვერსზე ზურგიდამ ჩრდილოეთისკენ 18.470 ფუტზე ზღვის მაღლა. ამავე ნაწილშია სვანეთის მთა-გრეხილი, რომელიც მიმართება უმთავრესი მთა-გრეხილის გასწვრივ და თუმცა სამი ათასი ფუტით დაბალია უმთავრეს ქედზე, მაინც გაცილებით მაღალია საუკუნო ოთოვლით მოსილს მთებზედ. ამ ორ ქედს შეა ძევვს ხეობები ინგურისა და ცხენის-წყლისა და შემდეგ რიონისა. იალბუზის კავკასიის მწვერვალებს შორის, გარდა თვით იალბუზისა, აღსანიშნია კიდევ შემდეგნი: დიხ-ტაუ (17,054 ფ.), კოშტან-ტაუ (16.881 ფ.), შხარი (17.049 ფ.), ჯანლ-ტაუ (16.564 ფ.), უჯბა (15.445 ფ.), აღიშე (16.291 ფ.), აღაი-ხოხი (15.244 ფ.) და სხვანი. აქაური გადასასვლელი გზები წარმოადგენენ მეტად სახიფათო საცალფეხო ბილიკებს, რომლებითაც რიონის, ინგურის და ცხენის წყლის სათავეთა მცხოვრებთ აქვთ მისვლა-მოსვლა კავკასის მთის ჩრდილოთ მცხოვრებ ხალხებთან.

4) უაზბეგის კავკასი — აღაი-ხოხის მთიდამ ბორბალომდის (10.807 ფ.) 120 ვერსის მანძილზედ, აღსანიშნია ბევრის სხვა-და-სხვაობით, მაგალითად: აქ იგი მეტად ვიწროა (როგორც ვსოდებით 90 ვერსამდის), სათავეთ-ქედი (ვიდორაზდ. ლინია), რომელსაც აქ სამხრეთისკენ, მაშასადამე, ჩვენკენ დაუწევის, დაბალია, თუმცა მის ჩრდილოთ, შორი-ახლო, მიღის მეორე ქედი, თითქმის ისეთივე მაღალის მწვერვალებით,

როკორიც იალბუზის კავკასში ვნახეთ. ყაზბეგის კავკასის სათავეთ-ქედში აღსანიშნია შემდეგი მთები: ზილგა-ხოხი (12.645 ფ.), ზიკარი (12.563 ფ.), ჩოუხი (12.107 ფ.), ხოლო მის ჩრდილოთ მდებარე ქედში: ტეპლი (14.510 ფ.), ჯიმარ-ხოხი (15.673 ფ.) და, დასასრულ, თვით ყაზბეგი (16.546 ფ.). გზებს შორის აქ აღსანიშნია: მამისონისა (9340 ფ.) ანუ ოსეთის სამხედრო გზა, ქუთაისს და კავკასის შორის მისვლა-მოსვლისათვის; რკინია (9870 ფ.)—ლიახვის და არ-დონის ხეობებში მცხოვრებთ მისვლა-მოსვლისათვის და ჯვარისა ანუ საქართველოს სამხედრო გზა ანუ დარიალის ხეობა, კავკავა და თბილისს შორის. ყუნულთ და თოვლთ გროვანი აქ თუმცა ნაკლებათ არის, ვიღრე იალბუზის კავკასში, მაინც ბევრია. ამავე კავკასიდამ გამოდიან შემდეგი ცნობილი მთები ჩვენის ქვეყნისა: სურამისა და ცივ-გომბორისა.



საუინულე ანუ საუკუნო უძნულთ გროვანი გავერასის მთებში.

5) დაღესტნის კავკასი—ბორბალოს მთიდამ სარიდაგამდის (12.008 ფ.), 140 ვერსის მანძილზედ. აღსანიშნია იმით,

რომ აქ უმთავრეს ქედიდამ გამოდიან შესანიშნავი ცალკე ქედები, რომელებიც მიიმართებიან ჩრდილო-დასავლეთისკენ და ამ გვარად აწსებენ მთებით მთელს დაღესტანს. სიმაღლე დაღესტნის სათავეთ-ქედისა ნაკლებია თერგის კავკასიაზე და თვით დიალს მწვერვალებსაც გაცილებით ნაკლებათ ნახავთ აქ. აგრეთვე ნაკლებათ არის აქეთკენ ყინულთა და ოოვლე გროვანი. მწვერვალთ შორის აქ აღსანიშნია: ნინიკოს-ციხე (10.251 ფ.), ანწალი (11.742 ფ.), შავი კლდე (11.314 ფ.), თებულის-მთა (14.781 ფ.), დონის-მთა (13.736 ფ.), ბალა-ჟური (12.323 ფ.). უღელტეხილებს შორის აქ აღსანიშნია: კოდორისა (9.300 ფ.) და საცხენისისა, რომლებიც აერთებენ კახეთს დაღისტანთან.

6) სამურის გავასა — სარი-დავიდამ ბაბა-დაგამდის (11,934 ფ.), 120 ვერსის მანძილზედ. აღსანიშნია იმით, რომ მისი სათავეთ-ქედი ჯურო მაღალია ყაზბეგის კავკასიაზე. უმთავ-რესი მწვერვალი ამ ნაწილში არის შახ-დაგი (13.951 ფ.), რომელზედაც მოიპოვება უკანასკნელი გროვანი საუკუნო ყინულთა და ოოვლთა. უღელტეხილთ შორის აქ აღსანიშ-ნია: გუდურისა (10.118 ფ.), ზაქათლიდამ სამურისაკენ და სალავათისა (9.283 ფ.) ანუ ახტას. სიმებერთ გზა.

7) ქასპიის გავასა — უკანასკნელი ნაწილი კავკასიის მთა-ვარ ქედისა, იწყობა ბაბა-დაგიდამ და თავდება ილქ-დაგის მთით, 160 ვერსის მანძილზედ. უმაღლესი მწვერვალი მისნი არ აღიან 9.000 ფუტზე ზევით და სრულიად მოკლებული არიან საუკუნო თოვლისა. უღელტეხილთ შორის აქ აღსა-ნიშნია ალთი-ალაჩისა (4.354 ფ.), რომელზედაც გადაღის გზა. შემახილამ კუბამდის.

აღსანიშნია ის ამბავიც, რომ იმ დროს, როცა საუკუნო თოვლის ხაზი შავის-ზღვისაკენ 9.000 ფუტიდამ იწყობა, მაგალითად, ოშტენის მთაზედ, კასპიის ზღვისაკენ იგი 12.200 ფუტიდამ იწყობა, შავ., შახ-დაგის მთაზე ეს, რასაკვირვე-ლია, აიხსნება იმით, რომ ჰავა კავკასიის ჩრდილო-დასავლე-

თის ნაწილისა (შავის-ზღვის მხრისა), საიდამაც იწყობა კავკასიის დიდი ქედი, უფრო გრილი და ციცია, ვიდრე სამჩრეთ-აღმოსავლეთის ნაწილისა (კასპიის მხრისა). საუკუნო თოვლთ



თოვლის ზეაზი კავკასიის მთებში.

და ყინულთ გროვების შესახებ კავკასიის მთებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევი და ამიტომ ცნობანიც მათს შესახებ ფრიად მცირედ მოიპოვება. დაახლოვებით კი რიცხვი კავკასიის მთავარ-ქედის საუკუნო თოვლთ-ყინულთა გროვებისა 900-დამ 1000-მდეა. ყინულთ-გროვებს შორის ცნობილ არიან წანერისა (ინგურის ხეობაში, სიგრძე აქვს 10 ვერსამდის) და დევდორაკისა (თერგის ხეობაში); უწინდელს დროში, როცა ჩვენშიაც ეგრედ წოდებული ყინულის ხანა იდგა, კავკასიის მთავარ-ქედის ყინულთ-გროვანი გაცილებით უფრო ვრცელნი და გრძელნი ყოფილან, ვიდრე ახლაა. მაგალითად, მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ კავკასიის ზოგიერთი ყინულთ-გროვებს 60 და ხშირად 100 და მეტი ვერსი ჰქონდათ სიგრძეო. ახლა კი იგინი ნელა-ნელა სულ მაღლა და მაღლა იწევენ, მაშასადამე, ჰყვა მათ გარშემო უფრო და უფრო თბილა ხდება.

ისცორიული და გეოგრაფიული აღწერა

პერეთისა

(შემდეგი *).

გულლუგის აღმოსავლეთ მხარეს კავკასიის მთებიდამ გამომდინარებს ერთი პატარა წყალი, რომელსაც „ყაფი ჩაის“ ეძახიან და იყდრიანობაში ძალიან აღიდებაც იცის. ერთვის ალაზანს. მასში მრავლობს ახშალო, გოჭა და ლოქო, რომელიც ალაზნიდგან შემოდის. ეს წყალი არის მიჯნა უწინდელი ენისელისა და ჭარელთა მიწა-წყლისა. გულლუგი ჭარელთ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ამ წყლიდგან იწყება კაკის საბოჭაულოც, და ჩვენც ახლა იქ გადავდივართ დასავლეთიდგან, მივდივარ აღმოსავლეთისკენ შოსსეს გზაზე, კაკლებს შეა, დარგმულთ გზის აქეთ-იქით ს. კაკამდე. აგერ ხეობაში გამოჩნდა სოფ. ზერნა. მოჩანს მთის ძირში ეკლესია წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელსა შინა პატრიარქმა ეფოვიმებ ვედრება შესწირა უფალსა 1310 წელს. მისი კედლები-ლაა დარჩენილი. გარდა ამისა არის კიდევ ზერნის თავში ერთ ალაგას (ერთად) სამი ეკლესია. ისინი ვნახე 1887 წელს. დარღვეულია. მრავალი სენაკები ყოფილა მის გარშემო. სჩანს მონასტერი ყოფილა. წარწერა არა არის-რა. მტერს წაუშლია ყოველივე წერილობითი საბუთები.

ზერნის აღმოსავლეთ მხარეს მდებადებს სოფ. ლექართი, აწ უწოდებენ ლეკები „ლექეთ“. ამის ზემოთ, მშვენიერს მოვაკებულს კავკასიის მთის ხეობაში, სამივ მხრით მთებით შემოზღუდულს, მაღალს ალაგას, არის სამი ეკლესია ერთად.

*) ანილი „წოდებული“ № 11.

კირილე დონაური სწერს: „მოიხილა კათალ. ეფთვიმეშ ლე-
ქართს ეკლესია წმ. მოციქულთა-სწორისა ნინასი“. მაგრამ
ვგონებ, ეს ყოფილა მონასტერი. მას დიდი და მშვენიერი
ეზო ჰქონია. მონასტერი გარშემოვლებული ყრფილა გალავ-
ნით. აწ დარღვეულია: შესავალი ალაყაფის კარები, გალა-
ვანში ჩატანებული არის ბჭით, ჰქონია სამხრეთის მხარეს.
ურდოთი უკეტია: ეკლესიები ორი დიდია, სიგრძით თითო
16 არშინიანი, სიგანით 8 არშინი. თაღები ჩამონგრეული
აქვთ, ერთმანერთის უასწერივ და პირ-და-პირ, ერთი ზემოთ,
მეორე ქვემოთ, არიან აშენებულნი 20 არშინის სიშორეზე.
ზემოთას ჰქონია ეკვდერი, რომლის იატაკი დუღაბისა აყრი-
ლია და მარს მოჩანს რაღაცა ღვიძე. შიგ ვერავინ შედის.
მესამე ეკლესია პატარაა და აშენებულია ზემოთა ეკლესის
გვერდზე, ოციოდე ნაბიჯის სიშორეზე. 1875 წელს შიგ
მოვათხრევინე. აღმოჩნდა აკლდამა თაღით გაკეთებული. იმას
ხვრელი ჰქონდა და ზედ იდვა მორგვის ოდენა ქვა. ავაძრო-
ბინე, ჩავძვერი შიგ, ვნახე აკლდამა იყო, ქვითკირით. ორად
გაყოფილი, ჰქონდა შიგ გაკეთებული პატარა ფანჯარა.
ორივეში აღამიანის ქალი იდვა ძვლებითურთ და ისე ეწყო
ისინი, რომ ალბათ დამარხულნი ერთმანერთს უყურებდნენ.
შიგ სხვა არა იყო რა. აღარ ვავნე აკლდამას, ამოვძვერ და
ისევ დავხურე. ღმერთმა ცცხონის მათი სულნი. ვინ იცის,
იქნება ცოლ-ქმარნი იყვნენ, ვინმე დიდებულნი, სჯულისა,
ეროვნების და სამშობლო საქართველოსთვის თავ-დადებულ-
ნი. ღმერთო! შემინდევ ცოდვანი ჩემნი: რამეთუ მე უბად-
რუკმა მიცვალებულნი სამარეშიაც არ მოვასვენე!

ლექართის აღმოსავლეთ მხარეს, კავკასიის მთის კალთებ
ქვეშ, ხეობაში არის სოფ- ყუმი. აქ 1360 სული მცხოვრე-
ბია. ამის ცოტა ქვემოთ არის პატარა სოფელი „სოსკანი“,
მთის ძირას. აქ მცხოვრებლები ყველანი ქართველები არიან,
მაგრამ გამამადიანებულან. მათ შორის არიან ჩემი გვარის

კაცებიცა. აქ ორგან ყოფილა ეკლესია. ორივე დარღვეულა, მაგრამ როდის, არავინ იცის. ხოლო ყუშში არის სამი ეკლესია: ერთი ყუმის თავში, მეორე ყუმის ბოლოს, მინდორში, მესამე შიგ შეუ სოფელშია. ეს უკანასკნელი ეკლესია, უეპველად საეპისკოპოსო ყოფილა. სიგრძე კარის ბჭით აქვს 27 არშინი, სიგანე ცხრა არშინი. მას ჰქონია გვერდებზე ეკვდერები. აწ დარღვეული არიან საფუძვლამდე. შიგნით ჰქონია ცალკე სამკვეთლო და საგანძურო. თავში კიდევ რაღაც შენობა ჰქონია წამატებული. სამი კარი აქვს, დიდროანი, თბილასის სიონის ეკლესიის კარებსავით. აგებული ყოფილა ანჩისხატის ეკლესიასავით. სამი თაღი აქვს და სამივე ორს დიდროვან აგურისაგან აშენებულს სვეტებზეა დამყარებული. ლეკებს ბევრი მეტადინეობა გაუწევიათ, სდომებიათ მათი დარღვევა, უმტვრევიათ აგური წერაქვით, მაგრამ ისე მკვიდრად არის აშენებული, რომ ვერა გაუწყვიათ-რა, მხოლოდ შეუთხელებიათ (სვეტები). თაღი სრულიად ჩამონაგრეული აქვს. ნაშენია რიყის დიდროვანის ქვით, ჩაქუჩით შესწორებულებით. ეტყობა ადგილობრივ ოსტატებს აუშენებიათ. ასრე სთლიან დიდროვან ქვებს რიყისას ახლაც და შენობას აგებენ აქაურები. აგებულია მშვენიერად. თაღამდე სიმაღლე ჰქონია სამ საუენამდე. რითი ყოფილა დახურული არ ეტყობა. თაღის ნანგრევები ლეკებს გაუზიდავთ. შენობისათვის. ეკლესიის შიგნით და გარეთ დიდი უწმინდურებაა ადამიანისა, რადგნა აქვე მახლობლად, საყდრის ეზოშივე, აქვთ გაკეთებული მეჩეთი. სოფლის მდინარე წყალიც კარიბჭისაგან ერთ არშინის სიშორეზე მიმდინარებს. ლეკები აქ წყალზე იბანებიან და მერე მეჩითში სალოცავად მიდიან. სამწუხაროა ასრეთი უწმინდურების ყოფნა ჩვენთა წინაპართა სალოცავის გარშემო. ადგილობრივნი მოხელენი მეტადინეობენ ზისს სუფთად შენახვას, მაგრამ ლეკები ყურადღებას არ აქცევენ მათს განკარგულებას, რადგან ურჩებისათვის წინააღმდეგობის გამწევი არავინ არის. მაგრამ ამაში უფრო დამნაშავეა აღ-

ლობრივი სამღვდელოების დაუდევარობას! ის მოვალეა დაი-
ცას წინაპართა სიწმინდენი. მღვდლები სალოცავად ყოველს
წელიწადს მიღიან და მოღიან, ჰხედავენ ყოველივე უწმინ-
დურობას, მაგრამ ყურადღებას არ აქცივენ. აი აქ სრულდე-
ბა ქრისტე ღმერთის სიტყვები: „მოკვდა მწყემსი, განიბნივ-
ნენ ცხოვარნი“. ამისა გამო ყოველი არხეოლოგიური ნაშთი
უწყისლოდ ოხრდება, იშლება და ვერანდება. ამ ოცის წლის
წინად ყუმის ეკლესიის ეზო ძალიან სუფთად იყო და მისს
გარშემო არც შენობები იყო, და ეზოც ეკლესიისა სასია-
მოვნო სანახავი იყო; ახლა ყოველივე შეცვლილა: ლეკებს
სახლები აუშენებიათ მისს ეზოში და უთესიათ ბოსტანი;
ლობიო, კიტრი, ხახვი, სიმინდი და სხვ. და ეკლესიის კარჯ-
ბი ეკლით ამოუქოლიათ. სამკვეთლოები სავსეა ჩალაბულათი.
წარსულ ზამთარში ლეკები მსხდარიან შიგ და ვირები ჰბმიათ
სამკვეთლოში და საგანძუროში, რომელთაც თაღები ჯერ კი-
დევ მკვიდრად უდგათ. 1899 წელს კიდევ ვნახე ის და ვე-
ლარ ვიცან. ლეკებს დავემდურე ეკლესიის უსუფთაოდ შენა-
ხვისათვის; მაგრამ აბა რა გამოვდ. ამ სამღურავით, პირ-იქიმ,
ისინი მე მემღუროდნენ, რომ მათ მამულში ჩამოვხდი: ეკ-
ლესია და ეკლესიის ეზო იმათ თავიანთ მამულად მიაჩნიათ,
ამისათვის მთხოვეს მათს საკუთრებას არ შევეხო. ჰხედავთ,
მკვლელი ჩემის მამა-პაპისა რას მეუბნება! ვაი ჩვენსა დედა-
ბრობასა და მამულიშვილობას! გარეული კატა მე შინაურ
პატრიონს მაგდებს გარეთ. განა ეს საწყენო არ არის?! რა-
საკვირველია საწყენოა! ეკლესიაც მარიამ დედისა დალონე
ბულა. მის თავზე იმოსულია იფნის ხე, ზედ აპხვევია ვაზი,
შავი ყურძენი ასხია, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რაც
ქრისტემა სთქვა: „მე ვარ ვენაპი და ოქვენ რტონი: რომე-
ლი დაადგრეს ჩემთანა და მე მისთანა, ამან გამოილოს ნა-
ყოფი მრავალი; რამეთუ თვინიერ ჩემსა არა-რა ძალ-გიძსთ
ყოფად არცა ერთი“, დიალ! დავკარგეთ გულ-მხურვალე სა-
რწმუნოება და შემაგვივარდა გულსა და ჰკუაში ღუნება და

დაუდევრობა! გავა კიდევ რამდენიმე დრო და გაჰქრება, განადგურდება, განიავდება და ალიგვება დედამიწის პირიდგან ეს ჩვენთა წინაპართა სამლოცველოც. მაგრამ ჰსჯობს გოდებას თავი დავანებოთ, რადგან ჩვენს ვაისა და ვიშსაც მაღლი არა აქვს.

ამოდენა ეკლესიაზე არავითარი წარწერა არ არის. არც არავინ იცის, იყო ოდესმე მაინც, თუ არა იქნება რამდენ წარწერა კარების თავებზე ეწერა, მაგრამ აწ კარებს თავები ჩამონგრეული აქვთ. ყუმის სახელი არ სჩანს გუჯრებში და სიგელებში. მას იხსენიებს მე-1310 წელს მხოლოდ ქურმუხელი მთავარ-ეპისკოპოსი კირილე ტონაური, და სწერს, რომ ყუმის ეკლესია ყოვლად-წმ. ღვთის-მშობლის სახელობაზე არის აშნებულით, მაგრამ როდის, — არ მოგვითხრობს.

1882 წ. ორი მტკავლის სილრმეზე ამოვათხრევინე შიგ, საცა კანკული, უნდა მდგარიყო, და აღმოჩნდა საკურთხევლის წინ, აღსავლის კარებთან, ამბიონი, და მაშინვე ისევ მიწა მივაყარე, რომ ქართველთა დაუდევარმა თვალებმა აღარ დაინახონ იგი. სხვა დროს კიდე სამხრეთის ეკვდერს, წამატებული შენობა რომ ჰქონია, იმის კედლის მახლობლიდ ლეკი ბოსტანსა რწყავდა; ის რომ შინ წავიდა მე წყალი კედლის ძირს მივუგდე. ცოტას ხანს შეგუბდა წყალი, იქ ბარი ეგდო, ცოტად გავუჩუჩე წინ და წყალი უეცრად ძირს შენობაში ჩაიქცა და მე მაშინვე მიწა მივაყარე და განზე გავდექი, რომ ლეკი არ მოსულიყო და არ შეემცნია. ვფიქრობ, ამ ალაგას, შენობის ძირს, რაღაცა სხვა კიდევ შენობა არის. ვინ იცის, იქნება ან განძთა სამალავი იყოს, ან აკლდამები დიდებულთა და წარჩინებულთა პირთა. ქართლის ცხოვრებაში ერთ ალაგას სწერია: „მოკვდა (1722 წ.) მეფე დავითცა, წარიღეს და დაფლეს ყუმს“ (მე-2 ნაწ. გვ. 136).

ავიდეთ ახლა სოფ. ყუმის თავში. აქ, სოფელზე ცოტა მოშორებით, ყოფილი სხვა ეკლესია ეკვდერებითა და სამკვეთლო-საგანძურით. ეს უფრო კარგი ქვის შენობა ყოფილა,

ვიდრე ყუმის დიდი ეკლესია. პეტრი კარიბჭეც. აწ დაზღვეულია. აშენებულია მაღალს და მშვენიერს. ალაგასა დაჲყურებს ყუმს და ალაზნის მინდვრებს. გარშემო მსხლები და ვაშლებია. ყუმელ ლეკებს სახნავ-სათეს მიწად უქცევით ჩვენი ზვარი—მამა-პაპეული, მაგრამ ხეხილი მაინც ვერ ამოუგდიათ. არავინ იცის, ვისგან არიან ისინი დარგმულნი. თუ თდესმე ეკლესიაში მსახურთა დარგეს, მაშ როგორ გაჲსძლეს აქამდე?! ეკლესია უთუოდ წმ. ფიორგის სახელობაზე, იქნებოდა აშენებული. თეიმურაზი სწერს თავის ისტორიაში, რომ „სადაც იყვნენ საკერპონი უმაღლესთა მწვერვალთა მთათა კავკასიისა. შესცვალეს ქართველთა ტაძრად წმინდისა გორგისა“ (იხ. გვ. 20). სწორედ აი აქ, ამ ეკლესიის მახლობლად, 200 ნაბიეზე არის ერთად ორი საკერპო. ისინი არიან აგურით აშენებულნი ისე ნაირად, რომ მათი წვერი შაქრის თავსავით გამოწვეტებულია, შუაზე გასქელებულია და გამობერილი, ხოლო ძირი ვიწრო და ისეთი მაგრად აქვს, რომ გეგონებათ მოუტანიათ ხელით და განგებ მიწაზე დაუდგამთ თუ თრივე საკერპოს შუაზე და ძირში ხერელები აქვთ, გახედებულნი ერთ მხრიდამ მეორეზე, შუაზე ერთია, ხოლო ძირს რამდენიმე ჟემოთას შიგ დიამეტრში აქვს გარშემო ხერელი, ქამარსავით წელზე შემორტყმული შიგ კედელში მაგრამ გამოჩენილა იმის გამო, რომ ვიღაცას წერაქვით აგურები დაუმტვრევია. ისე მკვიდრად არიან ისინი აშენებულნი დუღაბით, რომ წერაქვით მისი დანგრევა შეუძლებელია. უკვე ბევრი უწვალებიათ ლეკებს თრივე საკერპო წერაქვებით, მაგრამ მთელი აგური მაინც ვერ გამოუქვრიათ — დამტვრეულა. ისინი ისეთი მკვიდრნი არიან, როგორიც იყვნენ ჩვენნი მამა-პაპანი, მაგრამ იქნება იმათაც მალე მოეღოთ ბოლო, რადგან ქართველთა შვილნი მოღაფდნენ. ყუმის მდინარეს, რამელიც მოდის კავკასიის მთებიდგან, ისე ჩაუხრამავს და ჩაულრმავებია თავისი კალაპოტი, რომ საკერპოები აწ ზედ ფლატეზედა. სდგანან, ემზადებიან გადაცვივნას ხევში და

დამარხვეს მდინარის შლამში. მაშინ ვეღარაფერი მოაგონებს მგზავრს ზოროასტრის სახელს და ქართველთა დამარხულ სარწმუნოებრივ კულტს!

დავეშვეთ ახლა აქედგან, გავიაროთ ს. ყუმი, გავიდეთ ბოლოს მინდორზე, მივიდეთ დაობლებულს ეკლესიასთან და ენახოთ მჩსი თავ-გადასავალი. უწინ ეკლესია აქ მარტოდ არ ყოფილა. მას თავისი მრევლი ჰყოლია. ნასოფლარობა ამ ალაგს ეხლაც ეტყობა. ის აღუოხრებია, დაუნგრევია, დაურღვევია ისტორიისაგან შეჩვენებულს შააბაზს. მე-XVII საუკუნის დამდეგში შეს კაკში და ყუმში, აქაურ ქართველებთან დიდი ომი ჰქონია. უკანასკნელთ თავ-გან წირულად უომნიათ, შერმაზან ჯანაშვილის მეთაურობით. მას ჰყოლია ექვსი ძმა ისინი ყოფილან თავიდნი ყუმისა. თავიანთის ჯარების ყველა ძმები ჯანაშვილები შეპბრინ უღმრთო შააბაზს. მათ სიმაგრე ჰქონიათ სოფე კაკის ბოლოს „მათეს ყალაში“. ძლიერ უომნიათ. ბევრი მისი ჯარი ამოუწყვეტიათ. ექვსი ძმა ომში და ხოცილან. გადარჩენილა სიკვდილს მხოლოდ შარმაზან ჯანაშვილი, და ესეც შააბაზს ტყვედ ჩაჰვარდნია ხელში ყუმის ბრძოლაში. მყისვე მოკვდა სდომებია; მაგრამ წახურის თავიდი კამაზაშვილი (ეხლაც არიან კამაზაშვილები წახურში) გადაპლობებია წინ შააბაზს და უთქვამს: „მაგის მეტი ჯანაშვილი ალარავინ არის; ექვსი ძმა დაიხოცნენ ომში, თუ მაგასაც მოჰკლავ, ეს ჭვეყანა სრულიად მოიშლება და განადგურდება. გთხოვ მაგისი სიცოცხლე მე მაჩუქოო“.— „რა უნარი და გავლენა აქვს მაგასაო“, — უკითხავს შააბაზს კამაზაშვილისთვის. — „ყუმი მაგას ეკუთვნის და ისეთი მდიდარია სარჩოთი, რომ შეუძლიან დღეს შენს ჯარს პური აქამის თაფლითაო“.— ხოლო თაფლი, ხომ იცით, როგორ უყვართ მაჰმადის მორწმუნეთ თათარსა ჰკითხეს: „თაფლი უფრო გიყვარს, თუ ღმერთის“, და იმან დიდის მწუხარებით სთქვა: „შენ, კაი კაცო! რა ღმერთ შეუა რად ჩამაგდეო; მე არ შემიძლიან მთში ერთი ვაჭო, მეორე ვაძაგო; მე ერთიც მიყვარს და

მეორეცაო". თაფლის გაგონებაზე შააბაზსაც და მის ჯარსაც გული მოულბათ. დასხეს ჯარი აწ დაობლებულ ეკლესიასთან და შარმაზან ჯანაშვილმა თაფლით პური აქამა მათ. ამის შემდეგ შააბაზმა ის აღარ მოკლა, მაგრამ თავადობა ჩამოართო და თ. კამაზაშვილის აზნაურად ჩაწერა სიგელში. ეს სიგელი ჰქონდათ ხელში წახურელ კამაზაშვილებს ამ მახლობელს დროშდე. თავიანთის ბეგობის დასამტკიცებლად, 1868 წელს, ის გადასცეს ზაქათალაში, „საბეგო კომისიას“, და აწ ძალიან ვსწუხვარ, რომ მისი პირი არ ავიღე და არ გადმოვაქართულე. შააბაზს შემდეგში, შარმაზან ჯანაშვილისათვის მიწა-წყალიც ჩამოურთმევია ყუმში და მიუცია ვიღაცა ბეგის-თვის. ეს ვიღაცა ბეგი დასახლებულა ყუმში, მაგრამ ლეკები რომ ჩამოსულან იქ, ძალიან შეუწუხვებიათ იქ, მას ვეღარ უცხოვრია აქ, მიუკიდნია მთლად ყუმშ მათთვის და თვითონ გადასახლებულა ყაშხაჩიში (სოფელია კაკის საბოქაულოსი). ეს ნასყიდობის სიგელი თათრულს ენაზე დაწერილი, ყუმე-ლებს ეხლაც აქვთ, მაგრამ მთავრობამ მაინც არ იცნო მათი ჭალალდი საბუთად და არ დაუმტკიცათ მიწები საკუთრებად.

ყუმი ეხლაც შესანიშნავი სოფელია. ეს არის, თუ ასე ითქმის, მადანი წაბლისა ზაქათალის ოლქში. აგრეთვე ბევრია აქ ფუტკარი და კარგი თაფლიც მოდის. უწინაც, სხვა თა შორის თაფლით ყოფილა შესანიშნავი. კაკში ფოლადა-შვილებს ერთი გაყრის სიგელი აქვთ ხელში, რომელიც სპარსულ ენაზეა დაწერილი 1555 წელს და იქ ყუმი მოხსენებულია ასე: „ყუმ ბალდათ შააბ“, ესე იგი ყუმი არის თაფლის ქალაქი.

შააბაზს შერმაზან ჯანაშვილისათვის მიწები რომ ჩამოურთმევია ყუმში, მისი შთამომავლობა იღარ დამდგარა იქ და გადასახლებულა ს. კაკს. აქ კასრის-სამებასთან არის მთა, რომელსაც კაკელები ეძახიან „საყარაულო“. ამ მთის მახლობლად, კობალას წყლის მარცხენა მხარეს, ველზე, აუგია

კოშკი და შიგ მდგარა ერთი ჯანაშვილთაგანი მათე, რომლის სახელი ერქო კოშკი, ამ მახლობელს დრომდე. მაგრამ ვჯუ უცოდინარობა! მე რომ თბილისში ვსწავლობდი (1855—1865 წ.), ბიძა ჩემს ალექსანდრე ჯანაშვილს, ძირიანად დაენგრია ის. მინდორს ეხლაც „მათეს-ყალა“ ჰქვიან, მაგრამ, უკაცრაოდ, ახლა ექვე ახალი სოფელია გაშენებული. მათეს შთამომავლობა შემდეგში აქედგან გადასახლებულა. სოფელ მოსულში ალაზნის პირად. გადასახლების მიზეზად ის გამხდარა, რომ მათეს ერთს შვილთაგანს მოუკლავს თავის ბიძა-შვილის (ჯანაშვილისა) ცოლი პატარძლობაში. მისი შეროვა მკვლელს სდომებია, მაგრამ ქალი მას არ გაჰყოლია და მეორე ჯანაშვილს მისთხოვებია. ამაზე გაჯავრებულმა მოსკრა პატარძალს თავი და წყალში (როცა ის კოკით იღებდა) ჩააგდო მოძებნეს, იპოვეს მდინარე წყალში კრძელის თმებით ხეების ძირკვეში, გაბმული წიწილებით. ამის შემდეგ მკვლელს გამოუცვლია გვარი, გადასახლებულა სხვა ინგილოს სოფ. მოსულში. დღეს მისი შთამომავლობა იწოდება გვარად „მათე-შვილი“. მუსულმანები არიან, მაგრამ ჯანაშვილებს კიდევ გვენათესავებიან, ლაპარაკობენ წმინდა ქართულს ენაზე, ვითარცა სხვა მოსულელები და ჰკიცხავენ პაპის საქციელს.

მოვედით ახლა ჩვენც კაკში. დროა, დავიწეროთ პირ-ჯვარი, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ახლა კაკის ავ-კარგიანობის ოღწერას:

სოფ. კაკი მდებარებს კავკასიის მთის ძირას ხეობაში. ს. ყუმსა და მას შუა ორი ვერსი მანძილია. იგი ჩემი სამშობლოა. ის მომწყვდეულია კავკასიის მთის კალთებით, რომელნიც აქ გრძლად არიან ჩამოშეულნი ალაზნის მინდვრისაკენ. ჩრდილოეთის მხარეს მთას ჰქვიან „ულუბაშ“, აღმოსავლეთ-სამხრეთის სუკს ეძახიან დიდი და პატარა. აზნაურის მთები, დასავლეთისას „საყარაულო“-ს მთა. სოფელი შათ შუა მომწყვდეულია და ისეთ სიმაგრეს შეადგენენ სოფლისას, რომ ჩტერს ძნელად შეუძლიან ექვესვლა, თუ სოფლის

ბოლოს, დასავლეთ-სამხრეთისაკენ დარაჯი დაუდგა წინ, და
თუ შევა, მოემწყვდევა შიგ ბოლოდამ. ასეა შემოფარგლუ-
ლი უკვე აღწერილნი ლეკის სოფლებიცა: კატები, მაწეხი,
ჭარი, მუხახი და სხვა.

სოფ. კაკში მკვიდრობს ორი ხალხი: ქართველები-ინ-
გილოები და თათრები. თათრები შააბაზის შემდეგ დასახლე-
ბულან. ისინი მონლოლთა შთამომავალნი ჭრიან. ასახლიან
კაკის სამხრეთ მხარეს ერთად და ჯგუფად, და არიან არე-
ულნი ქართველებში. არიან კიდევ კაკის თავში. სულ მათი
რიცხვი 200 კომლამდეა. ვინც ესენი კაკში დაასახლა, ეტ-
ყობა ის განზრახხა პერნდა, რომ მუსულმანი ხალხის შეა-
მოამწყვდიოს ქართველები. მაგრამ ეს უკანასკნელნი მუდამ
მეთაურობდნენ კაკში და დღესაც მეთაურნა არიან. იმათი
რიცხვი აღსარების ფქმის სიით 400 კომლია. იმათ დაუკით-
ხავად თათრებს არა შეუძლიანთ რა გააკეთონ სოფელში.
მთავრობაც უპირატესობას ქართველებს აძლევს, როგორც
უუძველეს აქაურს მცხოვრებთ. მთავრობასას. კაკი მიაჩნია
ქართველთა სოფლად, ამისათვის თათრებს კაკის შედაფებს
უწოდებს. ამ 15 წლის წინათ იმათა და კაკელებს მამასახ-
ლისიც ერთი ჰყანდათ და ძალიან ტკბილად და მშვიდობია-
ნად სცხოვრებდნენ ერთმანერთთან. ეხლაც მშვიდობიანად
სცხოვრებენ, მაგრამ არა უწინდებულად. ბოქაულმა მერკუ-
ლოვმა ისინი გაჰყარა და თათრებს ცალკე მამასახლისი მისცა.
და თუმცა დაუმორჩილა კაკის მამასახლისს, მაგრამ ისინი
მაინც ცალკე ეწევიან ბეგარასა და ხარჯს, და უოველივე
მოვალეობას წინაშე მთაერობისა. ამათ ქართული ენა არ
იციან, ხოლო ინგილოება დიდშა და პატარამ, ყველამ უწ-
ყის თათრული სასაუბრო ენა ზედ მიწევნით.

თათრები გარშემო ახვევიან კაკის ბაზარი ეხლა
განიყოფება ორად. წინათ დუქნები მარტო გალავანში მო-
მწყვდეული იყვნენ. ახლა ორად განიყოფება. დალისტნის
დაპყრობის შემდეგ შრავალი დუქნებია ვაკეთებული შოსსეს

გზის პირად, მის ჩაყოლებაზე. ძველს, გალავანში მყოფს, ბაზარს ბევრად ჰსჯობია გარეთი ბაზარი, როგორც დუქნებით, ისე ვაჭრობით, მაგრამ მაინც საკიცხავ სახელს ეძახიან „შეითან ბაზარ“ (ეშმაკთა ბაზარი). აქვეა „შეითან არუთინნც“. აქ ბევრის თრ-სართულიანი სახლებიცა. არიან ბაკებიც. ვაჭრობა დიდია. მოვაჭრენი არიან სომხები და ნუხელი თათრები, უკანასკნელნი ძალიან გამრავლდნენ აქ და კიდევაც მრავლდებიან. წინათ კი თითქმის არ იყვნენ ისინი. მათ შორის ფარჩით ვაჭრობს ერთი ქართველიც, ხოლო ყასპები ბევრნი არიან. სულ ერთიანად ვაჭართა დუქნები რრასამდეა, იყიდება: ფარჩა, თხილი, კაკალი, წაბლი, ხორბალი, თრიმლი, ლვინო, ბრინჯი და სხვ. კაკს უფრო დიდი ვაჭრობა აქვს, ფილრე ზაქათალას, რაღგან ნუხა ქალაქსა და ზაქათალას შუა მრებარებს. ამ სახით ისა ჰერაკლიანის დაბა-ქალაქს, თუმცა ჯერ არის ცნობილი ამ ხარისხით.

ამ ეამაღ კაკის მცხოვრებლები: ქართველები, თათრები და მოვაჭრენი 800 კომლია. მაგრამ უწინდელი კაკი (მე-XIII საუკუნეში) ეხლანდელთან შედარებით ბევრად დიდი ყოფილა. ამას ამტკიცებენ ძველებურნი, აწ ოხრად მგდომნი, ეკლესიანი. მათი რიცხვი თორმეტამდეა. ერთი მათგანი უკვე ახლდება კაკის ბოლოს (სოფელში), რომელსაც ხალხი „ალა-ვერდის“ ეკლესიას ეძახის. აშენებენ კაკელები თავის ხარაჭით, და აწ ალავერდობას, 14 სექტემბერს, აქ დღესასწაულობენ.

უეჭველია, რომ კაკი უწინ დაბა-ქალაქი ყოფილა ის შოიხესენება მ. კალანკატვაკის მესამე წიგნში, რომელსაც ალბანიის ისტორია ჰქვიან. ჩვენებური წოდება „კაკი“ იმას სომხურს ენაზედ გამოუთქვამს „კაკუა“, — და ეძახის დაბა-ქალაქს. ალბანიის ანუ ჰერეთის მეფის ვარაზ თირდატის დროს († 705), სწერს ის, დიდი შიმშილობა იყო ალბანიაშიო, და მრავალნი მოუთხრობდნენ ფეტვის იგავ-არაკს: „მე,

უეტვი *) შაქის მახლობლად ვიმალებოდი დაბა-ქალაქს კა-
კუაშიო (კაკში). ბევრმა გაჭარმა გაიარა ჩემს მახლობლად
და პირი ამიქცია, და არ მინდომეს; მაგრამ აგერ დადგა
მარჯვე დრო: ჩემმა ძმამ, შიმშილმა, დაიწყო ბატონობა, და
მაშინ მე ძალიან სანუკვარი გავხდა ვარაზ თირდატისა და
კათალიკოსის ელიაზარის სოფრაზე, მაგრამ ვინც მე შემჭამა
იმას სულ სისხლი ვანთხევინე გულიდგან, და გთხოვთ მაპა-
ტიოთ, შემინდოთ**) (იხ. ისტ. ალბ. კალან. გვ. 254. პატკ.).
იმავე კაკს ის იხსენიებს პირველს წიგნში ორს ალაგას და
უწოდებს სახელად „გაკუ“, და მოუთხრობს, რომ აქაურს
ერთს მონასტერში მოწამენი არიან დასაფლავებულნიო (იხ.
გვ. 30 და 42).

ქართულს ისტორიულ მატიანებში, გუჯრებში და სი-
გელებში კაკი არსად იხსენება 1040 წლამდე. ამ წელს ის
იხსენება მეფე ბაგრატ მე-IV-ს გუჯარში, რომლიდგანაც
სჩანს, რომ მას შეუწირავს კაკის სოფლის ვაჭართაგან 12
კომლი (იხ. ქ.-ცხ. I ნაწ. გვ. 222); ხოლო ქორდანიას სი-
ტყვით 2 (იხ. ქრონიკები, გვ. 185). თუ მივიღებთ მხედვე-
ლობაში დელლავალლეს ჰაზრს, რომ ქართველების ფიქრით
ა, ქალაქებში უნდა იცხოვრონ მდაბალ ხალხის კაცებმა და
ხელოსნებმა, რომელთაც შეუძლიანთ იქ მიეცნენ ვაჭრობას
და ალებ-მიცემობას, და ეს ჰაზრი ისე გავრცელებულია ქარ-
თველებში, რომ იმისთანებსაც, რომელნიც არ არიან აზნა-
ურნი, ეძაგვებით ქალაქში ცხოვრება, რაიმე ხელობა და ვა-
ჭრობაში ვარჯიშობა; როგორც ხელობას, ისე ვაჭრობას

*) ახლაც კაკში ბლობად შოტეავთ უეტვი, აქ უილიანდენ მას
დამატებიც და სჭამენ ფეტვის პურს — მჭადს.

**) არის გადმოცემა: ალიბეგლოვანი კაკში ფეტვის შედები
შეჭამა, ისე დაეწო გული, რომ შეძით წამოვარდა სუფრიდამ, გა-
მოეჭდა სახლის პატრონს. გზაზე უკან იურებოდა, კაპლი არ და-
მეწიოს, არ გამაჩეროს და კიდევ მჭადი არ მაჭამისო.

ქართველები უთმობენ უცხო ქვეყნელებს, მაგალითად სოჭ-
ხებს, ურიებს და სხვებს მათს მგზავსებს, ხოლო თვითონ
თავის ცხოვრებას ატარებენ ან ომიანობაში, როცა საჭიროა,
ან ეკლესიის სამსახურში და უმეტესი ნაწილი მეცადინეობს
თავიანთ მიწების შემუშავებას; — მაშინ ვაჭრების კაცში ყოფნა
მე-XI საუკუნეში უნდა მივიღოთ იმის დასამტკიცებელ სა-
ბუთად, რომ კაკი ან ქალაქი, ან დაბა-ქალაქი ყოფილია (იხ.
მოხსენება დელლავალლესი, 1627 წ. უურ. ივერია 1879 წ.
გვ. 32).

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ა. ქ. ვ.

რ უ ს უ დ ა ნ *

(დასასრული)

მოქმედება მეტეთე

ჩგანება ।

ჭუთაისი, სამეფო სასახლე. დარბაზში რესუდანი ზის ტახტზე.

რუს: ვინ იცის, რა ყოფაშია ეხლა ქალაქი ტფილისი. მის ასაოხრებლად წყეული ჯელალ-ედ-დინ მოვიდა. ავაგიც მის მამის კვალს გაჰყვა. იმანაც გვიღალატა. ბიჯნისი-დამ ფეხი არ მოიცვალა. ტფილისის დასაცველად დავ-ტოვე თავადები და მათ უფროსებად ბოცო და მემნა. ბოცოს ძენი, იფრინდა გაშომიგზავნეთ-მეთქი, დავაბარე, და ყოველივე შემატყობინეთ. მიკვირს, რად დაიგვიანეს და აქამდის არა მაცნობეს-რა.

(შემოდის მეტარე)

მეტარე. ხელმწიფელ, ქალაქიდამ იფრინდა გიახლათ.

რუს. ვისაც გულით მოველოდი! ახლავე შემოიყვანე!

(შემოდის იფრინდა)

იფრინდა. (თავს უქრავს) ხელმწიფელ!

რუს. თქვი, ჩქარა!

იფრ. დავიღუპენით!

რუს. თქვი, ჩქარა!

იფრ. ტფილისი აიღეს.

რუს. გატეხეს?

*) ახ. „მოგზაური“ № 11.

იფრ. არა, შინა გამცემელი გამოჩნდა!

რუს. როგორ? ვინ?

იფრ. მტრებს ტფილისელი გაეზრახათ, კარები გაულო!

რუს. მერე სად იყო ბოცო? რას აკეთებდა მემნა?

იფრ. გამცემელი მიეპარა ბოცოს, როდესაც იგი ციხეს
ათვალიერებდა. თავს ქვა უხეთქა, მოკლა, კარები გაა-
ღო და სპარსნი შემოუშვა...

რუს. (დროვისწით) ის იუდა, ისა! მერე, განაგრძე?

იფრ. მტრებმა უწყალოდ გაულიტეს ქართველნი. დედათ
შვილები და უსუსური ბავშვები წაართვეს, მიწას დაა-
ხეთქეს და გასრისეს. საყდრები დაანგრიეს და შებილ-
წეს. სახლები გადასწვეს. ბერნი დანაყეს და ცხენებს
გააქელინეს. ქრისტიანეთა სისხლი რუებრ აღინეს ყველა
ქუჩებში. სიონის გუმბათი ჩამოაგდეს, ზედ ყაენი ჯე-
ლალ-ელ-დინი დასვეს და ქრისტიანეთა ულეტის აყურე-
ბინეს. ავლაბრის ხიდზე დაგდეს სიონის ყოვლად-წმიდა
ლვთის-მშობლის ხატი, ქრისტიანეთ აქელინეს და ვინც
მათ არ დაემორჩილა, მტკვარში უკრეს თავი. დაიღუპა
სულ 100,000 ქრისტიანე. დავიღუპენით; დედოფალო!
საქართველო გაოხრდა, დიდო მბრძანებელო!

(ცრემლით იხთშება და გადის)

რუს. (ტირის) ვად შენ ჩემო პალატო, ვად ჩემო ციხე-დარ
ბაზო, შადრევნებო, ბალო და ბალჩაო! რა რიგ მიყვარ-
და მანდ ნებიერად ყოფნა, ალერსი, სიყვარული, ტრფი-
ალი, მორქმით ტახტს ჯდომა. (ნელა-ნელა წენარდება და
შერე გულასად) ცე, მაღლობა მენ, უფალო! ვის დავემ-
დურებით! თქმულა: რასაც განგება მოგცემს, იმასვე
წაგართმევს, თუ უნდაო! დიდებულ ხარ, უფალო, და
გამოუცნობელ არიან განგებანი შენნი! ამინ იყავნ ნება
შენი! მხოლოდ ეს არის საღრტვინველი, რომ ამდენ
უბედურებას როგორლა გადურჩები! სევდა ბოლოს მო-
შილებს! რამდენი კი ვეწვალე, რომ გვირგვინი დამედგა

ჩემს უბედურს თავზე! რისთვის მერე? რომ მენახა მარ-
ტო სიმწარე? ახლა ლაშას შვილიც წამოიზარდა და
ტახტს მოითხოვს, თუ დროზედ ბოლო არ მოუდე!
ჩემი ვაჟი დავით უკვე ექვსი წლისაა, ხოლო ლაშას ძე
დავითი მაზედ უფროსია. მეფის ანდერძით ტახტი ამი-
სია. გარნა ეს არ იქნების: დავითი უკანონო შვილია
და ჩემი დავითი კი კანონიერი. ლაშას ძე უნდა დაიღუ-
პოს, რომ ჩემს დავითს მეფობა ერგოს. მგონი სიძე მა-
შველის ამ საქმეში. სიძე ჩემი ყიასდინ *), საბერძნეთის
სულთნის შვილი, რომელსაც ჰყავს ჩემი მშვენიერი
აული თამარ, უეპველად დამეხმარება. მას გავუგზავნი
დავით ლაშას ძეს. (გადის)

მ გ ე ნ ე ბ ა II

იგივე დარბაზი. შემოდის რუსუდან და მერე იფრინდა.

რუს. ჩემი ექვსი წლის დავით უკვე მეფედ გამოვაცხადე.
კათალიკოზმაც აკურთხა. იმერთა, აფხაზთა და სვანთ
მეფედ აღიარეს. ლაშას ძე კი სიძეს გავუგზავნე. ამერთ
ეხლა არა სცალიანთ მტრის შემოსევისა გამო, თორებ
იგინიც, უეპველია, ჩემს დავითს გაახელმწიფებდნენ.
როდის წარწყმდება ჯელალ-ედ-დინი, რომ ცოტა მო-
ვისვენოთ!

(შემოდის შეკარე)

მეგარე. ხელმწიფეო, ქალაქიდამ იფრინდა მოიჭრა!

რუს. შემოვიდეს!

(იფრინდა შემოდის)

იფრინდა. იცოცხლეთ, ხელმწიფეო, ჯელალ-ედ-დინი და-
მარცხდა!

რუს. (სისარულია) მაღლობა ღმერთს! როდის? სად?

*.) იგივე გაიათ უდიდის.

იფრ. ბასიანს. მწყემსებმა დაახრჩეს.

რუს. მერე იქ რა უნდოდა?

იფრ. თათრებს გაექცა.

რუს. თათრებიც მოვიდნენ?

იფრ. როგორ არა! განჯილამ შემოვიდნენ. გამოედევნენ ჯელალ-ედ-დინს, რომელიც ბასიანს წარივლტო და იქ კი, უკვე მოგახსენეთ, მოჰკლეს.

რუს. თათრები სად-ლა წავიდნენ?

იფრ. სადა და მოედვნენ მთელს ამერიკას: ქართლს, კახეთს, სამცხეს, სომხეთს, დაარბიეს და დააქციეს.

რუს. (დოკუმენტია) ავაგი სადღაა, ან შანშე და ვარამ გაგელი?

იფრ. ავაგმა მოციქულები გაუგზავნა ჩალატარ ნოინს, მშვიდობა ითხოვა და ხარკის ძლევას დაპირდა. ნოინშაც შეიწყნარა მისი თხოვნა, ავაგი მთავრად დაამტკიცა და აწ მშვიდობით სუფექს თავის სამფლობელოში!

რუს. ეგ მოღალატე, ეგა!

იფრ. შანშე მანდატურთ-უხუცესიც ავაგის კვალს გაჰყვა და იმანაც მშვიდობა და დიდება მოიპოვა.

რუს. უყურეთ ერთი. შაგათ მუხთლობას!

იფრ. ვარამ გაგელი ზაქარიას ძეც ისრევე, როგორც ავაგი და შანშე.

რუს. ვარამისაგან კი სწორედ არ მოველოდი ლალატს!

იფრ. რის ლალატი? ჩალატარსვე მიენდვნენ ცერ-კახნი, ქართლელნი, თორელი გამრეკელი, სარგის თმოწველი, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი. თათრებს არ მიენდვნენ მარტო მესხნი და ამის გამო ჩალატარმა აიკლო სამცხე და 10,000-მდე ქართველი აღწყვიტა!

რუს. ამდენი მსხვერპლი! 100,000 ტფილისში მომიკლეს, 10,000 სამცხეში, ამაზედაც მეტი ბერდუჯზედა და გარნისზედ შალვა ახალციხელთან ერთად! ლმერთო, მოგვხედე წყალობითა შენითა მოსავთა შენთა!

იფრ. აწ ივანე ციხისჯვარელმა თქვენთან მაფრინა, დედოფალო, და დამაბარა: „გთხოვთ, ხელმწიფეო, თქვენც შეურიგდეთ ჩალატარს და მით დაიხსნათ ქვეყანა აოხრებისაგანაო“.

რუს. რომ გვიღალატონ?

იფრ. თათარნი მტკიცე პირისანი არიან. ფიცს არ გასტეხავენ არას გზით. ივანე ციხისჯვარელი უკვე მოელაპარაკა ჩალატარს და იგი დიდის სასოებითა და სიხარულით მოელის თქვენს დაბრუნებასა და მეფე დავითისას.

რუს. კეთილი, მოვიტიქრებ, და თუ ეგრეთი თხოვნა კიდევ განმიმეორეს, მე თვით წარვალ ტფილისს და მეფე-შვილსაც წავიყვან. გული კი მითქვამს, რომ კეთილი არ მოგველის თათართა მინდობით. წადი ახლა, ივანე ციხისჯვარელი მომიკითხე. მის ერთგულებას ჩვენ დავაფასებთ.

იფრ. იცოცხელეთ, დიდო პატრონო (თავს უკრავს და გადის).

რა მზ მა და ჩამო ჩვენება III

ტფილისი დარიადად მორთული დარბაზი გადამწვარის სასახლისა.

რუსუდან მარტოკა ზის დაღონებული.

რუს. (ნაფედიანის ბრით დიდისები)

სე, დრონი, დრონი,

სანეტარონი,

თამარის დრონი

საბრწყინვალონი,

სატრფიალონი,

მოსაგრანანი,

მოსაწონონი,

ზარმცემნი დრონი,

სავაშკაცონი,

და საგმირონი!

ავედით მწვერვალს,
აღმართ აღმავალს,
მყინვარზედ მაღალს,
ცისაკენ სავალს!
ვმუსრავლით მტარვალს,
და აღმოსავალს
წელიწად მრავალს
ვუჩენდით გზა-კვალს!
შემდეგ დავქანდით,
დაღმართს, ჩავქანდით,
უფსკრულს ჩავცვიდით!
მივდიგართ დიდით
დაღმართს სისწრაფით!
საღლა შევდგებით,
გამოიცანით
და თქვენ მითხარით!

(ჩაფიქრების შემდგბ)

ჟეშმარიტად, მსოფლიო კალო ყოფილა, გარნა მასზედ
ყანა კი არა, ილეწება თავისუფლება! ილეწება და კი-
დეც ნიავდება! განა რამდენი წლისა ვარ, რაც ვცო-
ცხლობ! სულ რაღაც 40 წლისა და ამ ორმოც წელი-
წალში კი გაილეწა კალო სპარსეთისა, ჩინეთისა, სინ-
დისა, ხლათისა და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა
მილეთისა! ახლა ილეწება ჩვენი კალოც! ნეტარ-ხსენე-
ბულის დედაჩემის შემდეგ დაქანდა ჩვენი ხომალდი
თვალ-უწვდენელ მწვერვალითგან. ნახევარი სამეფო ჩვე-
ნი აიკლეს ჯერ სპარსელებმა და ახლა მუსრავენ მას-
თათოები! გაიკლიტა 200,000-მდე ქართველი. მაშ ეს
კალოს ლეწა არ არის?! კალოზედ ძნა ილეწება და აქ
კი ადამიანები! ცე, ჩვენც ქარი გვიქროდა და ჩვენც
კარგი კალოს მლეწავები ვიყავით, გარნა წარვიდნენ ის
დრონი. ჩვენც ხარკი მოგვდიოდა სპარსეთიდამ, აღარ-

ზადაგანიდგან, ხლათიდგან და ახლა თვით მოხარკე და
მონა გავხდით! ჭ დრონი, დრონი, ყოვლად ცვალებად-
ნი! წინას უკან აყენებს, დრო-უაში და უკანას წინ მიე-
ლალება! რა მოგველის შემდეგ ამისა, მხოლოდ მაღალ-
მა ღმერთმა უწყის! მე კი გადმომიტყუილეს თათრებმა,
დიდებულად დამიხვდნენ, ტახტი დამიბრუნეს და შვილი-
შეფე კი მომტაცეს და ყარაყურუმს წარგზავნეს: დიდმა
ყაენმა უნდა ინახულოს და მეფობა დაუმტკიცოსო!
სხვათა დამამტკიცებელს მეფესაც თვით დამტკიცება
მოუნდა! მერე ვისგან? ველურებისა და ბილწ თათრების
უფროსისაგან! რაა ამგვარი გამეფება და პატრიონობა!
ეს მეფობა კი არ არის, ნამდვილი მონობაა! და ან სად
არის დამტკიცებაც! აგრეს რამდენი ხანი გავიდა, და
ჩემი შვილი კი ისევ იქა ჰყავთ! ახლა იმასაც აშბობენ,
რომ საქართველოს ტახტი რუსუდანის ძეს კი არა,
ლაშას ძეს დავითს ეკუთვნისო! ისიც ყარაყურუმს
წარმოგზავნეთ, მაღალი ყაენი ორთავე დავითების უფ-
ლებას გაარჩევსო და, ვისაც უპირატესობა აქვს, იმას
დაამტკიცებსო! რაღად მინდა ეს თავი, თუ ლაშას ძე
გამეფდა და ჩემი საყვარელი დავით კი ტყვეობაში და-
შთა! დავით ლაშას ძეს უსათუოდ ბოლო უნდა მოე-
ლოს! ყიასდინი, სიძე ჩემი, რომელსაც თურქნი გაიათ-
ედ-დინს უწოდებენ, კეთილი გულის კაცია, ლაშას ძე
დიდს პატივში ჰყავს, თუმცალა ორჯელ მიმიწერია, წე-
რილი: ჩვენი მეტოქე დავით ლაშას ძე დაღუპეო, მაგ-
რამ იგი ჩემს თხოვნას არ ასმენს. დამრჩენია კიდევ
ერთი ღონე და ეს კი უებარი იქნება! აქამდის გრძლად
ვწერდი სიძეს და არ შეისმინა, ახლა კი მოკლედ მივ-
წერ და ასე: (შაგიდასთნ მიჯის, კაჯაში იდებს, ჯდება და
სწერს):

„ჩემო საყვარელო სიძეო გაიათ-ედ-დინ! ნადირი
ბუნებისა კი ნუ გგონივარ, რომ ჩემის ძმისწულის მო-

კვლას გთხოვდი და გავალებდი. მე ამას იმიტომ გავალებდი, რომ ჩემი ძმისწული დავით ჰყვარობს და თანა-ეყოფვის ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა თამარს; და ესრეთ დამოკიდებულება მათ შორის იმის მიზეზია, რომ თამარი მაგას მოსარჩევობს. ახლა, თუ კაცი ხარ და პირზედ ულვაში გასხია, შენ იცი და შენმა სვინი-ღისმა! როგორც დედა თამარისა და მამიდა დავით ლა-შას ძისა, ამას გატყობინებ. ამით ყოველი ბრალი ამი-კრია ჩემგან და ზელი გადამიბანია. იყავ დღეგრძელ და, უმეტეს ყოვლისა, მრძენ, ვითარცა გველი!

რუსულან". *)

ახლავე ვმ წერილს "გავუგზავნი და როგორ იქნება, რომ ჩენი საქმე არ მოგვარდეს! (ჰყოფას წერილს და გადის).

ზღვის ზიდე მცხოვ ზონაში. მენაგები, დავით ლაშას ძე და ამისთ ბიჭი როგორ სოსნა.

უფროს მენაგე. დავით ლაშას ძევ, რისთვის განგირისბდა სიძე შენი გაიათ-ედ-დინ, რომელსაც ყიასდინს ეძახით თქვენებურად?

დაგით. მამიდამ (ილი-დამწამა) და გაიათ-ედ-დინს მოსწერა.

შენს ცოლს ეტრფიალებაო და თანაეყოფვისო.

უფრ. მენაგე. მაშ ჩენი დედოფალი გურჯი-ხათუნ შენი მა-მიდას ქალია?

დაგით. დიალ!

უფრ. მენაგე. გურჯი-ხათუნ აქ ყველას წმიდანად მიგვაჩნდა და ნუ თუ მაგისთანა სიბილწეს ჩაიდენდა! მერე გაიათ-ედ-დინსაც მაგისთვის გადაგიწყვიტა ზლვაში ჩაგდება?

*) ქართლ. ცხ. 366—367.

დავთ. დიალ! წერილი რომ მოუვიდა, უზომოდ განრესხდა სიბრაზით გაყვითლდა, მეუღლე სტანჯა, ხატი და ჯვარი დაუღეწა, ხუცესნი დაუხოცა, თვითონაც გაამარმადიანა, მეც ბევრი მცემა, მგვემა და ზღვაში ჩასრიბა. გადამიწყვიტა. ბევრი ვეფიცე, ბევრი ვიმართლე თავი, გარნა არა გამოვიდა-რა. ღმერთმა უწყის, რომ მე მამილისთვის არა დამიშავებია-რა. იგი ყრმობითგანვე მემტერების. მამა ჩემიც მან დაღუპა და მისი მიზეზით ახლა ამ ზღვაში უნდა შთავინთქე! ღმერთო, შემიბრალე, უდანაშაულო მონა შენი!

როგორ სჭანა. ნუ გეშინიან, ბატონიშვილო, ჩემო საყვარელო ხელმწიფეო! მართალს კაცი, თქმულა, არა თუ ღმერთი გასწირავსო, არამედ ზღვაც არ ჩასძირავსო. შეევედრე ყოვლის მხილველს და ზღვაში უშიშრად გადავარდი, იცოდე, ნაფოტსაც რომ მოეჭიდო, წყალი მაინც არ დაგძირავს, რადგან უბრალო ხარ და უმწიკვლო წინაშე ღვთისა და კაცთა!

დავთ ლაშას მე. (იჩქენეს და დამთბიერად ცრემლმორუელი დოცულობს მაღლა ხელ-აპურთმით):

„ყოვლად წმიდაო დედოფალო, დედაო მხსნელისა ჩვენისა იესო ქრისტესო, ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშინისმცემელო, შენ შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინისმცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უმსჯავროდ სიკუდილისა: რამეთუ სამარესა და მიწასა შინაცა დაფლვად არავინ ღირს-მყო; რამეთუ საჭმლად თევზთა მივეცი და საჭლავი ჩემი არა საცნაურ იქმნების. არამედ, მოწყალებათა შენთა მინდობილი, ვითხოვ უკანასკნელსა ამას ოხვანსა, შინა, რათა მიხსნა ჰაერის მცველთა ხელთაგან და საშინელთა მათ სატანჯველთაგან, რომელსა მრვლიან ჩემებრ ცოდვილნი და ბრალეულნი“ *).

*) ქართლ. ცხრავრ. 368!

ჭფი. მენაგე. ამხანაგებო, დავითს გააძრეთ ყოველივე საცემო და ზღვაში გადააგდეთ. ასრე გვიბრძანა ჩვენმა ხელმწიფებ.

მენაგები. ახლავე, ბატონო! (დავითს სდინ ტანისამოსს და ზღვაში აგდებენ).

ჩვენ ება V

შინდორი იქთხის შიდამოს. მოჩხსს დახურული ჯურდმული. აქეთ მფდის როგორი სასხა. რომელსაც დრი გუდა ჰყიდია. *)

როგორი სასხა. (ათვალიერებს შიდამოს) აკი ვთქვი, უდანაშაულო კაცს ღმერთი არ გასწირავსო. ჩემი ბატონიშვილი წყალმა ვერ დასძირა. თურშე ნაფოტს მოეჭიდა; ტალღას გაპყვა და მესამე დღეს ერთს უდაბურ ადგილის გამოვიდა. იქაც ღმერთი შეეწია: ერთი ღვთისნიერი ვაჟარი შეხვდა. ვაჟარმა შეიტყო მისი ვინაობა, შინ წარყვანა და შვილივით დაიცვა ექვს თვეს. მერე ხმა გავრცელდა, რომ ბატონიშვილი ვაჟარს ჰყავსო. გაიათედინმაც შეიტყო. მენავეთ ხოძლვარს დააბრალა მისი გადარჩენა, იგი მოკლა და დავითი ჯურდმულში ჩააგდო და მასთანვე ჩაყარა გესლიანი გველები, ასპიტები და ლრიანკლები. ♫ მე!.. (ეძებს ჯურდმულს) აქეთ არისო, მითხრეს. ჯურდმულზე დიდი ლოდი ადგვსო. ნეტავო მივაგნო! საცოდავი! თამარ ბრწყინვალის შვილისშვილი და ეს ყოფა! ტყუილად წა არ თქმულა: ბრწყინვალებისა და შავბნელობას შორის მხოლოდ ერთი შეწვის ადენი მანძილით! გუშინ მხოლოდ ჩააგდეს და ნეტავო ვიპოვნო! აგერ რაღაც მოჩანს. (შარბის) აა, ეს არის, ესა (მიდის აქვთას, უკრძალებელს ადგმს სარქველს) რაღაც ხმაურობას! (ისევ უურს ადებს და ასმინება) სწორედ მისი ხმაა! ჩავძა

*) ქართ. ცხ. 368 — 369.

ხო ერთი (ჩასქასი) ბატონიშვილო!!! დავით ბატონი-შვილო!!!

დავით ლაშას ძე. (ჯურლმულიდამ ისმის შიგნავებული ხმა) სოსნა, შენა?

სოსნა რაჭთა. მე ვარ, ბატონიშვილო, წყალი და პური მოგიტანე. ლოდს გადავაგორებ და ჩამოგაწვდი! (აგრესის დოდის) აჲა, დაიჭი! ამ გუდით პური მოგიტანე (აწვდის) და ამ გუდით კი წყალი, აბა ესეც დაიჭი (აწვდის).

დავით. (ქანც გაწუვეტილი ხმით) სოსნა, სოსნა, ჩემო სოსნა!! (გმინავს) რა უზომოდ გამახარე, რომ კიდევ ერთხელ დაგინახე! შენ მაგრე გველები და ასპარები მყვანან ამხანაგად, ამათ ველაპარაკები და ამათ ვეალერსები! ესენი უფრო კეთილნი და მოწყალენი ყოფილიან, ვიდრე ჩემი მამიდა და მის გვარნი აღამიანები! რა დავუშავე! ჩემი ბრალია, რომ ტახტის მემკვიდრედ დავიბადე! მე-ფობა უნდოდა და ვინ იყო შემცილებელი! იმფეხდა ნებიერად და მე ვიცხოვრებდი ისე, როგორც საცხოვ-რობენ ათასნი და ურიცხვნო მე! აწ ჩემი ახალგაზ-დობა აქ უნდა დაჭინეს და დაილოოს!!

სოსნა. (გმინებთა და ტირილით) ნუ სწუხ ბატონიშვილო, და-კოდილს გულს ნუ მიდაგავ! დაუყოვნება აღარ, შეიძლება: დამინახვენ და შენი ნახვა ყოვლად შეუძლებელი შე-იქმნება. აწ წავალ. გულს ნუ გაიტეხავ ევედრე ღმერთს და ტაგიცავს ის, რომელმაც დაიცვა სამწი ყრმანი, ღვევლფში ჩაყრილნი.

დავით. (გმინებით) ვილოცავ, სოსნა, ვილოცავ!

სოსნა. ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი დავით ბატონიშვილი! ერთიც შემომხედე, ბატონიშვილი, და შენის ხილვით დამატებე.

დავით. აჲა, დასტკბი უბედურის და განწირულის კაცის ხილვით!

სოსნა. მშვიდობით! იცოცხლენს სასუების ნუ წარიწყვეტ! (ლოდს ადგილს შე მიაგრებს და შედის)

ჩ გ ე ნ ე ბ ა VI

ჭუდნდიდი. დადიანების სისხლის დაწაზი. შერგილ დადიანის მეუღლე ნათელა, სული ბეკა სურამელისა. მისი ძე როტენ დადიანი და გრიგოლ სურამელი, პაპა ნათელისი. (სხედან და საუბრობენ).

ნათელა. ვიდრემდის უნდა ვითმინოთ ამდენი სიავეცაცე? მოთმინების ფიალი აივსო! უწმილურებამ მთლად შებილწა საქართველო! უსვინიდისობამ დათრგუნა ყოველივე აღამიანური ლირსება და ურცხვად პარპაში იწყო! ძმობა, ერთობა სამარცხვინო საქმედ შეიქმნა! თავისუფლება მოლალატემ გაპყიდა! რაღა ვართ დღეს ჩვენ? სათამაშო და საგორებელი ბურთი! მეწველი, გარნა უენო ძროხა! ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეკუთვნის! ჩვენს ნებაზე ჩვენ აღარ გვატარებენ! თათრის ნოინები ბატონებად გაგვიხდნენ! უსვინიდისო ასპიტი კი ისევ და ისევ გარუცნილობის მორევში ცურავს! ვერ გაძლა ამდენის ბოროტებით! ძმა უდროვოდ დალუპა! ძმისწულსა და საკუთარს შვილსაც კი უღალატა! თვრს სიძეს ყიასლინს გაასრესინა ორთავე! ნუ თუ საქართველოში ამოწყდა რიგიანი კაცი, რომ ვერ ამჩნევს ამდენს ვაებას? რატომ თქვენ მაინც, პაპაჩემო, თავს არ გამოიდებთ და გაონავრებულს სულთამხუთავს ფრთებს. არ შეაკვეცთ?

გრიგოლ სურამელი. ჩემო ნათელა, ჩემო თვალის სინათლევ, ბევრნი არიან გაგებული კაცები, მაგრამ რა ქნან? გვირგვინოსანს და ღუთის ნაკურთხს როგორ შეეხნენ? ამას გარდა, თათართ ძალაც უამრავია და ამ ძალას ებჯინება იგრ, რომ თავისი შვილი დავით გაამეფოს, ქრთაში ძლვენი და ყოველგვარი საბოძვარი არ შურს თათრისთვის, ოლონდ მათ აუსრულონ გულითადი წადილი და დავით დაუგვირგვინონ.

ხუდულა. რათ უნდა ისეთი გვირგვინი, რომლის ქვეშე იქმნებიან არა თავისუფალ მეუედ, არამედ მონად? განა ვერ

შეიგნეს უბადრუკებმა, რომ თათრები ხელმწიფებს
აძლევენ მხოლოდ ოქროს გვირგვინებს და არა ოქროს
თავისუფლებას?

გთ. სურ. ნათელავ, ნათლით შემოსილო, თავმოყვარე კაცი
წუთიერი სიამით ცოცხლობს! ოქროს გვირგვინის დევ-
ნაშე მაგათ ლაშის დაპარგონ გვირგვინიცა და საქართ-
ველოც! აგრ რამდენი ხანია, ნოინებმა ყარაყორუმს
წარგზავნეს სულთნები ხლათისა და საბერძნეთისა, სა-
ქართველოს შეფედ გამოცხადებული დავით რუსუდანის
ქე, ავაგ ათაბაგი, რომელიც, როგორც ამბობენ, და-
მოუკიდებელ მთავრად გახდომას ეძიებს. დიალ, ესენი
წარგზავნეს, გარნა თათრებს ჯერ არც ერთი არ შეუ-
მოსიათ ძოწითა და პორტირით და არც ერთი არ დაუ-
ბრუნებიათ დიდებით! რუსუდანი გრძნობს, რომ საქარ-
თველოში დღეს მეფეებად არიან ნოინები, იტანჯვის-
თავის ლირსების დამცირებით, და თუმცა მეგობრად
ეჩვენება მათ, მაგრამ ამავე დროს იგი რომის პაპსაც
საიდუმლოდ ეხვეწება გვიშველეო, ჯვაროსანთ ლაშქა-
რი მოგვაშველეო, გარნა სად არის შველი! თურქი
თვით პაპსაც უჭირებენ საქმეს! საქართველოს სახსნელი
სახსარი ერთად ერთია: შეერთება მთავრებისა და ერის-
თვებისა. გარნა ჩვენს დედოფალს დახშვია ამის გაგების
ნიჭი. ზოგიერთი მთავრები დაუხლოვებია და შეუყვა-
რებია, ზოგი დაუშორებია და შეუძულებია. ამის გამო
ჩვენი დიდებულები თავის ძალ-ღონეს პლევენ ჭორებსა,
მითქმა-მოთქმასა და ერთურთის კრტიმლვაში. თითქმის
ყოველი მათგანი სცდილობს: ოლონდ მე ვიყო და სხვე-
ბი გინდ დაიღუპნენო! ასრეთი დაწვრილმანება კაცთა
არსად გაფონილა! ყველა ბლავის: მე, მე, მეო! ეგარს-
ლან ბაჟურციხელს რომ ჰკითხოთ, ის არის. მხოლოდ
კაცი და იმას ჸსურავს ქუდი! კახეთ-ტერეთის ნოინის
შვარველობით იგი ჯე ქვეყნის შეფაბასაც ჩემულობს!

დედოფალსა იმდენი სულიერი სიძლიერე არა აქვს, რომ ამისთანა ქვებუდანა კაცები ალაგოს, ხოლო ქვეყნის გულშემატკიცარი მთავრები შეაერთოს და გამოიყენოს!

ცოცხე. რუსულანის შორს განუჭრეტელობა სწორეთ საარაკოა: იმის მაგიერ რომ ზავი შეეკრა ხლათისა და საბერძნეთის სულთნებთან, შეაერთებინა თვისნი ქვეშევრდომნი და თათრებს წინ დახვედროდა, იმან გააბა ათასნაირი ქსელი, გადაეკიდა ყველას, მოიძულა შარვაშე, ხლათის სულთანი, ნიორ-წყალი აურია თავის სიძეს ყიასდინს. მისსავე ხრიკებს ვაბრალებ, რომ ამ სულთანს თათრებმა გაუოხრეს მთელი ქვეყანა და დაუხოცეს მხედართ მთავრები: აფხაზი შარვაშიძე დარღან და თორელი ფარადავლა, შალვა ახალციხელის ძე. დედოფლისავე უზნეო მაგალითების მიზეზით დღეს ჩვენში გავრცელდა ბეზლაობა, ჯაშუშობა, ძმათა. გაყიდვა, კრტიმლვა, ქირდვა. კოხტისთავს რომ შევიყარენით ქართველთ დიდებულნი და ვითაბირეთ შესახებ საქართველოს განთავისუფლებისა, გამოჩენდა იუდის კერძთაგანი, რომელმაც გაგვცა და მისგამო ჩვენი მამულის განთავისუფლება განუსაზღვრელ დროისთვის გადიდო.

ნათელა. შეიღო, რალა მაგიების მოგონება გვჭირია! რომ უფსკრულში ჩავცივნულვართ, ეს ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის. ვაშკაცი შვილი მყენხარ და აბა თუ გამოსძებნი საქართველოს განთავისუფლების სახსარს!

ცოცხე. საყვარელო დედავ, წინადაც ბევრი მიფიქრია მაგ კითხვის შესახებ და მუდაშ ერთს დასკვაზე შევმდგარვარ; ჩვენი ხსნა შეუძლიან მხოლოდ ერთობას: უნდა შეერთდნენ ქართლი, კახეთი, სომხითი, მესხეთი, იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და აჭარა. ყველა ამ კუთხეების ერის მთავრები ძმურად და ერთგულად რომ მივესივნეთ თათრებს, იგონი ვერ გაგვიმაგრდებიან!

ნათელა. მარტინ ქართველები ვერას გახდებიან! უნდა შოვი-
წვიოთ აგრეთვე სომხები, ოსები, ჩერქეზნი, ლლილვნი
და ლეკნი. ყველანი თარგამოსის ძენი ფართ და ერთად
უნდა შევებრძოლოთ მტერს!

გრიგ. სურ. ცოტნე და ნათელა, ჩემი აქ მოსვლის მიზეზიც
სწორედ ეგ არის. სურამს შევყარე შანშე, ვარამ გაგე-
ლი, ყეარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, თორელი
გამრეკელი, ორბელი და მრავალნი სხვანი დიღებულნი.
ყრილობას დავტკითხე საქართველოს აწინდელ მდგომა-
რეობის შესახებ. ძება ვყავით და დავასკვენით: ვსთხო-
ვოთ თათრების უფროსს ნოინს მოგვცეს ნება მოვძე-
ბნოთ დავით ლაშას ძე, ომელიც, როგორც გვაუწყა
როვთხ სოსნაშ, თურმე ხუთი წელიწადია, რაც ჯურ-
ლმულში იტანჯება!

ნათელა. (განცვითურებით) დავით ლაშას ძე ურუხალიონ!
ცოტნე. ეგ კაი ამბავია!

გრიგ. სურ. დიახ, ვთხოვეთ ნებაც დაგჭრთო და განკარგუ-
ლებაც მთახდინა, რომ, უკეთუ ცოცხალარს, დაუბრ-
კოლებრივ დაგვითმონ. მეფედ ჩვენ დავით ლაშას ძე
გვინდა. მას ხელმწიფებას ქვეშე გვსურს შევჯგუფდეთ
ყველა ქართველნი და კავკასიელნი.

ცოტნე. თუ თათრები საიდუმლო აზრს არ მიგვიხდნენ!

გრ. სურ. ვერ მიგვიხდებიან. უფროსმა ნოინმა დიდის სიხა-
რულით მიიღო ჩვენი წინადადება.

ნათელა. პაპავ, თქვენც არ მოგატყუოსთ, როგორც მოატყუა
რუსულანი!

ცოტნე. ჯერ მეფობა აღუთქვა და მერე კი, ხელში რომ
იგდო, ყარაყორუმს წარგზავნა!

გრ. სურ. დავით ლაშას ძის მოყვანა დიდს სიკეთეს გვიქადის:
თათრების დიდი ყავნი გამშეფეხს ან ერთს, ან მეორეს
და ან ორივეს მოჰკლავს. ორთავე შემთხვევაში გადა-

სწყდება ჩვენი ორქოფად ყოფნის ვაღა და რამე გარდა წყვეტილს გზას დავადგებით.

ნათელა. კეთილი, კეთილი! თქვენი გარდაწყვეტილება მოსაწონია. მითხარით აწ ისიც, ვინ გამგზავნეთ დავით ლაშას ძის მოსაძებნელად და მოსაყვანად?

გრ. სურ. წარვალნენ სარგის თმოგველი და ვარამ გაგელი. ამათ კარგად იციან იმ ქვეყნის ენები, საცა. იტანჯება დავითი.

ცოტნე. თუ დავით ბატონიშვილი მართლა ცოცხალია, სწორეთ ალსრულდება ველისციხელის მეუღლის წინასწარმეტყველება: ჩვენი დავით ბედის პერანგიანი დაიბადა და, ღმერთმა. თუ იპრიანა, იმეფებსო!

გრ. სურ. შვილო ცოტნე, აწ შენ იცი და შენმა ვაშკაცობამ, როგორ შემოგვეწევი. ჩემი ნათქვამი შეატყობინებულა დიდებულ კაცებს და ისე კი, რომ ან რუსულანმა და ან თათრებმა არ შეიტყონ! რუსულანი ისეც ილევა მწუხარებისაგან და ესეც რომ შეიტყოს, ყოველ ღონეს იხმარს, რომ განზრახვა ჩაგვიშალოს!

ცოტნე. ძვირფასო პაპავ, ენდეთ ჩემს ყმაწვილკაცობას!

ნათელა. (ხელაშურდათ) ღმერთო, შენ შეივეღრე ლოცვა ჩვენი, შეიწყალე მმოსავი ერი შენი, გაუმარჯვე თავის-უფლებისათვის მებრძოლ ჭართველებს.

გრ. სურ. ამინ იყავნ!

ცოტნე. გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ! (წამთიშვებიან და გადიან).

ჩ გ ნ ე ბ ა VII

მინდორი იყონის ახლოს. ჯურდმულს შიადგებან როგორ სისხა, სარგის თმოგველი და ვარამ გაგელი. *)

ვარამ. გაგული. სრული შვიდი წელიწადია, რაც საცოდავი დავით ამ ჯურლმულში დამარხულა!

*) ქართ. ცხ. 377, 378.

სარგის თმოგვე. სოსნა ამბობს ცოცხალიან! იქნება ცოცხალიც არის, მაგრამ ეგ არა თუ მეფედ, მგონია, კაცადაც აღარ გამოდგეს!

გარდა გაგედა. ნესტი და შმორი შაგასაც დააშძორებდა! სარგის თმოგვე ლოდი გადააგორე, სოსნა, და გვაჩვენე ბატონიშვილი!

როგორ სოსნა. ახლავე, ბატონი! (აგრძელებს ჭოდნ). სარგის თმოგვე. (იხედება ჭურდმულში) კაცო, ცოცხალია! უარამ გაგედა. (ჩაიხედავს ჭურდმულში და ჩასძიხს) ბატონი-შვილი და აწ ჩვენო ხელმწიფეო!

დავით დაშას მე. ვინ ხარ შენ და ან ეგ ვინ არის შენთან? სარგის თმოგვე. ვერ გვიცნობ, ხელმწიფეო, ნარგის თმო-

გველსა და ვარამ გაგელს?!

როგორ სოსნა. შენი ქვეშევრდომები არიან, ზელმწიფეო, საქართველოს ტახტს გილოცავენ! ღმერთმა მოგხედა მართალსა, ზშობრძანდი ჯურდმულიდამ!

დავით დაშას მე. (შეკრთმით) სოსნა, აქამდის ერთგულად გამსახურნია, ნუ გამცემ, თორემ ახლა კი ცოცხალს აღარ დამარჩენ ენ! მაგ კაცებს ვერ ვიცნობ და ვერც ვენ დობი?

როგორ სოსნა. რა დაგიფხულ, როგორ დაგარწმუნო, რომ ეს კაცები საქართველოდგან გამოგზავნილნი არიან და ერთგულნი ყმანია შენი, ჩემო ხელმწიფეო!

დავით დაშას მე. ცე, თუნდაც მიღებატო, მაინც ამოვალ! აქ დალპობას, ის არა სჯობია, ერთი მზის სინათლე ვნახო და შერე გავთავდე!

როგორ სოსნა. მუხთლობას ნუ შემომწამებ, ხელმწიფეო! გარწმუნებ, ღმერთმა ისმინა ჩვენი ვედრება და მართალს მოგხედა უფალმა!

სარგის თმოგვე. დაიჯერე, ხელმწიფეო, რომ შენი გამეფება სურამში გარდავწყვიტეთ ქართველთ ღიდებულებმა.

უარამ გაგედა. გრიგოლ სურამელმა ჩვენ აქეთ გამოგვგზავნა.

და თვითონ ღმერეთს წავიდა იქაურ თავადებთან მოსა-
რაპარაკებლად შენის გამეფების შესახებ. ნათელა და
მისი შვილი ცოტნე დადიანი საქართველოსთვის თავდა-
დებულნი არიან და შენს დაბრუნებას ბედის ვარსკვლა-
ვივით მიეგებებიან, გთხოვთ ამობრძანდე!

დაგით დაშას მე. ჩამოუშვით თოკი, და მაცალეთ კი, გამო-
ვეთხოვო ჩემს ჯურლმულის ამხანაგებს (თჟუს აწვდას,
დაშას ქე კი შოსთქვაშს): მშვიდობით, ჩემო მეგობრებო!
ჩემო ჭრელო გველო, რამდენჯერ დაგიხსნივარ განსაკუ-
დელისაგან! ამ ჯურლმულში შენი ლოგინი ჩემი მუცე-
ლი იყო და, თუმცა თავათ ცივი ხარ, გარნა მე კი მა-
თბობდი! შენც მშვიდობათ, შავო გველო და შენც, ასე
პიტო! ლამე უბეში მიძვრებოდით და, თუმცა ძილში
ზედ გაწვებოდით, მაინც არ მშხამავდით! მშვიდობით,
წითელო გველებო! თევენ მილოშნიდით ტანს და თქვე-
ნის ენით მბანავდით! მშვიდობით, თქვენც ლრიან კლებო,
რომ თქვენის აძრომ-ჩამოძრომით და ფუსტუსით მარ-
თობდით და მოსაწყენ დროს მიმოკლებდით! მშვიდობით
ერთბამ ჯურლმულის ყველა ქვემძრომნო! თქვენს ამაგს
არ დავივიწყებ მე, ვიდრე ცოცხალ ვარ! სათნოებით
თქვენ აღემატენით ჩემს მამიდას! მშვიდობით! მშვიდო-
ბით! (მაღლა ამოიძახებს): აბა ახლა ამწიეთ? (ამოსწევენ და
ამოიუგან; ნ).

სარგის თმოგგ. (დაშინებით) ხელმწიფელ!

გარდამ გაგმლა. (შეკრთომით) პატრონო ჩვენო!

დავით დაშას მე. რათ გეშინიანთ? ნაღირს ვგევარ განა! არას
დაგიშავებთ განაღირებული! თმები კოჭამდის. ჩამომი-
გზელდა. ფრჩხილები მკლავის სიგრძედ გამეზარდა,
ჭუჭუ-ბაყლი ტანზედ გადამეკრა, მაგრამ სული ისევ ძევ-
ლანდელი შემრჩა! ნუ გეშინიანთ, ჭირმა სულგრძელება
მომცა! მიპატიებია იმათთვისაც, ვინც პატიების ლირი
არ არიან. მარქვით, მართლა ხელმწიფელ გინდივართ?

უკელა ერთხმად. დიახ, ხელმწიფეო!

დაგით დაშას მე. მე მკვდარი. ხელმწიფელ-ლა გამოვდგები? სარგას თმოგველა. მზის სხივი გაცოცხლებს, ხელმწიფეო! ვარამ გაგელი. იცოცხლეთ, ხელმწიფეო, მრავალ კაშიერ! როგორ სოსნა. ღმერთიმც შეგეწევა, მეფეო!

დაგით დაშას მე. მაშ წავიდეთ?

(შიდან უკელასი).

ჩ გ ე ნ ე ბ ა V III

უსანეთის სასახლის დარბაზ მორთული თთაში.

შემოდის რუსულან.

ჰუსუდან. რაღა საჭირო კითხვა: ვიყო თუ არ ვიყო?! აქ უნდა დავლიო სული! რაღად მინდა ასრეთი სიცოცხლე! ვულალატე ძმას, ძმისწულს, საკუთარს ასულს, სიძეს, მთავრებს, ქვეყანას საქართველოს! ვისთვის რის შაქნის ღარ? ფუჭად დავლიე დღენი ჩემნი! და არა ხოლო ფუჭად, ბოროტადაც! პირდ ლირსების მოსაპოებლად რა არ ჩავიდინე? — ღალატი, ორპირობა, გველური მისისინება! რას მივაღწიე მერე? იმას, რომ ცოდო ბევრი ჩავიდინე. და ჩემს ლირსებას კი ვერა შევმატე რა! ან მაქვს ღა ლირსება? არავითარი! მოვაყივლე ჩემი გვარ-ტომი, მწიკვლი მივცხე ჩემს განსვენებულს წმიდა წინა-ვრებს! მოსვენებაც დავკარგე! ღამეც დღედ გამიხდა! დავწვები დასაძინებლად, და ჩავიძინებ თუ არა, ათას-გვარი ლანდი ძილს მიკრთხობს! ხან მეჩვენება სხივოსანი დედაჩემი, რისხვით მოიწევს ჩემზე, ჩემი გაქრობა და დანელება უნდა; ხან კიდე ჩნდება სხვა ლანდი, შავი, საზარელი, რქოსანი, დიდრონ კბილებიანი; დგება ჩემ წინ, იფაფრება, ტატყებს ჩემკენ იწვდის, რომ მომხვი-ოს: კუპრში უნდა ჩაგაგდოო! ბეწვის ხიდი ვერ გზი-დავსო! შენოვის ცეცხლის და კუპრის მორევი მზათ.

არისო! ვადემე, რა საშინელებაა ამისთანა ლანდ-აჩრდი-
ლის კვრეტა! ჭირის ოფლი მასხამს, ვწნები შიშით,
სუნთქვა მეყვრის, გულს დაგა-დუგი გაუდის, ვბორგავ
დაკლულისავით, რისყოფით გონს მოვდივარ ტა თვა-
ლებს ვაჟყეტ! ფუ, ამ ყოფას! ცოცხლად ჯოჯოხეთში
ვიწვი! რად გამაჩინა ღრეულობა, რომ ასრე მტანჯავს?
რატომ მეც გლეხის გოგოდ არ დამბადა! ეხლა ხომ
მეც მასავით ტკბილად ვიცხოვდებდი, ქმარ-შვილით გა-
ვიხარებდი, მოცლის დროს ცანგალის შემოუვლიდი!
ცე ღმერთო, რად დაწესე მეფობა! გვირგვინის ტარება
მძიმე ხელობა ყოფილა! მავრამ რას ვამბობ? გვირგვინის
სიმძიმე მხოლოდ მჩატე კაცს სჭილეტავს!, ხოლო გო-
ნიერს კი იგი კიდევც ემსუბუქება; გონიერი აბრწყინვებს
ბრჭყვიალა გვირგვინს რა ალქატი მეფე კი უფრო აძნე-
ლებს! რად მინდოდა გვირგვინი, თუ მას ასე უსაზომოდ
დავაბნელებდი! ცე, წამხდარს საქმეს რაღა გამოაბრუ-
ნებს! ქვეყნის მოვლის დიდობოვანი სდომების და მე კი
ჩემის პატია ტვინით მოვინდომე საქართველოს საჭეს
პყობა! შევაცურე ხომალდი ზღვაში, საჭე მოვუსვი
უვიცად, ხომალდი ნაპრალს მიგახეთქე, შიგ მყოფნი
განსაცდელში ჩავყარე და ახლა მეც - ვიძირები! ახია
ჩემზედ, სწორედ ახია! ბოროტი დაკუთხეს და ახლა ბო-
როტსვე ვჰქი! როგორდა ვიცხოცხლოვისიც დაღუბული-
მეგონა და ცოცხალი კი მოიყვანეს და მეფობას უმტკი-
ცებენ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულნი! ნათერამაც კი მი-
ლალატა, ჩემმა ყრმობის ამხანაგმა! წახდა ჩემი წინასწარ
განზრახულება! მამიდავ, რა დაგიშავე, რომ ასრე მწა-
რედ მაწამე და მტანჯეო, როგორ არ შემაბრალე შენი-
შმისწულით და შენ მიერვე აღზრდილი ჭაბუკიო! მაგ-
რამ მიპატიებიან! ჭირა დიდსულოვნობაა! ჩემ მიერ
შოკლული მევე შიწყნარებს! სწორედ მალალი ლირსების
კაცია დავით ლაშას ძე! არა, მე აღარ მეცხოვერება!

ბოლო უნდა მოუღო ჩემს თავს! ჯ, შვილო დავით,
ნეტავ ერთი კიდევ მენახვე და მერე მოყმკვდარვიყავ!
აშ ტყვეობაში ილევა შენი ყმაწვილკაცობა, და მან-
დეთკენვე გამოისტუმრეს შენი მეტოქე დავით ლაშას ძე,
განალა გერგება მეფობა! მაგრამ კმარა გოლება! კმარა
მუდმივი კანკალი, კრთომა! (თითითივან იძრბის ბეჭედს და
აცქერდება მას) ამაში არის პაწია წვეთი, ოომელიც მო-
მასვენებს საუკუნოდ (ისუტავს სამსაფას) რა მწარე ყო-
ფილა! მწარეა და მწარე სიცოცხლეს გამიტკბილება!
ვად რა საზარლად დამიარა გულ-ღვიძლში! ხა-ხა-ხა!
ჩემი სიხარულის დღეც ეს არის! მთელს ჩემს მეფობაში
ასრე ტკბილად არ გამიცინა! გასჭრა! (ბარბატებს და
ტახტებს მიესვენება) ვკვდები!.. ვილევი!.. ვთავდები!..
ჩემო დავით!.. ტახტი!.. გვირგვინი! (საზარლად ბორცვების
და სულს ლევს სიტყვით): დიდება!.. თავისუფლობა!..
არა!.. ჯოჯოხეთი... ჩემსავით ბოროტ გენიოსს!..

პ 6 ტ ლ 6 0 1

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი

(თ. ურდანიასი *).

როდესაც ირაკლი II-ის ოჯახშიაც იჩინა თავი უთანხმოებამ, აქაც კათალიკოსმა თვისის გავლენით მშვიდობიანობა ჩამოაგდო, ირაკლის უფროსი შვილი გიორგი მამას ეწინააღმდეგებოდა, რადგან მას ეგონა რომ მემკვიდრეობას ასცილდება და სხვა შვილებზედ გადავაო¹). მან ინება (გორგიმ) მიმხრობოდა შეთქმულებს**) (ნ დეკემბერს 1755 წ.).

*) ი. „შოგზაური“ № 11.

1) „ცხოვრება გიორგი XIII, „ივერია“ 1879 წ. № № 9 და 10, გვ. 93—95.

**) ეს საზიზდარი შეთქმულება ვრცელად არის აღწერილი შოგრის ა. ფრედიანის თხზულებაში (გაზეთი „კავკაზ“ 1846 წ. № 34, გვ. 136), აგრეთვე (Brossef Nist. de la Georgia II, limr 2, p. 238. 439; ქართ. ცხ. II, 506). ამ შეთქმულების სულის ჩამდგმელი იყო ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი პატა, რომელმაც მიიღო განათლება რესულში და მიიღო ცეკვე არტილერიის ხელობა. რესულიდან კონსტანტინებობოთ მოვიდა აგი საქართველო-დაში. ირაკლიმ ძლიერ კარგად მიიღო ის; მაგრამ პატამ საიდუმლოდ მთახდინა შეთქმულება მასზედ ქართველს თავადებში. 1756 წლისათვის ძოშადებულიერნებ ამბოხების მთსახდესად. მიზეზი იყო შემდეგი: 16 ნოემბერს 1756 წ. ივერიის ეკლესიაში კათალიკოსის ბრძანებით და ირაკლის წინადაღებით მთახდინა კანონიკო ქორწინების დარღვევა გიორგი ამაფახუასაც და მისი შეუღლის ეფი-

რომელთაც უნდოდა მეტის ღარატი²). იგივე თანაგრძნობით მიეგება ორაკლი II-ზე შედეგენილსა ლექსანდრე ამილახვრის-მიერ საწინააღმდეგო წიგნს რუსულს ენაზედ პეტერბურგში დაბეჭდილს 1779 წელს ამ სათაურით: „История Георгіанская о юношѣ Амилахваровѣ“ (უძღვნის პატემკინს) და მიუხედავად იმისა, რომ იგი უნდა მოესჭოთ მეტის პრძანებით,

Ієвдії, Мірзіліс დის შორის: შატამ აჩაზედ თავაღები დააუკანა
ფეხზედ და მოიხდომა შევის მოკვდა. შეთქმულება გამოაშეარავდა
5 დეკემბერს 1765 წ. აქ ერიგნენ, გარდა შატასი, დიმიტრი ამი-
ლახვარი, ძე მისი ალექსანდრე, გლახა ციციშვილი, კლიმბარ თათ-
კორიძე; დავით უ აბდულ-ბეგისა. სალხება რომ ეს გაიგო მეფეს
აღარ აცალეს და მოდალატენი თვითთან დასაჯეს: შატას და დავითს
თქმა თავები დასჭრეს, კლიმბარ თათკარიძე ციცელში ჩაგდეს,
დიმიტრი ამილახვარი შესვეს ვიზუედ და ჩამოატარეს ქალაქში, მის
ქას ალექსანდრეს მჟავრეს ცხვარი, ციციშვილს — ესა, დასამიძეს
— ცალი ხელი და ზეალები დასთხარეს. მეფემ აფრიკა,
რომ შეეჩერებათ ამისთანა სასტიკი სასჭელა, მარკამ შატას და
დავითს თავები დაჭრილი ჭრნდათ უკვე. ამისთანა სამწერაო ამ-
ბავშა სალხებს ეჭვი შეტანისა კათალიკოსზედაცა: შატა იუთ ბიძა
კათალიკოსისა და ამისთანავე მისი მეგობარი (*Nistoria Georgia*
II limr. 2, p. 493); იხ. „მზა-მეტშველება“), დავითი იუთ
მისი ძმის-წული; ამ ამბოხებას ამისთანავე მიზნად ჭრნდა ქართლის
ფასტის დაბრუნება კათალიკოსის ხათესავებისათვის, რომელიც ვახ-
ტანგიდგან მომდინარეობდნენ; დიმიტრი და ალექსანდრე ამილახვარ-
ნი იუგნენ ძმის-წული გიგი ამილახვარისა და, მაშასადამე, ხათესავ-
ნი კათალიკოსისა. გარდა ამისა ეს იმითიც მტკიცდებოდა, რომ შე-
თქმულება მოხდა ანტონისა და შატას რუსეთიდან დაბრუნების
შემდეგ. ირაკლი ამ ხმებს უკრალდებას ან აქცევდა, მაგრამ ამ ამბავშ
რუსეთამდინარე კი მიეღწია და იქ გაკოცელებულიყო ხმა თითქა
შევეს კათალიკოსი შეთქმულობისათვის ციხის კედლიდან გადმოგ-
ვის. (Буткова, „Матеріаль для нової історії Кав-

გადაათარგმნინა ქართულს ენაზედ³⁾). როდესაც ქართლელმა თავადებმა ოლარ ისურვეს მეფის მორჩილება და მოიწვიეს ლეკები საქართველოს დასარბევად, მაშინ მეფემ და პატრიარქმა გადასწყვიტეს დაებოლოებიათ ეს აჯანყება. ამისათვის შესდგა კრება სასულიერო და საერო წოდებისაგან. კრებას შეადგენდა: კათალიკოსი, რვა მთავარ-ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და თვითონ მეფე უმაღლესი ამაღლითურთ. კრებამ დაადგინა: წაერთოს ამ თავადებს როგორც სამშობლოს მოლალატებს მამული და გლეხები და ოლარ იყოს სრულიად ქსნის და არაგვის ერისთაობა⁴⁾. კრების გარდაწყვეტილებაზედ ხელი მოაწერეს მეფემ, კათალიკოსმა და იქ მყოფმა ყველა სასულიერო და საერო წოდების პირებმა. მხოლოდ ერთი ბატონის შვილი გიორგი არ აწერდა ხელს ამ გარდაწყვეტილებაზედ, რითაც მოიგო გული. მეფის მოწინააღმდეგებისა, მაგრამ, როდესაც ბრძანების კილოთი უთხრა მეფემ, მაშინ კი დასთანხმდა ხელის მოწერაზედ და ბეჭდის დასმა ზედ⁵⁾. ყველა ამისთანა შემთხვევაში ანტონს მეფის მხარე

კავა“, გვ. 115). — ზემოხსენებული ალექსანდრე აშილაშვანი 1722 წელში 1 იანვარს კათალიკოსთან ერთად მოვიდა რუსეთში (იხ. „ქ. შორის წ. გიორგის საზ-ების“ გამავრცელებელის წიგნი № 187), და გახდა მთხისერი მტერი მეფისა. შორის მიღების მიღების ბაქარის ძისაგან ტახტის დაბრუნების საქმეში. სან წერით და ხან სიტყვიერად ავრცელებდა იგი ცრუ ხმებს. შესახებ მეფის შიროვნებისა. ამასვე ეკუთვნის ირაკლიზე შედგენილი წიგნი: „История Георгіанской о юношѣ Амилахваровѣ“.

²⁾ იქვე გვ. 95—96. Prossef N. d. c. II, limr. II, p. 238—439.

³⁾ იქვე, გვ. 94—95.

⁴⁾ იქვე.

⁵⁾ ცხოვრება გოლოგი XIII, „ივერია“ 1879 წ. №№ 9 და 10, გვ. 94—95.

ეკავა, ბატონის შვილს საქციელს არ უწონებდა და ეს იყო სწორედ მიზეზი მისა, რომ გიორგის სძულდა კათალიკოსი და აშკარად დასკინოდა მის სიბრძნეს და სქოლისტიკურ თხზულებებს: არ უნდოდა მას დანახვებოდა და როდესაც მწირველი იყო ეკლესიაში, არ წავიდოდა წირვის მოსასმენად ⁶⁾). გიორგი ეძებდა მისთანა სასულიერო პირებს, რომ მელნიკ თანაუგრძნობდნენ მას და კათალიკოსს კი ეწინააღმდეგებოდნენ; აქედამ მან შეადგინა ცალკე დასი, რომელსაც მოწყალება და სხვა ქრისტიანული თვისებანი ბატონიშვილი სა და რომელსაც სურდა ამისთანა კაცს ჰეროდა სამეფო ტახტი. ამისთანა სასულიერო პირნა აღმოჩნდნენ შესტამბენი, რომელნიც ბეჭდავდენ საეკალესიო წიგნებს ტფილისში 1788 წ. პატრიარქისა და მეფის სურვილის წინააღმდეგ წიგნების წინა-სიტყვაობაში, როგორც რუსეთში იყო ჩვეულება გიორგის ნებით უმატებდნენ: „მეფობასა კეთილ-მორწმუნისა მეფისა ირაკლი II და კეთილ-მორწმუნისა დედოფლისა და-რეჯანისა“, კიდევ შემდეგს სიტყვებსაც: „და მემკვიდრისა მისისა ბატონიშვილის გიორგისა“. ეს რომ გაიგეს მეფე და პატრიარქი განრისხდნენ მათზედ კათალიკოსმა სასტიკად დასაჯა მღვდლები კეუერაშვილი და აბრამი, სტამბის მეთვალყურენი და სხვა მესტამბენი. კათალიკოსის მოყვარულმა პირველ-დიაკონმა ტრიფილმა ამ საქმეში მონაწილეობის მი-

⁶⁾ იქნე, გვ. 9—10.

7) ბატონიშვილი მოგზაურობდა მონასტრებში და ეპლესიებში და ამასთანავე იჩენდა სიუხვეს ეპპლესიებისაღმი, სამღვდელოებას შატივსცემდა, სასულიერო განათლება უკვარდა, სწავლიდა წმ. ეპ-ტლესის მამათა დაწერილებს, ხშირად კითხვდობდა და გაფორდა ეპპლესიაშა. ცხ. გიორგი XIII, იურია № 9 და 10, გვ. 42—44, 50—51, 55—58, 60—61.

ლებისთვის სასტიკი საყვედური მდიღო პატრიარქისაგან. და-
ბეჭდილი ფურცლები ცეცხლში დასწვეს.⁸⁾

გარდა ამისა ანტონი ნიკოლებადაც დახმარებას უწევდა
მეფეს. ერთი მაგალითი არ არას, რომ ოდესმე კათალიკოსს
წინააღმდეგობა გაეწიოს მეფისთვის მიუხედავად მისა, რომ
ხანდისხან იმისდა დაუკითხავად მუდმივი ომიანობის დროს
ოწვევდა ჯარში საუკლესით-სამონასტრო გლეხებს და ახდე
ვინებდა სურათსა, კათალიკოსი ჟველაფერზედ ყაბული იყო.
ხანდისხან ომშიაც ახლდა იგი ირაკლის და ჯარს აქეზებდა
მტერზედ. სადაც მეფე გაიმარჯვებდა, იქ პარაკლისს იხდიდა
ის და სამღვდელოებითურთ უხვდებოდა მეფეს და ულოცავ
და გამარჯვებასა, გაჭირების დროს რჩევას აძლევდა მეფეს.
რაიმე უბედურების და განსაკლელის დროს, როდესაც სა-
მეფეს შეხვდებოდა, ის ნუგეშს აძლეოდა ამხნევებდა მეფეს
და არიგებდა კიდეც ⁹⁾. ასეთი იმართვა იმა არა არა არა არა

კატივს სცემდა კათალიკოსს მიუხედავად მისა, რომ იყო, როგორც მეფის ჩამომავალი და ტახტის პრეტენდენტი, მა სლობდელი ნათესავი ვახტანგ VI მემკვიდრეობისა, რომელთაც ურაერთხელ მოინდომეს. რუსეთიდან მეფობა ქართლში (რისთვისაც მოსვენებათარ იყო მათგან) ¹⁰), შესაძლებელი

೫) ನಿರ್ವಹಣೆಯಲ್ಲಿ ವ್ಯವಸ್ಥೆಯ ಕ್ಷೇತ್ರದಲ್ಲಿ ಮಾತ್ರಂ ಅಧಿಕಾರಿಗಳ ಪ್ರಾಣಿಗಳನ್ನು ಸಂಪರ್ಕ ಮಾಡಿ

⁹⁾ ქართ ცხ. II, გვ. 395, 406, 409, 418—419, 447, 455, 453, 417, 327, 389. Описание древностей г. Тифлиса II. Йоселіани, გვ. 52.

10) მაგ. ამილახვარისადა ერთისთვის წინააღმდეგობა გამოიწვია ბატონისშვილის ბაქარ, კახტანგ VI ძის, მოსკვის საქართველოს საზღვრებოს (ჩურ ქეზეთში). 1742 წ. დედოფლისა რუსეთის სამ ელისაბედის კრგზავნა ბაქარი ასცრახსწმიდა. მაშინ ჭივი ამილახვარისა, რომელსც თიომის ქართლი სკეპტიკის ხელმითურთ, მოიწვია ბაქარი ქართლის რახტებედ და სწამის მრევიდობა. გადადგა

იყო საექვო კაცი გამზღარიულ და მეფის წყალობის მოპკლებოდა. ეს სიყვარული ირაკლისა კათალიკოსისადმი სჩანს მისი წერილიდამ ანტონისადმი (1756 წ.), რომელშიაც მეფე, სხვათა შორის, სწერს მას იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი სამრითალში მიკემული იყო გზაზე რუსეთიდან მომავალი: „მე უშენოდ გაძლება არ ძალიძის; ამას შემდეგი დამტკიცებს; მე უშენოთ არაფერი მასიამოვნებსო“¹¹⁾. მეფის კათალიკოსისადმი სიყვარული მტკიცდება იმის რუსეთიდან გამოწვევით. მეფე ნათლად გრძნობდა იმ კავშირს, რომელიც უნდოდა კათალიკოსს დაემყარებია სამეფოსა და ეკკლესიას შორის და სხვა მრავალი ნაყოფი იმის მოღვაწეობისა ივერიის ეკკლესიის განდიდებისათვის¹²⁾.

თემიშვილის და სპარსეთის შაჟის; გაამაგრა ქართლი. და დაუწეო სასტიკი ბრძოლა თემიშვილს 1745 წლამდი. ბაქათი შემდეგ გამოიწვიეს რუსეთში („ქართ. ცხ.“ II, 93—94). ალექსანდრე ბაჟის ძემ გაუწია სასტიკი თბი ირაკლი II 1766—1783 წ. ამ მიზეზისა გამო ირაკლი გადასცა სამეფო რუსეთს (Буткова. Материалы для истории Кавказа I, 228—230; 528; II, 115—138; Nistoria Georgia Brossef II, 2 p. 225, 247, „ქართ. ცხ.“ II; 93—94).

11) ჩვენა კოებული ისტორიული მასალებისა, გვ. 78.

12) ვატივერემული აკადემიკოსი ბუდევითი თვის თხზულებაში („Материалы для новой истории Кавказа“ т. I, გვ. 15) მოგვითხოვს ქართველი მტრისაზე ილექსანდრე გახტანგ VI შეიდა შეიღის მეცადის ეჭვიანებას ქართლის ტახტისათვის. აი როგორ სწერს იგი: „Явление князя Александра въ тоинкой близости къ отечеству предковъ своихъ (აქ იბულისხმება მისი დახმარებელი მეფე სოლომონთან, რომელთანაც იგი სცხოვანებდა) и къ законному наследству (ქართლში, რომელიც განხით ებუთვნებათ გახტანგ VI მემკვიდრეებს). обратило къ

ამგვარი დაახლოვებით მეფეებთან კათალიკოსი ჰუიქ-რობდა მოეწყო საეკულესიო საქმეები რიგიანად. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე განკარგულებანი ეკულესის შესახებ კათალიკოსისა მტკიცდება მეფისაგან. ამ დროინდელი გუჯრები ყოველი თითქმის მეფის ხელ-მოწერილია. აი, მაგალითად, ირაკლი შეათანხმებს ერთი მეორესთან ალავერდის და ნეკრისის ეკულესიებსა სოფელი გრემის ბოძებით ნეკრესის ეკულესიისათვის; კახეთის ეპისკოპოზებს სწერს, რომ იგინი დაემორჩილონ ალავერდის მთავარ-ეპისკოპოზე. დაუქმებული ეპარქიები მისცა ეპისკოპოზებს; განმარტა სხვა დასხვა საეჭვო კითხვები ეკულესიების მომართვის შესახებნი; როგორ უნდა სარგებლობდნენ სამღვდელოება - საეკულესიო მამულებით; საეკულესიო მამულების გაყიდვა. აღკრძალა. გაუგზვნა ეპისკოპოზებს მიწერილობა საეკულესიო შკოლების გახსნის თაობაზედ¹³⁾ და სხ. ასეთი მეფესა და ეკულესიასა შორის კავშირი ანტონის-მიერ დადგენილი, მოკლედ, მაგრამ ნათლად, ნაჩვენებია ინსტრუქციის 2 პუნქტი, ბოძებული ანტონისაგან მის-მიერ დაარსებულის სინოდისადმი, როდესაც

пользовалъ его тогдашняго грузинского католикоса Антонія, родного брата дѣду его, царю Вахтангу, жестоко зато отъ Ираклія наказаннаго: писали тогда, что Ираклій сбросилъ Антонія съ башни¹³⁾. ეს ცნობა სიმართლეს მოჟღებულია. ეს მხრად ცრუ ხმებია მეფე ვასტანგის და ირაკლის მემკვიდრეებისაგან გავრცელებული რესეთში იმ მიზნით, რომ დამცირონ უკნასენელი რესეთის მოაღრიბის თვალში და მიღდონ მისგან შემწეობა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად მის კანონებ მემკვიდრეებზედ, გახტანგის მრადგილებზედ. ამავე მიზნით დაიწერა რესეთში ტემოსენებული თხზულება: „Исторія Георгіанська о юношѣ Амилахваровѣ“.

¹³⁾ საეპიდესიო გუბრები, გვ. 19, 29, 30, 31, 33, 40, 42, 52 და სხ.

იგი წავიდა რუსეთში 1771 წ. იქა სწერია, სხვათა შორის, კათა სინოდმა იქნიოს მეფესთან კავშირი ყველა საპატიო საეკკლესია საგნების შესახებ ¹⁴⁾.

ანტონმა მიჰყო ხელი 1) ეკლესიური წესის განახლებას, ქრისტიანობის დაცვას. საქართველოში; 2) იმის გავრცელებას სამეფოს გარეშე, 3) განსაკუთრებით ის სცდილობდა შეოლების გამრავლებას და სასულიერო განათლების გავრცელებას. მისი ნაყოფიერი მოქმედება შესწყდა 1755 წელს, როდესაც იგი ფლორენტინის უნივერსიტეტის იქმნა განდევნილი სამშობლოდან. 1762 წ. იგი ხელ-მეორედ გამოიწვიეს საქართველოში კათალიკოსის კათედრის დასაჭრად, რომელსაც მართავდა სიკვდილამდე, 1788 წ.

1) ანტონმა ყველაზედ უფრო მიაქცია ყურადღება ეკ-კლესიეპში წესიერების დამყარებასა და ბოროტ-მოქმედობის განდევნასა, რომელსაც მაგრაც ჰქონდა გამდგარი ფესვები უწინდელს დროში. პირველს სახსარს ამისათვის შეადგენდა კრება, რომელიც შესდგებოდა საერო და სასულიერო პირ-თაგან. ანტონის კათალიკოსად ამორჩევის პირველსავე წელ-ში 1744 წ. ოქტომბერში მოხდა კრება თეიმურაზის კურთ-ხევისა გამო. ეს კრება მით უმეტეს საჭირო იყო, რომ ამ ცერემონიის დროს უნდა შეტყობილიყო, ვის რომელი იე-რარქიული ადგილი უნდა სკეროდა. მართალია მე-VII საუ-კუნეში განსაზღვრული იყო ვინ რა ლირსების იყო, მაგრამ საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილად დაყოფვის შემდეგ და მე-XVI საუკუნეში გამაჰმადიან გზულის საქართველოს მო-

14) სინთეზის კანტორის გუვრები № № 239, 281
„ქართლის ცხეკვრებაშია“ 1745 წ., მაკრამ, თაღგან საქართველო-
ში ძველას ეკლესიურის ჩვეულების მახედვით ასაღო წელი ად იწ-
უბოდა სექტემბერში და არა დანგარში, ამისათვის 1745 წ. ოქ-
ტომბერი მოხვდებოდა 1744 წ. ამის გამო ბეჭოფლ სცდებას
ჩვენა ისტორია კუთხით.

წყვეტისა შემდეგ, ძველი წესები შეირყა და განახლებას თხოულობდნენ, მით უმეტეს რომ ამ კრებაზედ უნდა გადამწყდარიყო კითხვა ალავერდელების შესახები.

ალავერდელი ეპისკოპოზების მნიშვნელობა მაშინ იყო თვალ-საჩინო, როდესაც კახეთის ერთობა შეირყეოდა ხელმე. ალავერდელის კათედრა დაარსდა 1466 წ. (კანტორის გუჯრები № 266) და მე-XV საუკუნის გასულს საქართველოს კათალიკოსის დავითის დროს (1462 – 1488 წ.) ალავერდელი ეპისკოპოსი გაბრიელი სცდრობს მოსპოს დამოუკიდებლობა მცხეთელ კათალიკოსებისაგან და კახეთის ეპისკოპოზები დაიმორჩილოს (იხ. სინოდის კანტორის გუჯრების ჩვენი აღწერა № 54). მე-XVI და მე-XVII საუკუნეში ალავერდელები მოიპოვებენ უფრო მეტს დამოუკიდებლობასა და დაიმორჩილებენ უველავ კახეთის ეპისკოპოზებსა; მათ თვითონ იწყეს თავზედ დადგმა ალავერდელის გვირგვინისა, ე. ა. ლებულობდენ ალავერდელ ეპისკოპოზის წოდებას მცხეთის კათალიკოსის ნება-დაურთველად, შათის ულოცვო-კურთხევოდ. კახეთის მეფეები დიდის ვატივით ეპურობოდენ ალავერდელ ეპისკოპოზებს, რადგან ამით მათ პოლიტიკური მიზანი ჰქონდათ (სინოდის კანტორის გუჯრები № 156), მე-XVII საუკუნის გასულს კახეთის მეფეებმა შიართვეს ალავერდელ ეპისკოპოზის ოქროს „გვირგვინი“, რომელიც ინახება ახლა სიონის ძველთ-საცავში და რომელიც დიდი საურადლებია. ნიკოლოზ ენდრონიქაშვილმა თვისის ნებით დაიდგა თავზედ „გვირგვინი“ ალავერდელისა შეფე ვახტანგ V ბიძის დომენტი კათალიკოსის დროს. დომენტიმ მოუწოდა მას მცხეთაში სამართალში მისაცემად. ალავერდელი უარს აშბობდა წასვლაზედ და წერილის უნდოდა დაეჯერებინა კათალიკოსი კანონიერად საქციელის ჩადენაში. კათალიკოსმა მიანდო ტფილელ მიტროპოლიტს იოსებს (სააკაძეს), რომ მოეყვანა მას ალავერდელი მასთან. ნიკოლოზი დიდ უარზედ იდგა. შემდეგ შეუთვალა ალავერდელმა კათალიკოს იოსების

პირით შერიგებოდა შას იფი. იგი სწერდა იოსებს: „ღმერთია მოწამე და აგრეთვე შრავალი ერთაგანი, რომელ მე დავიდგი თავსა ჩემსა გვირგვინი არა მოუთმენელობითა, ანუ თვით-ნებობითა და წინააღმდეგობითა. მე გამოუყიოთხე შრავალ-უშალლეს პირთ, რომელთაც ახსოვსთ წარსული და მათ და-მარწმუნეს მე და თვით კათალიკოსსაც მოახსენეს. ამაზედ, რომელ წინაც ალავერდელი უბისკობოზნი აღვამდენ თავზედ გვირგვინსა ნება-დაურთველად და ულოცფა-უურთხევოდ კა-თალიკოსისა, ამისათვის მეც დავიდგი იგი თავზედ. როდესაც მე მოუკვდები, მაშინ ალუკრძალონ ალავერდელ-უბისკობოზებს კათალიკოსის ნება-დაურთველად გვირგვინის დალგმა თავზედ, ახლა კი გთხოვ იშუამდგომლო ჩემთვის, რომ კათალიკოსმა მაპატიოს დამნაშაობა, მომწერლოს შესარიგებელი ტარათი და მაშინ პირისპირ გამოვემცხადები რმას და ყველაფერში იმის ნებაზედ გავივლი“ - თ (ჩვენი აღწერილობა სინოდის კანტორის გუჯრებისა № 70). როგორ გათავდა ეს საქმე. არ ვიცით; ალბად დომენტის მიიღო ნიკოლოზის წინადადება. მაგრამ შემდეგ ალავერდელები მაინც კიდევ თავისას ჩადიოდენ. მიუხედავად მისა, რომ ალავერდელები მცხეთაში კურთხევის დროს ა-ლევდენ მორჩილების ხელთ-წერილს კათალიკოსს, ისინი მაინც უკათალიკოსოდ მართავდენ კახეთის ეპარქიებს. ამის გამო კათალიკოს ნიკოლოზ დიასამიძემ (1688 წ.) ჩამოართვე არამც თუ ალავერდელს, არამედ მთელს კახეთის უბისკობო-ზებს დამორჩილების ხელთ-წერილი ფიცით, რომ უკერძო ისით ნი თავიანთ ეპარქიებში დაიცავდნ კათალიკოსის განკარგუ-ლებასა. შესახებ სარწმუნოებისა (ჩვენი კრებული) სინოდის კანტორის გუჯრებისა (№ 10 და 13). 1771 წ. კახეთის მეფეებმა (დავითმა და იმამ-ყული-ხანმა) ფარმაცხადეს, რომ ალავერდელმა კათალიკოსის წება-დაურველად ჰუცულოცვა-კურთხევოდ არ გაბედოს საკოსმო, მიტრის ანუ გვირგვინის დახურვა: ვინც არ აასრულებს შე დადგენილებას, მას შეაჩვე-ნებს კათალიკოსი ანუ მეფე. მე-XVIII საუკ. ალავერდელებ-

მა ჩამოართვეს დამორჩილების ხელით წერილი კახეთის ეპისკოპოზებს სარწმუნოების შესახებ (კანტორის გუჯრები №№ 172, 175, 171, 173). 1740 წ. კახეთის მეფე თეიმურაზია ამბობს: „კათედრა ალავერდელისა აღმატებულ არს ჩვენის პაპის და პაპისაგან და განდიდებულ ყველა კახეთის ეპისკოპოზებზედ და ალავერდის ეპისკოპოზი გვირგვინით არიან შემკულნი. მათ ნება-დაურთველად ვერც ერთი კახეთის ეპისკოპოზი ვერ ეკურთხება“... მერეა ნათქვამი შეჩვენებაზედ მათთვის ვინც ალავერდელი ეპისკოპოზი დაიხურავს საკულს ულოცვა-კურთხევოდ; ვინც ამას არ შეასრულებდა, პკარგავდა ხარისხსა: (ჩვენი აღწერილობა სინოდის კანტორის გუჯრებისა №№ 173 და 175).

ამ ნაირად XVII საუკუნის პირველ ნახევარში ალავერდელი ეპისკოპოზები de facto მართავდენ კახეთის ეკალესიებსა. ზემოხსენებულმა კრებამ დაადგინა, რა ადგილი უნდა ჰქავებოდათ არქიერებს კათალიკოსის მიერ წირვის დროს; ალავერდელს (ნიკოლოზს) ეკავა პირველი ადგილი კათალიკოსის. მარჯვნივ (სომხითის მიტროპოლიტის მაგიერად), მეორე ალაგს იჭერდენ. (კათალიკოსის მარცხნივ) ქიზიყელი ეპისკოპოსები (კუონდიდლის ნაცვლად), შემდეგს ნინოწმინდელი ეპისკოპოსი და სხ. ამ განკარგულების ძალით ალავერდელი ემორჩილება კათალიკოსს ისე, როგორც სომხითის მიტროპოლიტი ემორჩილება, რადგან მათ პირველი ალაგი ეჭირათ მათ არქიერებში. ალავერდელებს ამის შემდეგ კათალიკოსმა წართვა უფლებანი. ალავერდელებმა იჩივლეს თვისის უფლების ახდა. თუმცა კათალიკოსმა უბოძა მათ წოგიერთნი უფლებანი, მაგრამ ისინი მარცხნი ამით არ დარჩენ კმაყოფილნი. (გუჯარი 178). კათალიკოსის რუსეთში განდევნის შემდეგ ალავერდელები თან და თან იბრუნებენ წართმეულს უფლებებს (გუჯრები №№ 178 და 149). როდესაც კათალიკოსი დაბრუნდა რუსეთიდამ, ალავერდელი ეპისკოპოსნი გაგზავნეს დავით გარეშეჯალს მონასტერში 18

ოქტომბერს 1764 წ. მომხდარი კრების გარდა უკვეტილების ძალით, ვინაითგან მათ არ ინებეს მორჩილება კათალიკოსისა. როდესაც დაარსდა „დისკატერია“, რომელსაც უკველა ქართლ-კახეთის ეპისკოპოსი ემორჩილებოდენ, მაშინ კათალიკოსი გახდა სრული ბრძანებელი უკველა ეპისკოპოზებისა. ქართლის მეფის თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ირაკლი გახდა ქართლ-კახეთის მეფედ, გაუქმდა სამოქალაქო, სეპერა-ტიზმი მიზეზი საეკკლესიო სეპერატიზმისა.

1744 წლის შემდეგ კათალიკოს არ შეეძლო კრება მოეხდინა ქართლ-კახეთის ეპისკოპოზებისაგან, რადგან 1745 წლიდამ საქართველო ეომებოდა გამდგარს მთავრებს 1746—1748 წლამდე, როდესაც თეიმურაზ II წავიდა სპარსეთში, სადაც მან დაპყო 1749 წლამდე. ქართლში იყო მუდმივი ომი ირაკლი II და აბდულ-ბეგის შორის. ამაზედ სამღვდელოებას მიქცეული ჰქონდა ყურადღება. წესიერებისა და ქრისტიანობის დამყარების ხანა დადგა მხოლოდ 1748 წლის გასულს, როდესაც აბდულ-ბეგი დამარცხდა და მთავრები დაემორჩილნენ მეფესა. კათალიკოსმა ისარგებლო რა მშვიდობიანი დროთი, მოახდინა ორი კრება—პირველი 1748 წელსა და მეორე 7 დეკემბერს 1749 წელსა. ორივე კრებანი შესანიშნავია ივერიის ეპისკოპოსის ისტორიისათვის. ამ კრებაზე სიგვლები ჩვენ ვერსად ვიპოვეთ, მხოლოდ „ქართლის პირველებაში“ ოყვანილია ბუნდათ ცნობანი ზოგიერთი დადგენილების შესახებ.

პირველი კრება შოხდა ქ. ტფილისში შეფისა და პატრიარქის ბრძანებით. „ქართლის ცხოვრება“ არ უჩვენებს. რომელ წელს შოხდა ეს კრება; მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ფეირჩაზის სპარსეთიდამ დაბრუნებაშიდის ან და მეამბოხეთა დამზადებაშიდის; მაშასადამე, კრება მომხდარა 1748 წლის დასასულს, ანუ 1749 წლის დამდეგს. ამ კრების მიზეზი კოფრლა აი რა: „კეთილ-მორწმუნე მეფემ (ირაკლიმ) და კეთილ-მსახურმა პატრიარქმა კეთილ-ინებეს ქრისტიანულის კა-

ნონის გამოიყვა და ღვთის-მსახურების წესისა, ოომელიც იყო ქართლში (როდესაც ქრისტიანული განათლება ყვაოდა მასში). ისინი იმ აზრზედ იყვნენ დამყარებული, ომ მაჰმადიანი მეფეების და აგარიანელების ბატონობის დროს მართლ-მადიდებელი საღვთის-მსახურო წესი და ქრისტიანული ცხოვ-რება შერყეულ-შეცვლილი იყვნენ და მოკლებულნი მართლ-მადიდებელის ეკალესის წესიერებასა; ზოგში იყო ნათესაფ-თა თანა აღრევა; ზოგი შრუშობდენ, არ ცხოვრობდენ წმიდა სახარების მცნების პრძანებაზედ, ზოგიერთნი სასულიერო პირნი არღვევდენ საეკალესიო წესიერებასა, ტიბიკონსა, არ ეკავათ ლირსეულად თავიანთი თავი და სხვა მრავალი ამის მინაგვარნი უწესოებანი და ბიწიერებანი მრავლად იყვნენ ფეხ გადგმულნი და გავრცელებულნი ქართველთა შორის¹⁵⁾.

კრებაზედ გამოცხადდენ მთელი ქართლ-კახეთის ეპის-კოპოზნი და სამღვდელოება. კრება გაიხსნა ანტონის საპა-ტრიარქო პალატში. აქვე მობრძანდა მეფე ირაკლი II. კრე-ბის წინ ანალოგიაზედ ესვენა წმ. ცხოველს-მყოფელი ჯვა-რი, სახარება და ნომოკანონი¹⁶⁾. „კრებამ უჩვენა: და ამხი-ლა ყველა უწესოებანი, აღმოფხვრა ძირიანად იგინი და აღ-დგინა მოციქულთა დადგენილებანი, კრებათა და წმ. მამათა დაწესებულებანი, უჩვენა მათში შეურყეველი კანონი ქრის-ტიანობისა“¹⁷⁾. აქედამ სჩანს, ომ ჩვენამდისინ მოუსვლელს სიგელში ყოფილა ჩამოთვლილი საღვთის-მსახურო წესების აუსრულებლობა; აქვე იქმნებოდა ნაჩვენები თუ როგორ

¹⁵⁾ ქართ. ცხოვრ. II, 417.

¹⁶⁾ ეს ნომთვანობი, ოთმელშათ იუთ მთავარებული მსოფლიო და ადგილობრივი კრებათა დადგენილებანი და აგრეთვე წმ. მამათა წესი ხელ-მეორედ იქმნა გადათარგმნილი ათანში IX საუგუნეში. ერთი ექტემპლარით ტეატრზე ხაწერი პმისი ჩახახება ტვილის სა-გმბლესით ძველთ-საფავში.

¹⁷⁾ „ქართველის ცხოვრება“ II, 417.

უნდა ესარგებლათ წმ. მთციქულთა კრებათა და მამათა და-
დგენილებითა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ეპარქი-
ების რაოდენობას (8—ქართლში და 7—კახეთში) და იმათ
დასამზღვრასა. ალბათ გაუქმებული ეპარქიები ხელ-შეორედ
გახსნეს და კრების შემდეგ ერთიც არ დარჩენილა უეპისკო-
პოზოდ ¹⁸⁾). ოვთის-მსახურების და საეკკლესიო წესში შეც-
დომის ასაცილებლად იქმნა დაარსებული სტამბა საეკკლესიო
წიგნების დასაბეჭდათ. კრებამ მრავალი ლვაწლი დასდო სტა-
მბის მოსაწყობად, რომელიც მეფე ვახტანგ VI დროს იყო
დაარსებული (1709 წ.); გამოწერილ იქმნა იგი ვალახია-
დან, რომელიც გაუქმდა რუსეთში წასვლის შემდეგ ¹⁹⁾).
მრავალი შრომა დასჭირდა თვით კათალიკოსს სტამბის მო-
წყობაში. ამ საქმეში მას ეხმარებოდა მეფეცა. დაარსდა
სტამბა და აივსო დაბეჭდილი წიგნებით საქართველო“, — ამ-
ბობს „ქართლის ცხოვრება“. სტამბა არსებობდა 1795 წლა-
მდე, როდესაც იგი დააწყიეს სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად-
ხანის ჯარებმა, რომელთაც დაიპყრეს ტფილისი და წარიტა-
ცეს მისი ქონება.

მეორე კრება მოხდა 1749 წლის დეკემბერში მცხეთაში
იმავე ეპისკოპოზებთაგან, რომელთაც მიეღოთ მონაწილეობა

¹⁸⁾ „ქართლის ცხოვრება“, II, 418.

¹⁹⁾ იქვე, იხ. Буткова. Материалы для новой исто-
рии Кавказа II, 340) ქართლი სტამბა დაარსებული რუსეთში
მოავარ ეპისკოპოზის იოსებ სამებელის მიერ, რომელიც იუთ ქარ-
ტის ეპისკოპოზი სოგგორიდის მიტროპოლიტის თეოდოსე პროკოპის
ძისა, არსებობდა 1737—1740 წლამდე, ხოდო 1740 წ. დაარსდა
გუეისევიატების სფაბოდაში, მოსკოვის ახლო. იქ დაიბეჭდა მთელ
წელიწადი სახმარი საეკკლესიო წიგნები (იხ. „ივერია“ 1884 წ.
№№ 2 და 3 და წემი სტატია „მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სა-
მებელი“).

დედოფლის ანნას დასაფლავებაში, 7 დეკემბერს 1749 წ. ²⁰⁾). ამ კრებაზე უარ-ჰყვეს ცრუ-მორწმუნეობანი. ქრისტიანობის წინააღმდეგნი. ამავე კრებამ დაუმატა და განმარტა პირველის კრების დადგენილებანი. „ქართლის უხოვრება“ ამბობს: „შოთა კრება, რომელმაც განაძევა ყოველივე უწესოებანი. პატრიარქმა ანტონება და წულება ლოთის მცნების წინააღმდეგნი და სხ.“ ²¹⁾.

განსაკუთრებული ყურადღება იქმნა მიქუეული ერის ზე ეობის გასწორებაზე. ამ დროს ჯარიმა ხელ-მეორედ განასხვეს, რადგან ის შეადგენდა ერთად ერთს წყიროს მონასტრების შატოსაცლისას ²²⁾). ეს იქიდამ სჩანს, რომ ქრისტიანული წესების დაწრევებულებებიდან ჯარიმას ხშირად გხვდებით შე-XVIII საუკუნეში. მე-XIX საუკუნეშიაც შამოვიდა ამისთანა ჯარიმა (როგორც სჩანს ბოდებელ მიტროპოლიტის იოანნეს შოხსენებაში სინოდის კანტორისადმი 1817 წ.) ²³⁾).

ამ ორი კრებით ანტონმა მოულო ბოლო საეკკლესიო გამგეობაში და წესიერებაში შეპარულს უწესოებას. აღამაღლა ივერიის ეკკლესიის თავი და საზოგადოთ გაამთეულა ის წყლული, რომელიც ჰქონდა ქართველ ეკკლესიის წინანდელ არეულობის დროს, ეს იქიდამ სჩანს, რომ როდესაც შესდგა ეპისკოპოზთა კრება ანტონის საქართველოდან გაძევების შემდეგ კათალიკოსის იოსების თავმჯდომარეობით, რომელიც დიდი ჭიუა-გონების კაცი იყო, ერთს საკითხსაც არ შეხებიან, რომელც იყო დადგენილი ორ კრებაზე (1748—1749 წწ.) ²⁴⁾).

მღვდელ კა ანთაძე.

(შემდეგი იქნება)

²⁰⁾ ქართ. ცხ. II, 423.

²¹⁾ იქმე.

²²⁾ გუვარები №№ 228 და 427.

²³⁾ ასდი ამ მთესენებისა ჩვენს გვაქვს.

²⁴⁾ გუვარი სინოდის კანტორისა №№ 276, 174, 176.

სოლომონ ლეონიძე

(დასასრული *)

ბაქოს ომის დაწყების და მთავარმართებლის ციციანოვის მოკვლის შემდეგ, იმერთ საკმარისი ძალა მოიკრიბეს, რადგანაც იმათ აქ შემწუხებელი არავინა პყავდათ, არავის მორიდება არ ჰქონდათ. მთელი ძალა ბაქოზე იყო მიმართული. იმერეთის სამეფო საქმეებიც განამაგრეს, ერში განამტკიცეს სიმსნე, ვაჟკაცობა და ერთობა ქვეყნისათვის. ციციანოვის შემდეგ ესენი ახალ მთავარ-მართებელს საკმარისის ძალით დაუხვდნენ და ზდილობიანათ, ბრძნულის კილოთი გამართეს მიწერ-მოწერა. ვიდრე იმერნი ძალის მოიკრებდნენ, მინამ სოლომონ მეფეს და ს. ლეონიძეს ბევრ თავადებთან მოუხდათ შეტაკება და მათი დამარცხება. ასე, მაგ., დაამარცხეს გურიის მთავარი ვახტანგი, რომელმაც თბილის-ში პეტრე არბელიანთან იჩივლა, რომ ქართლიდამ გამოგდებულმა ლეონიძემ, მეფის ჯარი გამოგზავნა გურიაში და სულ აგვიკლოვო. ახალ მთავარ-მართებელს ბევრი რამ უამბეს ს. ლეონიძის შესახებ. ზოგნი თავადი შვილები აუწყებდნენ, რომ ს. ლეონიძის ქალი აქ თბილის-შია გათხოვილიო შელიქვზე და ერთი იმის ვაჟიც აქ სწავლობსო და ამიტომ შესაძლებელია, რომ სოლ. ლეონიძე ახლა აღვილად დაგვმორჩილდესო. ციციანოვა და ს. ლეონიძეს შუა დიდი განხეთქილება იყო ჩამოვარდნილი, ციციანოვმა მიტომ ვერაფერი გააწყოვო, რომ ს. ლეონიძე იხვევს თითზე მეფეს და

*) ახ. „მოგზაური“ № 11.

საქმეს ახან ებსო. ახალშა მმართველმა ქართველთა დარიგების თანახმად დაიწყო მოქმედება და კაცების გზავნა იმერეთში.

1809 წელს მთავარ-მართებლისაგან ბევრნაირი ზომები იქმნა მიღებული იმერეთის შეერთებისათვის, მაგრამ ვერ მოახერხეს, საქმე გაძნელდა. 1810 წელს, იმერეთში კაცები გაგზავნეს მეფესთან მოსალაპარაკებლათ და საქმის დასაბოლოვებლად.

21 ოქტომბერვალს 1810 წელს ელჩებმა შისწერეს ტორმა-სოფს შემდეგი: „ბევრი ლაპარაკის შემდევ და მაგილევის მეცადინეობით და დარწმუნებით, მეფემ ისურვა დამორჩილება, მაგრამ ამას შლის კონსტანტინე ბატონიშვილი და სოლ ლეონიძე. ამიტომ მე გუშინ ქუთაისის ეკკლესიაში პროკლა-მაციები ჭავარიგე და ზალხი ფიცხე მოვიხმე. ორი ატრიადი წავიდა საჩხერისაკენ და რაჭისაკენ, ერთი ატრიადი სოლომონ მეფეს. შეებმება ვარდისციხეში და მეორე რაჭაში, ამათ შეუ-ერთდება მოურავი გელოვანი თავისს ჯარით და ლევან და-დიანიო“. ბრძოლა მოხდა მეტი ფიცხელი, ქართველნი გმი-რულად იბრძოლენ, ნამეტურ მალხაზ ანდრონიკოვი, მაგრამ დამარცხდნენ. სოლ. ლეონიძე და შალხაზ ანდრონიკაშვილი ახალციხეს გაიქცნენ, ახალციხის ფაშის დახმარებით ფიქრო-ბდნები სოლომონ მეფის გამაგრებას, ახალციხიდამ სტამბოლ-შიაც მიმართეს მალე და საქმე აუწყეს. იმერეთში. ყოფილმა რუსის უფროსებმა საჩქაროდ შისწერეს წერილი ახალცი-ხის ფაშის. და ბეგებს და სოხოვეს, რომ სოლ. ლეონიძის სიტყვას არ აჰყვეთ და არამც და არამც დახმარება არ იფი-ქროო, იმერეთის აღების საქმე გათავებულია, მთელი იმე-რეთი რუსეთის ქვეშევრდომობას აცხადებსო, ახალციხეში ყოფნის დროს ს. ლეონიძე დღე-ლამ ადევნებდა თვალს იმე-რეთის საქმეებს და იქიდამ მიწერ-მოწერა ჰქონდა. თავისს ერთგულ მეგობრებთან და მეფესთანა. ახალციხეში ს. ლეო-ნიძემ ვერაფერი გააშეკო, საქმე ცუდათ მიღიოდა, ამან წე-

შილი მისწერა პატრ ნიკოლას და რჩევა ჰქითხა, თუ რაფერ დავითაროთ მეფობაო.

ნიკოლამ აუწყა, რომ ქართველო აღარაფრის ძალა აღარა აქვსთო, ამიტომ მე ვურჩევ მეფეს, რომ საქართველო ამდენიმე კაცი გაგზავნოს საფრანგეთში ნაპოლეონთან და ოსმალეთში საჭმის მოსახსენებლად და დახმარების სათხოვ-ხელადო. ს. ლეონიძეს დიდად მოეწონა ეს აზრი. მალე მე-ჯვეს წერილი მისწერა, საიდუმლოდ ერთ ალაგასაც შეხვდა მეჯვეს და რჩევა მისცა საფრანგეთში და ოსმალეთში კაცების ვაგზავნისა, მოხსენების და დახმარების სათხოვნელად. მეფემ მომირჩია რამდენიმე თავადიშვილი და გაგზავნა ნაპოლეონთან, ათასი კაცი იყო და მეხუთე პატრი ნიკოლა, ოსმალეთში ხმი კაცი და მეოთხე ს. ლეონიძე. მაგრამ ვიდრე ესენი აუწყებდნენ ევროპის სახელმწიფოებს საქართველოს ამბებს, რეუსის ჯარმა თვით სოლომონ მეფე ტყვეთ იპყრა და თბი-ლისში ჩამოიყვანეს. ოსმალეთის გარდა ლეონიძემ და ანდ-რონიკაშვილმა სპარსეთსაც მიმართეს. დევნულ ქართველთ შინათ ახალციხე გარდაიქცა. აქ მოგროვდნენ ყველა ის პირ-თ, რომელნიც იმერეთის დამორჩილების შემდეგ, ოსმალში გადაცვივდნენ. აქ იმათ იმერთა თავისუფალ მეომარნიც შე-კრიბეს და იმერეთის საზღვრებს მოსვენებას არ აძლევდნენ. მთავარ-მართებლის ბრძანებით კახეთში მოძებნილ იქმნა ლე-ონიძის და ანდრონიკაშვილის მამულები. და ყველა ესენი ხახელმწიფოდ შერიცხეს. ამის შესახებ 1810 წ. ივლისის 10, აუ რასა სწერენ: „შევიტყეო, რომ მალხაზ ანდონიკოვს და ს. ლეონიძეს მამულები ჰქონიათ კახეთში, ეს მამულები ჰოძებნილ უნდა იქმნას და აღწერილ, თუ გაუყოფელია, მა-შინ უნდა შაირიცხნენ სახელმწიფოდ ამათი მამულები, რო-გორც მოღალატეებისა, რომელნიც ოსმალთა და სპარსთ უმარებიან. ჩვენ საწინააღმდეგოთ“. ბრძანება შესრულებულ იქმნა. და აღწერილი მამულები ანდრონიკოვისა და ლეონი-ძისა სახელმწიფოდ შერიცხულია.

სოლომონ მეფის თბილისში წამოყვანის შემდეგ
სოლომონ ლეონიძემ ისარლის შვილების მეოხებით საჩქაროდ
წერილი და კაცი გამოგზავნა, რომელსაც მეფე სოლომონი-
საიდუმლოდ უნდა ენახა და რჩევა მიეცა თბილისიდამ ოსმა-
ლეთში გაქცევისა და მერე იქ მეცადინეობისათვის ტახტის-
აღსაღვენად. რა დღესაც თბილისში მეფე მოვიდა, ამავე დღეს
ს. ლეონიძის ამბავი სცნა მან. ლეონიძე ატყობინებდა, რომ
თბილისში ფრთხილად მოიქეც, თორემ მოგწამლავენო, სა-
ჭმელი მარტო თბილისში მცხოვრებ მარიამ ისარლი შვილის-
გაკეთებული მიიღეო, სხვისაგან არაფერი, მაგ ქალისაგან კი
შიში ნუ გაქვსო. ეს ასე იყო და მეფემაც ისარლოვის ქალი
მოითხოვა, ჩემი აზნაურის ქალიაო, მე მას ვიცნობ და მის
მოხარულ საჭმელს ვსჭამო. მეფემ ს. ლეონიძის კაცი და
წერილი ნახა, ძლიერ მოეწონა მისი რჩევა და იმ დღიდგან-
ვე მიეცა გაქცევის თავდარიგს და სამზადისს. ზოგიერთ პირ-
თა დახმარებით, რუსეთში წაყვანამდის, პატიმარ მეფემ თბი-
ლისიდამ გაქცევა მოახერხა და ახალციხეში წასვლა. აქ ამას
დახვდა. ს. ლეონიძე. მეფის გაქცევის გამო დიდი დავიდარა-
ბა და ძებნა მოხდა, მაგრამ ვეღარა გააწყეს-რა, ის კი სცნეს,
რომ მეფე ლეონიძის სიტყვით გაიქცა და მასთანვე წავიდაო.
ამის გამო ხელ-ახლავ გაიმართა ლეონიძესთან კაცების გზავ-
ნა და წერილების მიწერ-მოწერა, რადგანაც საქმე საფრთხი-
ლო იყო. ს. ლეონიძეს გარს ეხვივნენ სუსველა ის პირნი,
ვინც კი 1800 წლის შემდეგ ქართლიდამ იმერეთში იყვნენ
გადასულნი და ესენი იქ მეფის და მსაჯულის წინაშე დიდ
ერთგულებას იჩენდნენ.

1812 წელს ს. ლეონიძე გამოეთხოვა სოლომონ მეფეს ტრა-
პიზონში და წავიდა სპარსეთში ალექსანდრე ბატონი შვილთან.
მგზავრობის დროს ამას მოუხდა სომეხთ კათალიკოზ ეფრემ-
თან მისვლა და დროებით მასთან ცხოვრება, რომელიც დიდი
მეგობარი იყო მისი. აქ იგი 1818 წ. ავად გახდა და გარდა-
იცვალა კიდეც 67 წლისა და მრავლად დატირებული სომეხთ

კათალიკოზ ეფრემისაგან. განსვენებულის გვაში თვით კათალიკოზმა დაასაფლავა, მაგრამ საღა, არ ვუწყით.

ამავე წელს გარდაიცვალა სოლომონ მეფე ტრაპიზონში და ამათ გარდაცვალების შემდეგ მათნი მხლებელნი ზოგნი საქართველოში დაბრუნდნენ და მთავრობისაგან პატიობა ითხოვეს და ზოგნი კი სპარსეთში წაყიდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან. ასე და ამ გვარად დასრულდა სოლომონ მსაჯულის დღენი...

ია მარუშიძე.

ს. ლეონიძის ცხოვრების აღწერის დროს ჩვენ ხელო გგმონ- და შემდეგა: მასალები:

მეფე გიორგი XII-ის ცხოვრება, აღწერილი პ. იოსე-
ლიანის-მიერ; აქტების რამდენიმე ტომი, ბუტკოვი, „ქართ-
ლის ცხოვრება“, „ივერია“, 1877 წ. და სხ. „კალი“,
„დროება“, „კრებული“, „კავკაზი“, ისარლიშვილის ნაწე-
რები და იმერეთის ისტორია, ნაამბობი ივ. კერესელიძისა,
ლუკა ისარლოვისა, დ. ამირიძისა, ბატონიშვილების მოძღვ-
რის მედოთაგრისა, დ. ზაქრაძისა, პ. იოსელიანისა, ვ. ორ-
ბელიანისა, კ. მამაცაშვილისა და ი. ელიოზოვისა.

ი. გ.

საშობოდ.

შობის წინა დღით კორკოტის გაკეთება იციან და კორკოტობაც ამ დღეს მიტომ დარქმევია. კორკოტს ასე აკეთებენ. წინა-დღით, ე. ი. 23 ქრისტეშობისთვეს გაცეხვენ ხორბალს. ჯერ, რასაკვირველია, პურს გარეცხენ, მერე გა-წმენდენ, ამოარჩევენ წმინდა მარცვალს; პურში სხვა, უვარ-გისი, მარცვლებიც ურევია, მაგალ.: ბზინაო, კუდა-ბეწვე-კვარკვალა, ქვა-გუნდა და სხ. ამათ გამოაცლიან, გამოარჩევენ პურს. დაპყრიან ხონჩაზე გარეცხილს პურს, ხონჩას თავ-ძველ დაქანებულად ტაიკავებენ, უკეთ, ცალი თავით კალთაში იდებენ, მეორეთი-კი მიწაზე. პურიც ზედა თავშია მიხვავდებული. ზედა პირიდან გააჭიაქებენ პურს, ქვევიდან ხელს უფარებენ, გააკაკალავებენ. პურის მარცვალი მოგრძო-ოთხ-კუთხი და მრავალ-კუთხიანი, ძნელად თუ დაგორდებაზღანარჩენი უვარგი მარცვლები კი რგვალია და, რა კი გა-ცილდებიან პურს, თავქვე დაქანებულ ხონჩაზე სრიალ-სრიალით წასოსდებიან, აღარ დგებიან ზედ და, ამ რიგად, თავის-თავად გამოირჩევიან პურიდგან *). გაწმენდილ პურს კი მე-რე გობზე თუ სხვა ჭურჭელში გადიტანებენ, გადაყრიან-ასე გაარჩევენ პურს და ამ გაწმენდილ, გარჩეულ, წმიდა პუ-რის მარცვალს (იმ დღეს თუ წინა-დღით დამზადებულს) ახლა წაიღებენ და საცეხველაში გაცეხებენ. საცეხველა ქვის ონჯაროა, ქვაბი, ქვის როლინი; შიგ ჩაპყრიან პურს (ხორ-ბალს) და ხელ-გავით **) ბეგვენ. ამ ბეგვაში მარცვლები შე-

*) და რა-კი რომ შომეტებულ წილად გვარევალაა გაშოსარჩევი, აშიტობაც ამ მოქმედებას პურის გაკვარკვალებას ეძახიან.

**) ხელ-გავით კავივით მოხრილი ხელ-გეტია, რომელითაც სუ-

შურდება და გარსი შემოეცლება, სწორედ ის გარსი, რომელიც დაქვულში, გამტკიცვის დროს, ნაჭვეტოდ იქცევა (რჩება). საცესვში პურის გარსის შემოცლას ეძახიან გაცემას. გაცეხვილს **) პურს გარეცხენ თბილ წყალში, გამოაცლიან მტვერს, თვისას თუ სხვისაგან შენაძენს, ზაგალი, ქვის და ხელ-კავისაგან შემატებულ ფქვილს, გაახაშხაშებენ და გახაშხაშებულს სალამოს, ვახშმის კეთებაზე, ჩასდგამენ ქვაბში (თუჯიაში, კარდალაში), ორ წილს წყალს უზმენ (უშვებიან) და შემოჰკიდებენ ცეცხლზე. წყლის მიმატება აღარ ვარგაო. რომ დაკლდეს, ამოშრება, ამოიხრაკება და, რასაც კვირელია, საჭმელადაც აღარ ივარგებს, ხრაკის გემო ეჭნება. ვახშმის კეთებაზე (ე. ი. როცა კეცებია ცეცხლზე გალავებული, მაშინ) აუკიდებენ, მხოლოდ. ვახშამს რომ მორჩებიან (ე. ი. ჭადებს გააკეთებენ), მერე დაუშვებენ და დუღს, იხარშება. ჯერ ფუხ-ფუხობს, თუხ-თუხობს და მერე, რა-კი გაიკრავს ლაბს, წაიმაგრებს თავს, თვისთვისღა თუხთუხობს შიგნი, იშუშებს გულს. მერე აუკიდებენ ცოტას, ცეცხლზე სტოვებენ (გაღმოდგმა არ ვარგაო, არ დგმენ კი და!) და აშუშებენ.

გათენდება კორკოტობა. და ჯერ რომ არ გათენდებულა
კარგად, შეიქნება ერთი ღორების ჰყვირილი. ყველა ამ
ღილა-ღამოულა საკლავებს უფათურდება. აქედამაც წილისმის
ჰყვირილი და იქიდამაც. მათვის შავი ღლე დგება, თუმცა
მათ პატრონებს შობა მხიარული უთენდებათ და შეეხარებიან.
კიდეც ღლესასწაულს, მის მისაგებებლად ამ ღილითვე ემზა-

მინდს ფუნქციას; თავი მომსხდ ავტო, ხელ-მოსაკრებელი მოლო ანუ
ტარი გი წერილი.

*) ასდა კი მისი გაცეხვით, ე. ი. საცეხველაში (ხელით) ბერძნით, თავს ადარ იწუხებენ—ფქვენ სხვილად, ღერღენ წისჭილ-ში—ხეთქენ შუა-შუაზე, მაგრამ მაინც გაცეხვილს ეძახიან.

დებიან. არი ერთი ჰყვირილი და ვაიუშველებელი. უსაკლა-
ვოდ ხომ არვინ დგება. როგორ შეიძლება, რომ ახალ-წელი-
წადს ხონჩაზე ლორის თავი არ ჰქონდეს და ვინ იქნება, აბა,
ისე დამსილი, რომ საშობოდ საკლავი არ დაკლას! ამიტო-
ნაც არის ნათქვამი ანდაზა: „შობა მებორია და აღდგომა—
მეჭინჭიაო“. როგორც სააღდგომოდ ვერ დადგებიან აქაუ-
რები, რომ არაფერი შეიკერონ, ისე შობასაც უსაკლავოდ
ვერ დადგება. აი, ანეკდოტიც და ანეკდოტური ანდაზაც:
„კაცს საშობო საკლავი რომ არ ჰყავდა, ძარი გადიმხო თავ-
ზე, შობას გადვივლებო“ — ასეა ნათქვამი. თურმე ერთ კაცს
საკლავი არ ჰყავს. შობა მოყიდა. ყოველმა კაცმა ლორი
ააჟყვირა; აქაც კლავენ ლორს და იქაც. იპ! წახდა კაკალი
კაცი, რაღა ქხას?. ასწია და, სხვა რომ ველარიფერი მოა-
ხერხა; — შობას გადვივლებ თავზეო, იფიქრა. აღარ დაესწრო
ვითომ შობას, აღარ გაითენა, ასწია და შეძვრა ძარში —
შობა ძარის ქვეშ გაატარა. წავიდა შობაც და გამოძვრა ძა-
რილან. „საკლავი არ მყავდა, მაგრამ ე შობა ხომ გადვივლე
თავზეო“, — იფიქრა თუ დაიჩემა. — რათოო; — ჰკითხეს და — ასე
და ასე იყოო, თქვა. შობა კი ვერ გადივლო თავზე, თავის
თავი მოიტყუა. და მოიტყუა მხოლოდ მიტომ, რომ საშობო
საკლავი არ ჰყავდა. უმისოდ შობის მიგებებას კი ისევ წულ
მისი დაკარგვა არჩია. აი, მეორეჯ:

ერთი ლარიბი აზნაურშვილი იყო, ვგონებ, ცქიტიშვილი.
ხუმარა იყო და ასე იტყოდა ხოლმე — იტყვიან მის ნათქვამს: —
იცოდა ხუმრობაო: ერთ წელიწადს ლორის ძვირობა იყო და
საშობო საკლავი. აღარ დამესწრო. შობა მომავალია. რა
ვქნა? ერთად ერთი სანაშენო ლორი მყავს, მის მეტი არაფე-
რი გამაჩნია. დავიჭირე და დასაკლავად რომ ვერ გავიმეტე,
წამოვაქციე, შევსლეგი ფაშვზე მუხლის თავით და დავაწყე-
ბიე ჰყვირილი, ვაჸყვირე, ვაჸყვირე და, რო გავარავათე
ჰყვირილით, უცბად ვავაკმენდიე ხმა — ვავუშვი. ბიჭო! ჩემმა
სახლიკაცებმა იფიქრეს: ეს ჰკლავს. საკლავს, არ დგება უსაკ.

კლავოდ და ჩვენ რა ნაკლები ვალი გვმართებსო, და გადას-წყვიტეს, სხვა რომ არა ჰყავდათ, სანაშენო ღორები დაკლეს. ახლა მოვიდა ახალწელიწადი. მე წამოვაქციე კიდევ ჩემი ღორი და ავაწყვირე! იპ! კიდო კლავს ჩვენი გოგია ღორს და ჩვენ რავა დავდგეთო—იტყოდენ ჩემი სახლიკაცებიც და რომ არ ჰყოლოდათ, უნდა გაეჩინათ. იმ წელიწადს ჩემი სახლიკაცები გავაწყალე ღორისაგან, სანაშენო ღორები გავაწყვეტიე: ჩემ ჯინაზე საშობოდ არ იკლებდენ საკლავს და საახალწლოდ. რა იკოდნენ, თუ ის მათ გულის გასახეთქად— „ტრის ჯინაზე“ მხოლოდ-ლა აწყვირებდა განგებ ღორს და მარტოოდენ სურვილს-ლა იკლავდა!

რომ დაურწყდება, მაშინვე სასუქრად ჩააგდებენ. ასუ-ქებენ საკლავს, აჭმევენ სასუქს.

ამ ღილას დაკვლენ, აღრევე მოიცილებენ თუ მორჩე-ბიან ბარემ მას. გაფუფქვენ, ამოავლებენ მდუღარეში *), გაფცევნიან **), გაბტყვნიან, გაფხეცენ, გამოწელვენ—შიგ-ნოულს გამოართმევენ, გარეცხენ და დირეზე ჩამოკიდებულს ტოვებენ ასე სალამომდი გასუფთავებულ-დამზადებულს. ქა-ლები კი ეხმარებიან კეთებაზე, მერე შიგნოულს წაილებენ და ვარეცხენ, გააკეთებენ.

ამასობაში საღილობაც მოაწევს. ჩამოუშვებენ საკიდელს, ცოტას შეათბობენ; ჟადებს რომ მორჩებიან, საკაზმს დამზა-დებენ: ნიგოზს ბლომბდ ხახვს დააჭრიან, პრასის თავებს. შეათბობენ ცოტას, გადმოიღებენ, მოაცლიან თავზე მოყვენ-შეათბობენ ცოტას, გადმოიღებენ, მოაცლიან თავზე მოყვენ-

*) ქერის მდუღრის გადავლება არ ჟარგა: მისგან რაც დამაკე-ბული ღორი იქნება, ჟველა გრძებს მოურისო. ამიტომ უნდა გა-მოაცალოს ქერ უვერები და ისე ამოფუფქებენ.

შეორეც: ქერს ჟვერები უნდა გამოაურევით და ვენახში უნდა დამარხო, კარგია: ანძლა გაწწევებათ.

**) ჭაგანს ანუ, როგორც აქ ეძახიან, ძაგანს ცალკე გამო-აცლიან და შეინახვენ გასასუიღლად.

ბულს თუ მოკიდებულს ქერქს *), გაღმოპყრიან გობზე, არევენ კოვზის ტარით, უქნავენ თუ უზმენ საკაზმს: ბლომად ნიგოზს, გააბრუებენ ნივრით, გაღათეთრებენ ხახვით და პრასის თავით და აი შენი კორკოტიც მზად არი შეკაზმული. ამოილებენ კაი ღვინოს და ღასხლებიან საღილად. ეს კორკოტი ხმელა საჭმელია, მსუყე, მაგრამ ესენი კი შეჭამანდად ხმარობენ; საღილზე და ვახშმად მის ამარა არიან. შეჭამანდადაც აკეთებენ მხოლოდ წელიწადში ერთხელ—ამ დღეს ღა—რატომ, არ ვიცი: რის მოსაგონად დარჩენილა **).— რომ არ გააკეთონ, არ იქნება: არ ვარგაო. რატომ?

საღილს რომ მორჩებიან, სახლს ღასწმენდენ, ღაასუფთავებენ, ეზო-რიადაგეს დახვეტენ, დაა. . . . ვახშმის შეშაწყალს მოამზადებენ შინ. ამასკობაში საღამოს უამიც მოატანს. ცეცხლს გააჩალებენ. ქალები საკურთხის კეთებას შეუდგებიან, მამაკაცები კი ცეცხლზე ქვაბს შემოპყიდებენ, აქნიან ღორს ასო-ასოდ, სამწვადეებს ცალკე აართმევენ და ჩაჰურიან ქვაბში მოსახარშავად. სამწვადეებს შამფურზე ააგებენ, მოწალვენ მღულარეში, გაფხეკენ, ღაასუფთავებენ და იგულიებენ მზად. რასაკვირველია, როცა არის, მეალილოებიც შე-

*) ამ ქერქს სასუქს აჭმევენ, თუ არა? თუ არ ეჭმევა: კაკალი (კაკალი თეთრი ბაწ-ბაწია ბუშტებია, სითხით საგსე, რომელიც ხორცშია გაჭრილი და ისიც უფრო ხორცში იცის; რასა მიგორგელია, ის ავადმეულობაა, სენი და მითი ღასწეულებულია ხელება იცის). გამოჰყება, თუ არათ—კარგად აღარ მახსოვეს.

**) წე თუ იმ დროისა, როცა, იქნება, საჭამანდადაც შერსა ხმარებდნენ, სხვა შეჭამანდა ჯერ რომ არ გამოეგონათ, არ სცოდნიათ? ამ და ბურის ცხობა რომ არ სცოდნიათ ჯერ, ისევ ხორბალს სარშავდნენ, როგორც სიმინდის მოხარუშა იციან ზოგან სილადი იქნება, სამარხოდან პირ-და-პირ სახსნილზე არ გადადიოდნენ, რაომ სარწმუნოებრივის მოსაზრებით?

მოსძახებენ: „ბეიე..“*) და მოულოცვენ თუ ახარებენ მათ „ბეთლემში ქრისტეს შობას“ და ამათაც, ნიშნად მაღლობისა, სამახარობლობაც ლორის მწვალი უნდა მიართვან, თუ ვინიცომბაა და ქათამი ველარ გაიმეტა მათთვის მისაცემად. ახლა მხოლოდ ახლო-მახლო მეზობლობაში ჩამოივლიან და ისიც საღამოს, უფრო კი ღამე უხდებათ ხოლმე ჩამოვლა, ნავახშმევს თუ ვახშმობის დროს. უწინ ხომ ყოველი კაცი ალილოზედ დადიოდა. დაურწყდებოდა თუ არა, ესენიც თავიანთ საქმეს შეუდგებოდნენ. განა ეხალისებოდათ და მართლა ქრისტე-შობას ახარებდნენ? საშოვრობაც ჰქონდათ. ბამბას თხოულობდნენ და ამ ალილოთი შეძენის წყაროსაც იჩენდნენ. რამდენი მიდიოდა, იმდენი მოდიოდა და იყო ერთი ალილო (გალობა) მთელი ორმოცი დღე, თვით უკანასკნელ შობის დღემდის. აქ ქათმებს და მწვადზე ინაზღაურებდნენ გულს. ახლა მხოლოდ კორკოტობას ღამეს თუ საღამოს ჩამოივლიან და მწვადს მიირთმევენ, თუ არა, ზედ კაი ქათამსაც დაამარტებენ და გაპევრიან. ზოგან ღვინოსაც დაალევინებენ, ღვინის დასალევად დაჯდებიან და შებრუშდებიან შენი მოწონებული, შეთრობას აღარ ვიტყვი.

საკურთხეს დაამზადებენ ქალები. ხორციც შოიხარშება. ქვაბს კარბას გაუსინჯვენ, თუ გაციებულა, ხარშვა აღარ ეკლება რაც რომ შიგ არის და ქვაბსაც გაღმოილებენ. ხორცის დასერვენ, აკლია თუ არა. თუ გადიწია ნასერ-

*) ალილო: „ოცდახუთსა ამ თვესა

ქრისტე დაბადებულა. ალილო

შობა დმერთმა გაგითენას,

შრავალ—ახალ-წელიწადი! ალილო!“ და სხვანი.

ახლა მათ მაგიერობას სამრევლო სკოლების შეგირდები შერქებიან. მაგრამ ნაცელად ქართული ალილოსი, რუსულ „როედეს-ტვო ტვოეს“ და გაუგებრად გაზეპირებულს, რსია მირთი სეეტრას“ მასხიან.

თან კანი, გადიხლიჩა ჭრილობა, სხანს, მოხარშულია, აღარ აკლია, თუ არა და სისხლი გამოუვენს.. და მაშინ ხელ-მეორედ ჩასდებენ ქვაბში. ლორის თავს შუბლზე ჯვარს გაუკეთებენ, ჯვარედინად გადუსმენ დანას — მხოლოდ მიტომ, თუ მოხარშულიათ — კანი გაიწევს, უტევს ნაჟერში (თუ მოხარშულია), თუ მცველიანობის ნიშნად, საახალწლო ხონჩაზე რომ უნდა დადგან ის ჯვარ-დასმული, ყველაფერიც ჯვარ-დაწერილი იქნებაო („ჯვარი გწერია“ — იციან, პირ-ჯვრის დაწერა, გულის გამოზმანა, ჯვრის დაწერა, ჯვარის ტარება; ჯვარი აქაურობასა! და სხვანი. თვალი აღარ ეცემა თუ ავის თვალისა და გულისაგან უზრუნველ-ყოფილი იქნებაო).

ჯვარს დაუსმენ და, თუ მეორეს დაკვლას აღარ აპირობენ საახალწლოდ, საახალწლო ხონჩისთვის შეინახვენ.

გათენდება... ან ვინ აცლის გათენებას — ნამეტურ პატარა ბავშვები. ორმოცი დღის ნამარხულევს ხორცში სული ეფანტებათ. ვინ იცის, იმ ღამეს გულში ჩაყოლილი სიზმრადაც კი აქვთ გადაჭცეული მისი ჭამა. ღამოულა წამოცვინდებიან და ჩამოუჯდებიან საუზმეს. რა ტკბილია მაშინ მათ-თვის საუზმე! ოჰ! რა სიამოვნება მახსოვს ხოლმე ამ საუზმეზე პატარაობისას, ჩემ ბოვშობისას! ღამე რავა დაგვეძინებოდა. ნაშუაღამევს მაინც ჩვენი ძილი რავალა იქნებოდა. შუა ღამეზე წამოცვინდებოდით, წამოვხტებოდით (ისევ ღამე) და მაღიანად შევეჭცეოდით ამ ღამეში ღორის ხორცს. სული გაგვეფანტებოდა, ან-კი, როგორ არ დაგვთანტოდა, დაურწყებიდან ამ დღემდი, მთელი ორმოცი დღე ხორცზე დანატროულებული ვიყავით. ვინ გვაღირსებდა ხორცს და (ან რომ ეჭმიათ კიდეც, რავა ვჭამდით?) მერე გემრიელიც რომ არი (შემოღომაზე) ღორის ხორცი!..

დილას დიდები ჩაუსხდებიან ქაუზმეს, და სულ ტკბილდებიან ერთს და მერე კი საკურთხს (ჩაიწყობენ კალათში) წაიღებენ და წავლენ სახტარზე. იქ კი წირვის შემდეგ საკურთხი, საკურთხს შემდეგ შინ საღილი და მეზობლისას მიპატიუ-მოპატიუება მათი სურვილია.

პიმლიოგრაფია

წმ. ანდრია მოციქულზედა.

1900 წ. ურნალ „მოამბის“ VI წ.-ში დაიბეჭდა წანისა და წანა ანდრია მოციქულზედ უვროპიულებ ფიცხიკრიტიკა, არ გაირჩა არც ნამდვილი ნამდვილად, არც ჰქუა გასაჭრელი დასაჯერად და არცარა საეჭვო ჸუა გასაჭრელად; მთელი შინაარსი მისი ერთიან შავ წყალს მისცა და ასეთი დასკვნა მოგვახსენა: „ვარლვევ და უარ ვჰყოფ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებასო!“

დღემდის ვათვალიერებდი. ჩვენს ქართულ ურნალ-გაზე-თებში ვისგანმე ამ საგანზედ რაიმე შენიშვნის დაწერასა, მაგრამ კრინტიც არავინ არ დასძრა, არა იმისთვის, რომ ამისთანა საეკკლესიო ისტორიის სათავე წყარო არ ღირდეს საბჭოდ და საცილობელად, არამედ იმისთვის, რომ ევროპიელ მეცნიერების კვლევა-ძიებას დიდად აფასებენ. იმას კი არ ვფიქრობთ, რომ ისინი ჯერ ჩვენ ვერც-კი გვიცნობენ რიგიან და ჩვენს ძველის-ძველ ღროების ქრისტიანულ წყაროებზედ სჯა-ბჭობების საგნებისა რა მოეთხოებათ, როცა თავიანთ წინაპაპრთ გაქრისტიანების საქმე მრავალ მათგანთ არც კი აქვთ ზედმიწევნით გამორკვეული. მისთანები ჩვენზედ იჩენენ მეცნიერებასა, დაბალ ღობეთ ჩვენ ვჰყევართ, მაგრამ არა უშავს-რა, რაერთიც მჭიდრო და ფიცხელი იყოს. მათი კვლევა-ძიება, იმდენი ჩვენთვის დიდი სასარგებლო და სასიამოვნო იქნება, რომ რიგიან გაირჩევა საეკკლესიო ისტორიის სათავე წყარონი ჩვენი ქრისტიანული არსებობისა, რის გამოც ასეთი კვლევა-ძიების მიზეზნი დიდი ქება-დიდების ღირსნი იქმნებიან მუდამ.

აგერ ასეთს მაღალ კეთილშობილურს საეკულესიო ცხოვრების თავ საგნებს ეხება ფრიად პატივცემული ბ. ჯავახიშვილი, აულია თავის ხელ-სამძღვანად ევროპიელი მკვლევარების მეთოდი და უნდა იმითი როგორმე გააცრუოს წანადრია მოციქულის მოსვლა და ქადაგება საქართველოში. თავის საკამათო სათაურად ბ. ჯავახიშვილი სდებს დ. ბაქრაძის სიტყვას: „საქართველო მზადდებოდა ქრისტეს სახარების მისაღებად მრავალ უამითგან, იმისი საფუძველი აქ დაიდო მოციქულობის დროსვე...“ წილ-ხდომით ჩვენი პონტო ერგო ანდრია მოციქულს (საქართვისტო ისტორია, 107 გვ.). ამასვე ამბობს მარი ბროსეც, დანაშთენი მკვლევარნიც ამ ორ მეცნიერთ სიტყვებს იმეორებენ... ჩვენის აზრით საყურადღებოა მხოლოდ პ. იოსელიანის ცნობა, ვითომ ძველი თქმულება ანდრიას საქართველოში ქადაგების შესახებ წანის დროსვე იციდუნ ქართველებშია“. ვიქეათ, პ. იოსელიანშა „,ქართლის ცხოვრებაზედ“ არ დაამყარა და ხალხურ ძველს თქმულებაზედ დაამყარა, ხალხურ ზეპირ გაღმოცემაზედ; განა ამითი გაუქმდება ისტორიის სინამდვილე? როგორც თქვენვე ამბობთ „ეს თქმულებანი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ შამა-პაპურს შეხედულებას წარმოადგენენო“. ამტყუნებია ისტორიკოსებსაც, „რომელნიც მატიანის სიტყვების განმეორებას აღარ ქმარობენ და სხვა-და-სხვა საეჭვო ზღაპრულს თქმულებებზედ ამყარებენ ხშირად თავიანთ დიდ მნიშვნელოვან საკითხების შესახებ კვლევასაო!“

ახლა ვთქვათ ჩვენად: რა და რა წყაროებითგან შესდგება საეკულესიო ისტორია? უეჭველად შესდგება წერილებითი საბუთებთან ერთად დავედრებითა (ზეპირ-გაღმოცემითა) და სახსოვრებითა, როგორიც არიან მთანი, მდინარნი, ძეგლები, ეკალესიები, ბეჭდები და შისთანა ძველის: ძველი ნაშთნი... ძველი სჯული და ახალი ქრისტეს სჯული წერილებითი და დავედრებითის გაღმოცემით არიან დამტკიცებულნი; ქრისტემ და მის მოციქულთა იმდენი არ დაგვიტოვეს ჩვენ

სჯულ-კანონი წერილითა, რამოდენიც რომ დაგვიტოვეს ზე-
პირად გაღმოცემულის სწავლა-დარიგებითა: რა არის აღმო-
სავლეთის და დასავლეთის ეკელესიების მთელი ტიპიკონის
წეს-რიგნი, ლოცვა, წირვა, მარხვა, საიდუმლონი, კურთხე-
ვანი და სხვა, თუ არ სულ ქრისტეს და მისი მოციქულები-
საგან მიცემულ სწავლა-დარიგებისან გარდმოცემულნი თა-
ვითვანვე!.. თქვენ კი არ წყნარულობთ ძველ თქმულებასა
ისტორიის ნამდვილ წყაროთ და წა ნინოს მოწიფეების სიტ-
ყვები მოვაჭვთ ფაქტია, რომელსაც ეუბნებოდნენ მთიულეთ-
ში უალეთს: „მოციქულნი ათორმეტნი და კვალად სამოც-
და-ათორმეტნი ჩვენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა
შენ“ (ახალი ვარიანტი, გვ. 2).

განა არ შეიძლებოდა სამესხეთოს, იმერეთს და ქართლ-
ში მოსულიყვნენ ბარად და მთიულეთში უალეთს არ. მისულ-
იყვნენ საქადიგებლად: ეს და ამისთანა რა მოსატანი ფაქ-
ტია, და ან რა მნიშვნელობა აქვს. მთაში ერთ-ორ პირის
თქმულება, რა შესაღარებელია სათემ-ქვეყნო საზოგადო
თქმულებასთან, სრულიად არაფერი.

„ბიზანტიელ რუფინისთვის არ უამბნია ქართველ მეფის.
ნათესავსა ბაკურს წა ნინოს ქადაგების შესახებ საქართვე-
ლოს მოქცევის გამოკითხვაშიო“ არ მოსულა სიტყვა წა ანდრიას ქადაგებაზედ საქართველოში და არ უთქვია, რა
და შავებულა ამით? თუ არა და რა საქმე ჰქონდა და კავშირი
ანდრია მოციქულს ჩინოსაგან ქართლის მოქცევაზე: და,
როცა რუფინს სჯა და შეიბა მარტო წა ნინოს ქადაგებასა
და მის შემდეგ ქართველთ მოქცევასა და გაქრისტიანებაზედ
აქვს, მეტადრე, როცა ბაკურის მოკლე ნაამბობი მოთხრო-
ბითაც დიდად კმაყოფილი რჩება რუფინი, უწინდელს ახალს
ქრისტიანობის შიღებისა ასეთი მოკლე კითხვა-პასუხი იშეია-
თი არ იყო, თითქმის მთელ ქვეყნის ტომებში საზოგადოდ
ასე ყოფილა ხმარებული. მანდერ წა ნინოს მოლვაწეობა
ვითამ წერილობით დაგვრჩენია, რამდენი რომ არის? და თუ

ცოტა რამ არის, ისიც მეტად მოკლე და გაურკვეველი, რომ
ჯერაც ვერ ვქმაყოფილდებით და ახალ სხვა-და-სხვა წყარო-
ებს ვეძებთ ჩვენის გულის საჯერებლად!

აგრეთვე გვეუბნებით: „პეტრე მოამელ ეპისკოპოსს არა
აქვს ნათქვამი თავისს სიტყვაში ანდრია მოციქულის ქადაგე-
ბა საქართველოში, თუ ეს უკანასკნელი სიტყვა არ არის
მისი თქმული: იქადაგა ქადაგება იგი წმიდისა სახარებისა დი-
დებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრიას მიერ ქვეყანასა
მას ქართლისასა: ვითარცა დასწერს ნიკიტა საღვთო და ფი-
ლოსოფოსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმიდისა მის
მოციქულისათა... თუ უს ადგილი დიდი ხნის შედგენილია,
მაშინ ჩვენს ზემოდ მოყვანილს დასკვნას არღვევს, თუ არა
და თქმა არის ნიკიტას ნაწერითგან დამატებულია, რომელ-
საც წმიდათა შესხმა წერაში ანდრიას შესხმაც აქვს დაწერი-
ლი, ასრე: „ხოლო შენ უპატივცემულესო ანდრიავ წილად
გხვდა რა ჩრდილოეთი იბერნი და სარმატნი, ტავრნი და
სკივთნი და ყოველი ქვეყანა და ქალაქი, რომელი პონტ-
ეუქსინის ჩრდილოდ და რომელნი სამხრეთით მდებარებენ
მიმოიარენ ქრისტეს დიდების წყურვილეულმან“. (Nicitae
Paphlagonis oratio lvln ludem s. Andriae, migne pa-
trolagia, 165. t. გ. 64). იქავ „მოამბის“ გვერდი 40.

ახლა ვინ გაარჩიოს ეს, ეგება ნიკიტაშ პეტრე მოამელი
ეპისკოპოსის თქმული სიტყვითგან გაიგო ანდრია მოციქუ-
ლის მიმოვლა სხვათა შორის ივერიაშიცა და დასწერა ასრე
ნამდვილად, რომელიც ჰკუაზედ უფრო ახლოს არის და არა
თავის თავათ, რათ დასწერდა, რა ძალა ჰქონდა და ან რა
სარგებელი? მერმე ისიც ბერძენს, თუ არავითარი ფაქტი პრ
ექონდა ხელთ, ხომ სხვა იმაზედ უფრო სწავლული ისტო-
რიკოსნი გაამტკუნებდნენ და სიცრუედ დასახემდნენ მის
თხზულებათა, მერმე წმიდანების ცხოვრებაში; რაც ყოველ-
თვის დიდის სიფრთხილით იწერებოდა სიმართლის აღსადგი-
ნებლად და იმ დროინდელი მყოფი მრავალ მწვალებლების

შესარცხვენლად და პირის დასაყოფლად... ვთქვათ, თავით-
განვე არავის არ უთქვია და არც დაუწერია, ჩვენის ქვეყნის-
თანა მუდამ დაუწყნარებელ ომ-ბრძოლაში ვაბმულ ტომ-
მოდგმობას და მერმე ხან-უამ გამოსვლის შემდგომ თან-და-
თან გამორკვეულა ყოველი ისტორიული ცნობები აქა-იქ
გაბნეულ-გაფანტულის წყაროებითან, მაგალითად მე-VII,
VIII და IX საუკუნოებში, რა სათაკილოა? ხომ ჩვენი ხა-
ქართველოს ცხოვრებაც ასე მოდის დღესაც სისრულეში
სხვა-და-სხვა ახალის ცნობების შეკრებითა!

მართალია, ევსებიონ კესარიელი ოროგინისაგან აღებულს
მოგვითხრობს მოკლეთა „ქრისტე მაცხოვრისა ჩვენისა მოცი-
ქულნი გაემგზავრნენ“, მოღვინნენ მთელ ქვეყანას, როგორც
გარდმოცემით ვიცით, თომას ერგო კერძად პართნი, ანდრი-
ას — სკივთნი, იოანეს — ასია, სადაც დიდხანს იცოცხლა და
გარდაიცვალა ეფესოდ; ხოლო, როგორც პერნებენ, პეტრეს
ჰევდა პონტო, გალატია, ბითანია, კაპადუკია და ასია; წარ-
მართებში გაფანტულ ურიობას უქადაგა და მერმე ხომ რომ-
ში გადვიდა და იქ თავდალმა ჯვარს ეცვაო!“ ვთქვათ, ანდ-
რია მოციქულს პრეგბია სკივთები გასა ქრისტიანებლად, რო-
მელნიც საქართველოს მოსაზღვრე თუ არ იყნენ, მახლო-
ბელნი უნდა ყოფილიყვნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოე-
თით, ჩვენსა და მათ შუა კავკასიელნი და სარმატი იყვნენ.
რა ფზით უნდა წასულიყო ანდრია მათში? იმ დროებში
ზღვით მდზავრობა იშვიათი იყო მაგ კიქულებისთვის, უფრო
ქვეითად მოგზაურობდნენ ხმელეთით; შავი ზღვისა და კას-
პიის ზღვის შუა ჩვენი ქვეყანა იყო ახლა სკივთებში მიმავა-
ლობისა, ან იქითგან გამოვლისა, ფანდრიას რომ სიმარჯვე
მისცემოდეს ჩვენს საქართველოში ქადაგებისა, მოექციოს
წარმართობისგან და გაექრისტიანებინოს ქართველები, მეს-
ხები თუ იმერლები, რა დაბრკოლებას მისცემდნენ ანდრიას
სკივთების მოციქულობის ხახელ სახენებდელსა? ესეც რომ

არ იყოს, უწინდელი შეტერლები სკითხებისა და არმენიანების-გან არ გვარჩევდნენ, რადგან სიშორის გამო არ გვიცნობდნენ.

თუნდ ავილოთ ინდოეთში გარდაცვლილი თომა მოციქულის ქადაგების საქმე. ის პართიის მოციქული იყო საკუთრად, მაგრამ მან უქადაგა პართების შემდგომ მიღებსა, პარსებსა და მერმე ინდოელებსა; გაამრავლა იქაც ქრისტიანობა და მერმე წარმართთა აწამეს მოლაპარის ქალაქში და დასაფლავდა წა თომას ეკკლესიაში, რომლის ნაწილიც ნანგრევის ეკკლესითგან ამოასვენეს ლუსიტანელებმან და დაჰკრძალეს კოაში, სადაც დიდის პატივისცემით ინახვენ დღესაცა. მისი ასეთი მრავალ მოლვაწეობით პართეველების მოციქულება წომ არ გამოიცვალა?. და ახლა როგორ უნდა ვთქვათ, რომ თომა მოციქული მარტო პართების მოციქული ყოფილი და არა მიღებისა, პარსებისა და ინდოელებისაო?!. ასრევე ამ რიგად ჰსხანს თავის მისვლა-მოსვლაში ანდრიას ჰქონია მარჯვე შემთხვევა და სკივთებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში გაუვრცელებია ქრისტიანობაც, მით მის სახელზედ დარჩენილია ახალციხის მახლობლად ანდრია წმინდის სოფელი, ახალციხეში ანდრიის წვერი (ხანდრის წვერი) წამხდარი ენიო ჰქვიან დღესაც: სადაც მას უვლია და უქადაგნია ქრისტიანობა, ყოველგან ჯვრის ძეგლები აუქართნიათ მის სახსოვრად, როგორც ოცხის მთასა რკინის ჯვარი, წყრუთის სოფლის ერთს უბანში—წყრთა ჯვარი, ხევობაში—ციხის ჯვარი, ჯვახეთში—ჩირგვის ჯვარი, ურავლის მთისკენ—გზათა ჯვარი, ქვაბლიანში—ქვაბის ჯვარი, ფოცხევში—კოხის ჯვარი, შავშეთში—ხევის ჯვარი და სხვაც ბევრგან.

მაღლობა, ღმერთს, როგორც თქვენვე გვაჩვენებთ ბ. ცაგარლის წყაროებითგან, მაგა ევთიმ ათონელსაც ჰქონია შეტანილი თავის თხზულებაში ანდრია მოციქულის მიმოსვლაცა, მერმე გიორგი მთაწმინდელსა უფრო გარკვევით აქვს მოყვანილი, როცა ეუბნება ანტიოქელ იუანე პატრიარქსა:

, წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ თავსა მას მოცი-
ქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველ წო-
დებულისა და ძმისა მისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და
სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი, და ერთი წმიდათა მოცი-
ქულთაგანი სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა და-
მარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფი ეწოდების, ამათ
წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ, ვინათგან ერთი
ღმერთი გვიცნობიეს, არა ო უარ გვიცოდიეს, და არცა
ოდეს წვალებისა მიმართ შიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და
ყოველთა უარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ
და ვსწყევთ“ . („სამოთხის“ 462 გვ.) აგერ გიორგი არა მარტო
ანდრია მოციქულის მოსვლას და ქალაგებას ამტკიცებს, ისი-
ვე სიმონ კანანელის მოსვლასა და ქალაგებასა ჩვენს ქვე-
ყანასა, არა მარტო მათის ქალაგებით გაქრისტიანებულ არი-
ან ჩვენი წინაპარნი, ისივე იმ დღითგან დაწყობილი ჩვენი
ქრისტიანობა შეურყევლად დარჩენილა მტკიცეთ ჩავის წ’ ა
სარწმუნოებაზედა, უფრო ამის დასამტკიცებლად შესანიშნი-
ს არის, რომ მეორე საუკუნეში ტერტულიანე მოწმობს, რომ
„სასომხეთოსკენ“ მრავალნი ქრისტიანენი იყვნენ“. რო-
გორც ვიცით, სასომხეთოსკენ კაპალუკია იყო და მესხეთი
მოსაზღვრე მჭიდროთ, იმ დროს ჭაჭანებაც არ იყო ქრისტი-
ანობისა სრულიად სომხეთში.

აღარ გავაგრძელებ ამაზედ კამათსა, მიუხედავად აშათსა
თავის თავათ ცნადია, რომ პეტრე მოციქულს დიდხანს არ
ულვაწნია თავის სვეტრ პონტოს მხარეებში, 46 წელს გარდ-
ვიდა რომში და იტალიაში ავრცელებდა ქრისტიანობას 25-
წელს თავის წამებამდის, და თუ დაუწერია ეპისტოლე შათ-
ოვის საკუთრიად პეტრეს, რომში წასვლისა ანუ შემდგომ
უნდა იყოს მიწერილი, აი როგორ: „პეტრე მოციქული
იყსო ქრისტესი, რჩეულთა მწირთა განთესილთა პონტისა და
გალატისა, კაპპალუკისა, ასიისა და ბითვინისათა... რო-
მელთა იგი გამოეცხადა, რამეთუ არა თავთა თვისთა, არამედ

თქვენ გმსახურებდეს მას, რომელ ეს აწ მიგეთხრა თქვენ მახარებელთა მათ თქვენთა მიერ სულითა წმიდითა მოვლინებულთა ზეცით... არამედ მწოდებელისა მისებრ თქვენისა წმიდისა, თქვენცა წმიდა იყვენით ყოველსა შინა სლვასა თქვენსა!“ ა. კათოლიკე ეპისტოლე პეტრე მოციქულისა, 1. 12, 15.

აქეთგან ცხადათ სჩანს, რომ პეტრე მოციქულს თავის ხვედრ ნაწილში მრავალნი გამგე-შემწენი ჰყოლია, რომელთაც მის წილ უქადაგიათ მათთვის ქრისტეს სარწმუნოება და მათ შორის იხსენიებს (თუ არ ვსცდები) თავის ძმას ანდრიას, მწოდებელისა სახელითა: თქმა არის, როგორც ის წმიდაა და სიწმიდეს გასწავლის, თქვენც ეგრე მოიქეცით, თქვენი დღენი წმიდა იყავითო. აგრე აქეთგან უნდა ჰქონოდა შესწავლილი მამა გიორგი მთაწმინდელსა, რომ ანტიოქიის პატრიარქს უთხრა: „ხოლო ჩვენ პირველ წოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონო მის მიერ მოქცეულნიო“ („სამოთხე“, იქვე 462 გვ.)

აქ მოტანილი ჩემის მოკლე საბუთებით ნათლად სჩანს, რომ თქვენ ჯეროვნად ვურ არღვევთ ანდრია მოციქულის ჭადაგების თქმულებას ჩვენს საქართველოში. ჩვენთ წინაპართ სასულიერო მამანი, ჩვენგან უფრო სწავლულნი და მეცნიერნი იყვნენ ბევრ წილად სასულიერო ნაწილში, წინანდელზე რომ არ მიექციათ ჯეროვანი ყურადღება და გამოპარვოდათ გონებითგან მაგისთანა საეკკლესიო ცხოვრების სათავე წყარო, მერმინდელები უეპველად დააკვირდებოდნენ და განხილვაში შევიდოდნენ, როგორნიც იყვნენ მამა ეფთიმი, მ. გიორგი მთაწმიდელი, იოანე პეტრიწი და სხვანი. თუ მ. გიორგიმ არ დაუფერა სიტყვა ანტიოქიის პატრიარქსა და არც ბერძნის მეფეს თავისთან ხლებულ დიდებულებში და ცხადად მოახსენა ბერძნების აღრინდელი მწვალებლების შედევგად განწევება მფუანი სეფის კვერისა და გააცრუვა იმათი შეხედულება რომის კათოლიკეთ უპურისცომო და უმარილო

ჭმიად სეფისკვერზედა, რაც დიდ შეცოთომილებათ ეგონათ, შეისთანა სწავლულს რაოდნად უფრო თავის ქრისტიანობის მიღების საქმე უფრო ნათლად გამორკვეული ექმნებოდა? (იხ. სამოთხე, 474 გვ.).

რაც შეეხება წარმომარტინის მოღვაწეობასა, იმაზედაც გვე-
ქმნება მის ღროს საუბარი დაწვრილებით თუ არა, მაინც
შოულეთ, რაც შეეფერება მის ღრომინდელ მდგომარეობის
ჯარემოვებითს მსვლელობასა.

ՀՈՅԱԳ ՑՂՏԵՐՆ

26 მარ. 1901 წ. ქ. ახლადვისე.

საქართველოს ისტორია საქართველოსი *).

სამეფოს დაანსებიდამ ქრისტიანობის მიღებამდე.

ფ ა რ ნ ა თ შ ი, პირველი მეფე საქართველოსი.

(301—237 წწ. ქრ. წინ.).

გავიხსენოთ, რაც უკვე ვსთქვით ქართველების პირვან-
დელ ცხოვრებაზედ. პირვანდელი ქართველები ცხოვრობდნენ
თვე-თემთბით და თვითონვე განაგებდნენ თავ-თავიანთ საქმეებს
მამასახლისების მეთაურობით. ხოლო, რაღანაც მცხეთა ითვ-
ლებოდა მთელის საქართველოს დედა-ქალაქად, ამიტომ მამა-
სახლისებურაც ყველაზედ უპირველესი მცხეთის მამასახლისი
იყო. დრო-გამოშვებით ამასთან იყრიბებოდნენ საქართველოს-
დანარჩენი მამასახლისები და ერთად არჩევდნენ საქვეყნო-
საქმეებსა, სათემოსას კი თვით თემის მამასახლისები უძღვე-
ბოდნენ. მტერთან საბრძოლველად ყველაზედ წინ გადიოდა
მცხეთის მამასახლისი თვისის სამამასახლისოს მეომრებით და
შას მიჰყებოდნენ დანარჩენი მამასახლისები, ყველა თავ-
თავიანთის ჯარით, განსაკუთრებით კი იმ თემების მამასახლი-
სები და ჯარები, რომელთ საზღვარსაც მტერი უმუქრებოდა:
ასე სცხოვრებდნენ ქ-რთველები ფარნაოზამდინაც. მცხე-
თაში ამ დროს მამასახლისობდა ფარნაოზის ბიძა (მამის ძმა)
სამარა, კუი დიდად შემაერთებელი და მხნე. მის დროს გა-

*) არაუკანი წერილი, № 8—9, დამატება, გვ. 48.

შოჩინდა მაკედონიაში *) ახალგაზდა მეფე ალექსანდრე, შვილი ფილიპე მეფისა. ფილიპემ დაიპყრა საბერძნეთი და შეუდგა სპარსეთზედ გალაშქრების მომზადებას, მაგრამ მოკლულ იქნა 336 წელს ქრისტეს წინ. გამეფდა შვილი მისი ალექსანდრე, კაცი, თუმცა ჯერ სრულიიდ ახალგაზდა (20 წლისა იყო. მამა რომ მოუკლეს), მაგრამ უკვე განთქმული მხედრობასა და ვაჟკაცობაში. ალექსანდრე პატარაობილგანვე დიდს ნიჭი და მოქმედების წყურვილს იჩენდა. იგი ცამეტის წლისა იყო, რომ მამამ მისმა მიაბარა იგი განთქმულს ფილოსოფოსს არისტოტელს და დაავალა მისი სამაგალითოდ აღზრდა და სწავლა, არისტოტელმა მართლაც მშვენიერად აღზარდა ნიკიერი ბატონიშვილი და სავსებით შეასწავლა მას ყოველი მაშინდელი მეცნიერება-ხასიათები.

თუ საღამის გამბედავი ყმაწვილი იყო ალექსანდრე, სჩანს შემდეგის ამბიდამ: ერთხელ ფილიპე მეფეს მოჰვევარეს საჩუქრად მეტი-მეტად მშვენიერი ცხენი, რომელსაც სახელად ბუცეფალს *) ეძახდნენ. მაგრამ ცხენი ისეთი გიუი და მიუკარებელი გამოდგა, რომ მასზედ შეჯდომა ვერც ერთმა განთქმულმა მხედარმა და მეჯირითემ ვერ გაბედა. ალექსანდრემ გადასწყვიტა ცხენის ლამორჩილება და სწორედ იმ დროს, როცა სხვები შიშით ერიდებოლნენ გაფოთებულს მერანს, ალექსანდრე უეცრად მოახტა ცხენს ზუგრზედ, და აუთებული გაუშვა მინდორზედ. მამას და უველა იქ მდგომად ეგონათ, რომ ალექსანდრე ცოცხალი

**) მაკედონია—ქვეპინი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ, საბერძნეთის ჩრდილოეთზ, დასახლებული ბერძნების მონათებაზე წალხით. ნირველი მეფე მაკედონიისა ეოთიდა შერდიდა, 600 წლ. ქრისტეს წინ, რომელსაც თავის უფლებას ქვეშ შეუერთებია დაქა-ქსული მაკედონელი და ამგვარად დაუსუბია მაკედონიის სამეფო.

*) ბუცეფალი ნიშნავს სარ-თავზეს.

ველარ გადურჩება ცხენსარი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იგი უვნებლად მობრუნდა მამასთან და ცხენიც სრულიად დამორჩილებული შოიყვანა, თითქოს პატარაობიდამც შეზრდილიყოს მასთან. ეს დღე იყო და ოლექსანდრე ალარ გავშორებია თავისს ბუცეფალს. მამას დიდად იამა შეილის ასეთი გამბედაობა და უთხრა: „მაკედონია შენთვის პატარაა, შეილო, სხვა ქვეყანა მოძებნეო“. და ის მოძებნა კიდეც.

ვამეფდა თუ არა (336 წ.), ოლექსანდრემ უწინარეს ყოვლისა შური აგო მამის შკვლელებს, შემდეგ თავს დაესხა ბერძნებს, რომლებმაც განიძრახეს განდგომა და საშინლად დაამარცხა ისინი ქორანებისთან. აქედამ გაესია მდინარე დუნაის პირად, მცხოვრებ ბარბაროსებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ მაკედონიას და ისინიც დაიმორჩილა. ამ დროს ვილამაც ხმა დააგდო, რომ ოლექსანდრე მოკვდათ და მჭერმეტყველის დემოსთენის რჩევით ბერძნები კელავ აიშალნენ, მაგრამ ოლექსანდრე ელვის სიცრაფით კვლავ საბერძნეთში გაჩნდა, ბილო ქალაქი თიბო და სრულიად გაანადგურა იგი. დააწყნარა რა ბერძნები და შარბაროსები, ოლექსანდრე შეუდგა სპარსეთზე გალაშქრების მზადებას და 334 წელს უკვე 35.000 ბერძენ-მაკედონელითა კარგათ გაწვრთვნილის და შეიარაღებულის ჯარით გადვიდა ზღვას მცირე-აზიაში და შეესია სპარსეთის სამეფოს. სპარსეთის მეფემ დარიოსმა მოაწე გება ალექსანდრეს თავისი სპასპეტები დიდ-ძალის ჯარებით, მაგრამ ოლექსანდრემ ზედიზედ უველგან დაამარცხა. მათი ბრბოთა ქსგაცი ჯარები და ტყვედ ჰყო თვით მეფის ცოლ-შვილი. დარიოს მეფე გაიქცა, მაგრამ მოკლულ იქმნა საკუთარ ერისთავისაგან, რომელსაც ამით პსურდა ოლექსანდრეს გულის მოგება, ალექსანდრემ კი იგიც სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ ოლექსანდრემ დაუბრკოლებლად დაიპყრა მთელი უშველებელი სპარსეთის სამეფო, შეირთო ცოლიად დარიო-

სის ქალიშვილი, რათა დაიხსნოვოს სპარსნი და თვით გა-
მეფიდა.

სპარსეთთან ერთად, ალექსანდრემ იმავე დროს დაიპყრა
ჩვენის ქვეყნის მოსაზღვრე კაპადუკი და კილიკი (სომხეთი).
უნდა ვითიქროთ, რომ სწორედ ამავე დროს ეკუთვნის მისგან
თუ მისის სარდლებისაგან თვით ჩვენის ქვეყნის დაპყრობაც.
მამასახლისმა სამარამ, რომელიც ჩვენ ზემოთ მოეწენეთ,
შეიტყო თუ არა, რომ დასავლეთიდამ საქართველოს მტერი
შემოესიაო, საჩქაროდ შეჰქობა ჯარები და მიეგება მტერს,
მაგრამ იძლია და მოკლულ იქმნა. აქვე მოკლულ იქმნა ფარ-
ნაოზის მამა მიტრიდატი, რომელსაც დარჩა მტერაში ახალ-
გაზდა ცოლი, ღვიძლი და სპარსეთის მეფის დარიოსისა, და
სამი შვილი—ორი ქალი და ერთი პატარა ვაჟი—ფარნაოზი.
გალალებულმა მტერმა მტერთა დაიჭირა, მაგრამ მტკვრის-
ციხე (ხუნანი) და თუხარისი კი (ჭოროხის ხეობაში) ვერ
აიღეს.

ჩვენის მატიანის სიტყვით, ალექსანდრემ დასტოვა მტე-
თაში მმართველად ვინმე აზონი ათი ათასი შეედრითა და
თვით კი წავიდაო. აზონმა ძირამდის დანგრია მცხეთის ზღუ-
დენი, დაიპყრა ყოველი კუთხე ქართლისა ვიღრე შავ-
ზღვამდის და მოხარკე ჰყო ასნი, ლევნი და ხაზარნი. აზონი
ფრიად მესისხლე კაცი გამოდგა. მას ეშინოდა გამოჩენილ
ქართველებისა, მმართველობა არ წამართონ, და ამიტომ
დაუწყო მათ დევნა და ხოცვა+ ფარნაოზის დედას დიდად
შეეშინდა, შვილები არ დამიხოცოს და ერთს დამეს, ჩუმად,
გაიქცა შვილებით და რამდენიმე ერთგული კაცით კავკასიის
მიუდგომელს მთებში. იგი დასახლდა აქ ერთს მიურუებულს
სოფელში და დიდის საიდუმლოებით და სიფრთხილით ზრდი-
და იქ თავისს ერთად-ერთს ვაჟსა — საქართველოს იმედსა.

თქმა არ უნდა, რომ ესენი აქ ობლად არ იყვნენ. სა-
ქართველოდამ ხშირად მოდიოდნენ მის დედასთან ბევრი გა-
მოჩენილი ქართველები და სისხლის ცრემლით უამბობდნენ

შესისხლე აზონისაგან ქართველების უზომოდ შეწუხება-დაჩა-
გვრასა, რაიცა, ეჭვი არ არის, ყოველი წვეთ-წვეთად გულში
ეღვინთებოდა ნიჭიერს ფარნაოზს და ნელ-ნელა დაუშრე-
ტელს სიყვარულს უბადავდა დაჩაგრულ მამულისადმი. დრო
მიღიოდა და ფარნაოზში ნელ-ნელა იზრდებოდა და მწიფდე-
ბოდა დიადი აზრიც—საქართველოს განთავისუფლება უცხო-
ელ მოძალადისაგან.

(შემდგენი იქნება):

პირველი წლები 1902 წლის უკრნალ „მოგზაურისა“

გამოვა ახალის წლის პირველ იანვრისათვის,
ამიტომ, გისაც ჰქონდა, რომ უკრნალი თავის დროზედ მიუ-
გიდეს, გითხოვთ ახაგე დაიკვეთოს იგი.

1902 წლის „მოგზაურის“ ხელის მომწერნი, გარდა უკრნა-
ლისა, ყოველ თვე მიიღებენ მუქთად ჩვენ-მიერვე გამოცემულს.
წიგნებს სათაურით „გამოსაღები ცნობანი“, რომელშიც
მოთავსებული იქნება წერილები:

- 1) ბეჭავთვისადამ.
- 2) მეურნეობა-მრეწველობიდამ,
- 3) ჰიგიენა-მკურნალობიდამ და
- 4) სამეცნიერო კითხვებიდამ.

ფასი უკრნალისა გაგზავნით:
წლით— ხუთი განვითი, ნახევარ წლით— სამი მანათი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: В ზ თ ე ბ ლ ი ს ,
ვ ა რ ა კ ა ც „MOTZAUERI“.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელის საზოგადოების მიღაწიაში შით ჰუჩუკაშვილთან
და თვითონ რედაქტორთან „კავკასიის ხაკნლიტეროში“
(გოლოვინის პროსპექტზე „კრუერის“, ქვემ)— დღესაწა-
ულებში დიღის 11 საათიდამ 1 საათამდის, ხოლო საჭმის
დღეებში— სალამოს 5 საათიდამ 7 საათამდის.

მიღება წლის მოვერა 1902 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებისას გაფეთი

„კ ვ ა ლ ო“

(წელიწადი მეათე)

გამოგა 1902 წელსაც ეთეგედ კვირა დღეს, ერთიან სამ
ფაბახაძე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაბეჭდება მეცხრამეტე
საუკუნის მოღვაწეთა სურაუები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის)
მათის ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა
ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ლირს თბილისში 7 მან., თბილისს
გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თბილისში 3 მან. 50 კავ.,
თბილის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 22 მან. თითო
ნომერი სამი შაური. აღრესის გამოცვლა თბილის გარეთ
ლირს ორი აბაზია.

სელის მომწერლების შეუძლიათ წლის ფული ნაწილით შემთ-
ავდნოს:

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, წერა-კითხვის საზო-
გადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო
ქარვალი), რკინის გზის სადგურზე — პირველი კლასის ბუ-
ფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და „თვილის კვალის“ რედაქტია-
ში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის
მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; აზურგეთში
და ახალსენავში კ. თავართქილაძის წიგნის შაღაზიებში; ჭია-
თურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და ბერიძესთან; ყვირი-
ლაში ივანე არჭიშვილთან; დ. ხონშვითან. სახალ. სამკითხველოში.

ფოსტის აღრესი: *Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.*

„ო Յ Յ Ռ Ո Ւ“

Համոցի 1902 թյը

(Ծանոթագրության թյ-25 թյլովաճ)

Հագուստական ագրառական շահութեած գործադրություններուն, մասն նկազամութ, հաջորդութ հիմքաւ.

Տան-Ծա-Տանօնօտու Ցրդա մյուտեզըլու մոտեացնողեած დա ու գարեթուցա, հոմ յելլանդըլո პարարա ուռորմաւու գանց- տօսա ե՛մուրած նեծա առ ցամլեց սակորու սացնեծսա დա սանց- ցալու սայութեած չյերացանո օգուլու դայտմու եռլմիյ, — ցամունցը ցամալութու ցանցութու ցամեալութու ունացնա, և նոմուսաւ Օյուլուսու հայսուլու ցանցութեած. հայենս ցանցութ ամ- հոգած մոյմաւրեա նաեցարու ունուսա, և առ դլյու առու դա մյուտ- եզըլս մուսպամ պազըլ դլյ 10 սայութ մյուս սայութաց, մասալուս.

Հեծայուսա աթալու բլութցան ցանսայութրեծունու պայման- դյեած մոյմաւրու հայենս սասուլու-սամյուրնեռ սայութեած, յուլյու ցամալութու սալութրաւրու ցանյութունու ցանցութու դա ցանսայութրեծու վրուլու առնունու եռլմիյ ու մոյլունա- նո դա դլյու, հոմելուաւ հայենս ու մուլու հայսութնու ցանսա- յութրեծունու մնունցըլու յիմնեաւ.

Հայութ ցանցունու և ներ ուժմանաւ.

Ցանցունու գանձական մասնական անդամութ: Քոյածունու: „ՈՅՈՒՈՒՍ“ հաւատուս, նոյուլունու վ. № 21. „Քարտգելութ մասնու վ. վ. ցամացրութեած սաթուցաւութեած“ Քօնուս մագական գանձական, սասալուս կյանք, ծանկուս կարցաւլու.

Քյուանունու— ծյանց յունու բլունու մալանուանու, ծայնունու եռլութու մալանուանու, նոյուլունունու վ., վալանտարունու վարցաւլուս Յուն-Ծա-Յուն. Ծալյութու № 227. Սայութու արկանու: Տիգլուս.. Редакция „ИВЕРИЯ.“

შიღღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის

სურათებიანი
დაზატებით.

აოველ თვიური უუჩნდელი

„მოამბე“

(წელიწადი მეტერე)

ფასი უკრნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:

1 წლით	10 პ.
6 თვით.	6 "
3 "	3 "
საზღვარ გარეთ:	
1 წლით	13 პ.
6 თვით.	7 "
3 "	5 "

აოველ თვიური გაზათი

ცნობის ფურცელი

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:

1 წლით	6 პ.
6 თვით.	4 "
1 "	75 პ.
საზღვარ გარეთ:	
1 წლით	11 პ. —
6 თვით.	6 „ 50 პ.
1 "	1 „ 10 „

ფინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოაწეოს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქადაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის სარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერასთანავე უნდა იქმნეს შემოცნელი.

სურათების გამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამიგე გამოცემაზე: პირველად — 6 მან., 1-ლ მარტამდე — 3 მან., 1-აგვისტომდე — 2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრ.—10 კ., მე-1-ზე — 5 კ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ელირება.

რედაქციის დამტორება იმყოფება ვანქის დად ქუჩ. თელავონი № 372. ფოსტის აღრესი: თიფლის, ვ. რედაქციი „მამა“ և „ციიბის-პურცელ“.

Подписавшиеся на газету до 1-го января 1902 года получаютъ газету БЕЗПЛАТНО со дня подписки.

О ПОДПИСКѢ НА ГАЗЕТУ

АРГОНАВТЪ

ВЪ 1902 ГОДУ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 6 мѣсяцевъ, одинъ мѣсяцъ.
Съ пересылкой и доставкой: 7 р. 4 р. 1 р.
Въ ТИФЛИСѢ 5 3 75 к.
Отдельные номера у разнителей газетъ, въ Тифлисѣ по 3 коп.,
въ другихъ городахъ по 5 коп.

ПРОГРАММА газеты обнимаетъ всѣ отдѣлы ежедневныхъ газетъ.

По четвергамъ и воскресеньямъ текстъ будѣтъ иллюстрированъ портретами государственныхъ и общественныхъ дѣятелей, представителей науки и искусства в. т. п. рисунками въ текущемъ此刻ъ событиемъ и здѣсь днѧ.

«АРГОНАВТЪ» выходитъ двумя изданиями. Первое—вечернее для восточного Закавказья, т. е. для города Баку и остальныхъ мѣстностей по линіи желѣзной дороги «Тифлисъ-Баку» и сдается на почту на вечерній поѣздъ желѣзной дороги. Эта мѣра даетъ возможность доставлять газету подписчикамъ гор. Баку и по всей линіи желѣзной дороги цѣлью сутками раньше. Бакинскимъ подписчикамъ газета доставляется въ день выхода ея въ Тифлисѣ чрезъ разсыльныхъ между 3-4 часами дня. Второе изданіе утромъ доставляется подписчикамъ гор. Тифлиса и сдается на почту для отсылки иногороднимъ. Это второе изданіе, состоящее изъ тѣхъ же передовыхъ статей, фельетоновъ, корреспонденцій и другихъ отдѣловъ газеты, однимъ словомъ, повторяя первое изданіе, вмѣстѣ съ тѣмъ заключаетъ въ себѣ всѣ новѣйшія извѣстія, получаемыя нами послѣ шести часовъ вечера и ночью, которые входятъ въ первое изданіе только въ слѣдующемъ номерѣ.

ПОДПИСКА И ОБЪЯВЛЕНИЯ прививаются: въ Тифлисѣ въ редакціи, Головинскій, № 14, въ «Центральной книжной торгуовлѣ», въ книжномъ магазинѣ Л. Б. Хиддекеля и въ отдѣленіи конторы «Аргонавта», Головинскій просп., № 5, магазинѣ Марикянца.

Редакціонныя письма статьи и сообщенія просятъ адресовать на имя Ивана Григорьевича Хачатурова, Головинскій, № 14.

Съ цѣлью дать возможность публикѣ ознакомиться съ направлениемъ «Аргонавта», редакція въ теченіе двухъ недѣль разсыпаетъ газету и неподписанкамъ.

Съ разрешенія главнаго управлѣнія по дѣламъ печати,

ПОНИЖЕНА ПОДПИСНАЯ ПЛАТА

на

ежедневную полит. и литерат. газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдельный № въ Тифлисѣ—3 коп., въ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му июня—3 руб.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сделана скидка: плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. №8.

Изд. К. Тумановъ. Ред. Г. Тумановъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

(годъ изданий XXV-й)

Въ 1902 году, какъ и раньше, будетъ виходить ежедневно, но въ значительно УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТЪ.

Увеличивъ размѣры газетнаго листа до формата „Русскихъ Вѣдомостей“, редакція ежедневно будетъ давать подписчикамъ приблизительно на 4 столбца или на 600 строкъ газетнаго материала болѣе, чѣмъ до сихъ поръ, получивъ такимъ образомъ возможность одни изъ отдельовъ газеты, до нынѣ явявшихся за отсутствиемъ мѣста, случайными,—вести регулярно («Обзоръ печати», журнальное обозрѣніе, беллетристика и пр.), а другое отдѣлы (внутренней и иностранной жизни и др.)—значительно расширить.

Особенное же вниманіе редакціи будетъ обращено на развитіе отдѣла корреспонденцій, чтобы газета могла явиться возможно полной выразительницей нуждъ закавказскихъ провинцій, безъ ущерба однако отдѣлу тифлеской жизни, на который и въ предстоящемъ году будетъ обращено преимущественное вниманіе.

Въ 1902 году газета будетъ заключать въ себѣ следующие отдѣлы и подъ-отдѣлы:

- I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и «Российского телеграфнаго агентства». III. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городскаго самоуправления. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранная извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Наши корреспонденты. VIII. Дободневные фельетоны («Мысли вслухъ», «Мелочи жизни», «Бѣглые замѣтки» и др.). IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣнія кавказской жизни, популярно-научный, исторический, беллетристическая, иностранной и внутренней общественной жизни и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Списокъ справочный отдѣлъ и объявленія. XVI. Тексты газеты по временамъ будутъ иллюстрироваться, а

по мѣрѣ надобности будуть выходить отдельные „ИЛЮСТРИРОВАННЫЕ ПРИБАВЛЕНИЯ“.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсыпаться телеграммы съ справочными отдельюми и объявлениями.

Въ увеличенномъ форматѣ газету предположено начать съ 20-го декабря.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА	На годъ.		На 6 мѣс.		На 3 мѣс.		На 1 мѣс.	
	Руб.	К.	Руб.	К.	Руб.	К.	Руб.	К.
Съ доставкой въ Тифлисѣ.	5	—	3	—	1	50	—	75
Съ пересыпкой и ногороднимъ.	7	—	4	—	2	75	1	—
Съ пересыпкой заграницу.	12	—	7	—	—	—	1	50

ПОДПИСКА принимается только съ 1-го числа каждого мѣсяца исключительно въ конторѣ изданія: Головинскій просп., № 3.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ: для Закавказья на мѣсто, занимаемое строкой пѣтия: на первой страницѣ — 0 коп. и на четвертой страницѣ — 5 коп.; за объявленія въ предѣловъ Закавказья: на первой страницѣ — 24 коп. и на четвертой — 12 коп.

Краткое объясненіе рисунковъ и древнихъ надписей и др. болѣе важныхъ статей № 12 грузинского журнала
„МОГЗАУРИ“

стр.

1. Гора Араатъ съ рис. 1111
2. Кавказскій хребетъ, съ рисунками 1117
3. Историч. и географ. опис. Эретіи, ингилойца Джананівили 1124.
4. Русуданъ, ист. драма, пятнадцатъ (оконч.) 1137.
5. Антоній I, католикосъ-патріархъ Грузіи, Θ. Жордапія, пер. свящ. А. Анадзэ 1158.
6. Соломонъ Леонидзе, канцлеръ царей Ираклія II и Симона II (оконч.) Г. Маруашідзе 1173.
7. Къ празднику Рождества Христа (этнограф. физическія очеркі) Аир. Мерквіладзе 1178.
8. Библіографія 1185.
9. Исторія Грузіи 149.